ვის ეკუთვნოდა საქართველო

2003-2012

პოლ რიმპლი

საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო

წიგნი “ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012” მოგვითხრობს იმ ბიზნესმენებისა და კომპანიების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელოვანი წილები ეკუთვნოდათ ტელემაუწყებლობის, ტელეკომუნიკაციების, სარეკლამო, ნავთობის იმპორტისა და დისტრიბუციის, ფარმა-ცევტულ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სექტორებში. მასში ასევე საუბარია ამ კომპანიების კავშირებზე ხელისუფლების წარმომადგენლებთან ან მათთან დაახლოებულ პირებთან.

წიგნის მომზადების პროცესში ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 2012 წლის შემოდგომის საპარლამენტო არჩევნების შედეგად შეიცვალა ხელისუფლება, რამაც ცვლილებები სხვადასხვა ბიზნესის მფლობელების სტრუქტურაშიც გამოიწვია. აღნიშნული ცვლილებები ასახულია წიგნის ბოლო თავში.

წიგნის ავტორია ჟურნალისტი პოლ რიმპლი. „საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველოს“ მხრიდან ნაშრომის შექმნაში მონაწილეობდა ანალიტიკოსი გიორგი ჭანტურია.

წიგნის ილუსტრატორია გიორგი გაგლოშვილი.

წიგნის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: http://www.transparency.ge/

გამოცემა მომზადდა ფონდის „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავენ ფონდის „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

პოლ რიმპლი

ვის ეკუთვნოდა საქართველო?

2003 – 2012

სარჩევი

შესავალი 3

ვის ეკუთვნოდა ტელევიზია? 9

ვის ხელში იყო ტელეკომუნიკაციები? 41

ვის ხელში იყო გარე რეკლამა? 50

ბენზინის კარტელი საქართველოში 56

ფარმაცევტული ოლიგოპოლია 65

ეს არის აღმშენებლობა? 82

ბრძოლა სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად . . .109

პოსტსკრიპტუმი 122

შესავალი

ერთ დღეს, როცა მეგობართან ერთად ადგილობრივ სუპერმარკეტში საყიდლებზე ვიყავი შესული, გამოსასვლელთან, სალარო აპარატების სიახლოვეს, შევნიშნე საქართველოში დამზადებული შოკოლადების დახლი წარწერით „ბარამბო“. რადგანაც ქვეყნის ეკონომიკის მხარდაჭერის საუკეთესო საშუალებად ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ყიდვა მიმაჩნია, მაშინვე შოკოლადის ორიოდე ფილას წავავლე ხელი. ამას ჩემი ქართველი მეგობრის არაორაზროვანი რემარკა მოჰყვა: „ჰმ, კეზერაშვილის შოკოლადი.“

„ვისი?“

„დათო კეზერაშვილის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის,“, – მითხრა მან. – „ეს მისი კომპანიაა. ამ ქვეყანაში ხომ ყველაფერი მას ეკუთვნის.“

ამ სიტყვების შემდეგ შოკოლადის ფილები ინსტინქტურად თავის ადგილზე დავაბრუნე. რატომ უნდა გამოვუცხადო მხარდაჭერა ქვეყნის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს? მოგვიანებით სხვა მეგობარმა მითხრა, რომ ეს კეზერაშვილის კი არა, „ვანოს შოკოლადია“. ის ვანო მერაბიშვილს გულისხმობდა, შინაგან საქმეთა ექსმინისტრსა და ყოფილ პრემიერ-მინისტრს. სწორედ მაშინ გავაცნობიერე, რაოდენ ღრმად არის ჩამჯდარი პოლიტიკა ქართველების ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომლებიც შოკოლადის ყიდვასაც კი პოლიტიკურ სარჩულს უძებნიან, მიუხედავად იმისა, ვინ არის სინამდვილეში ამ პროდუქტის მწარმოებელი.

საქართველო პატარა ქვეყანაა, სულ რაღაც 4,5-მილიონიანი მოსახლეობით. აქ ჭორებს უმნიშვნელოვანესი სოციალური დატვირთვა აქვს; რაც უფრო სენსაციური, დაუჯერებელი და, ერთი შეხედვით, უაზროა ჭორი, მით უფრო მტკიცედ არის ის ადამიანების ცნობიერებაში აღბეჭდილი. მაგალითად, ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი სატელეკომუნიკაციო პროვაიდერის, „სილქ ტვ“-ის, ზოგიერთი მომხმარებელი პოლიტიკაზე

საუბრისას ტელევიზორს რთავდა ხოლმე, რადგან მიაჩნდა, რომ ამ კომპანიის მფლობელია ვანო მერაბიშვილი, რომელსაც ჩართული ტელევიზორიდან მათი საუბრის მოსმენა და ჩაწერა შეეძლო.

საერთოდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ადამიანებს, ჩვეულებრივ, ხელისუფლებაზე მეტად მეზობლებისა სჯერათ. საქართველოში ამ მოვლენას კიდევ უფრო გამოკვეთილი სახე აქვს, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის შემდეგაც კი აქ ინფორმაციის სანდო წყაროები არ არსებობს. ბოლო რამდენიმე კვირას თუ არ ჩავთვლით, ორ უმსხვილეს ტელევიზიას მონოპოლიური ძალაუფლების მქონე მმართველ პარტიასთან დაახლოებული ადამიანები ფლობდნენ, მესამე დიდი ტელევიზია კი სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

2001 წელს, როდესაც საქართველოში პირველად ჩამოვედი, სახელმწიფო მოხელეები და ბიზნესმენები ქვეყნის რესურსებს უაზროდ და სულელურად აჩანაგებდნენ. აქ ისეთივე სიტუაცია იყო, როგორიც 30-იანი წლების ჩიკაგოში – იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მთელი ქვეყანა ბაზარზე გასაყიდად გამოეტანათ. პოლიცია მოქალაქეების კი არა, მხოლოდ საკუთარი მერკანტილური ინტერესის დაცვაზე იყო გადასული და ყოველდღიურ „ლუკმაპურს“ შემთხვევითი ადამიანებისგან ფულის გამოძალვით შოულობდა. ენერგეტიკის მინისტრი ქვეყნის მწირ ენერგეტიკულ რესურსებს „გვერდზე“ ჰყიდდა და ზამთარში მთელ ქვეყანას სიბნელესა და სიცივეში ამყოფებდა. მაღალი რანგის კრიმინალების სახელები ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რადგან ისინი საკუთარი ნეპოტიზმის სააშკარაოზე გამოტანას არათუ ერიდებოდნენ, ამაყობდნენ კიდეც მისით. საქართველოში კანონიერი გზებით გამდიდრება შეუძლებელი იყო.

ცხადია, რომ ასეთი სისტემის ჩამოქცევა მხოლოდ და მხოლოდ დროის საქმე იყო. 2003 წლის ნოემბერში საპარლამენტო არჩევნების მასობრივმა გაყალბებამ გამოიწვია ხალხის პროტესტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ოპოზიციური კოალიცია სამი ლიდერის – მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძის –

მეთაურობით. პროტესტი არჩევნების განმეორებით ჩატარების მოთხოვნით დაიწყო და ედუარდ შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმის მშვიდობიანი დამხობით დასრულდა. 2004 წლის იანვარში სააკაშვილმა ხმების 97%-ით პრეზიდენტის სავარძელი დაიკავა, ორი თვის შემდეგ კი მისმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, რის შედეგადაც საქართველოში ფაქტობრივად ერთპარტიული მმართველობა ჩამოყალიბდა.

სააკაშვილის ადმინისტრაცია დიდი ენერგიით შეუდგა არშემდგარი ქვეყნის ფუნქციონირებად, მოდერნიზებულ სახელმწიფოდ გადაქცევას. კორუფციასთან ბრძოლასა და ინსტიტუციური ეკონომიკური რეფორმების საქმეში მიღწეული წარმატებების გამო სააკაშვილმა მრავალი ქება დაიმსახურა მთელი მსოფლიოდან, თუმცა ამ წარმატებების მიღწევის გზები ქვეყნის შიგნით მმართველი ძალის კეთილი განზრახვების შესახებ ბევრ კითხვას აჩენდა. ეს კითხვები ორ ძირითად ასპექტს მოიცავდა – იცავს თუ არა ხელისუფლება კანონის უზენაესობას და რამდენად ერთგულია იგი მის მიერვე განცხადებული დემოკრატიული პრინციპებისა.

იმ ადამიანებისთვის, რომელთათვისაც საქართველოში მიმდინარე მოვლენები უცხო არ არის, კარგადაა ცნობილი სააკაშვილის გაბედული გადაწყვეტილება, როცა მან ერთ მშვენიერ დღეს პოლიციური ძალები დაითხოვა და ერთ დროს ქვეყნის ყველაზე სამარცხვინო ინსტიტუტი ყველაზე პატივცემულ უწყებად გადააქცია. ამავე დროს, ბევრმა არ იცის, რომ რევოლუციური მთავრობის ანტიკორუფციული კამპანიის ერთ-ერთი კომპონენტი ედუარდ შევარდნაძესთან დაახლოებული ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსების გამოხშირვა და მათ მიმართ ანგარიშსწორება იყო. ამ კამპანიის ფარგლებში ბევრი ადამიანი დაიჭირეს და უზარმაზარი ჯარიმის გადახდა აიძულეს, რათა სასამართლომდე ციხიდან გამოეშვათ. ამ მეთოდს ხელისუფლება თავიდან „გირაოს“ ეძახდა, მოგვიანებით კი საპროცესო გარიგების ფორმა მისცა, თუმცა სინამდვილეში ის უფრო გამოძალვას წააგავდა. ერთ-ერთი ასეთი საქმე ედუარდ შევარდნაძის სიძესა და იმ პერიოდში

უდიდესი სატელეკომუნიკაციო კომპანიის, „მაგთიკომის“, მფლობელს, გია ჯოხთაბერიძეს, შეეხო. მას ბრალად 700,000 ლარის ($318,000) ოდენობის გადასახადისთვის თავის არიდება წაუყენეს და იგი ბრალდების მოხსნის საფასურად სახელმწიფო ბიუჯეტში 15,5 მილიონი დოლარის გადახდას დათანხმდა.[1]

თავიდან ამ მკაცრ და „ნახევრად კანონიერ“ მეთოდებს დიდი პროტესტი არ გამოუწვევია, რადგან მათი სამიზნე იყო ხალხი, რომელიც საზოგადოებრივ აზრს იმთავითვე დამნაშავედ მიაჩნდა. თუმცა მოგვიანებით სააკაშვილის რეჟიმი უფრო თავდაჯერებული გახდა და შევარდნაძის მმართველობისას რეგისტრირებული ქონების რეპრივატიზებას მიჰყო ხელი. ძველი კომპანიების „ნანგრევებზე“ აღმოცენებული ახალი ფირმები ახალი მთავრობის წევრების, მათი მეგობრებისა და ნათესავების მფლობელობაში აღმოჩნდა.

2004 წლიდან ხშირი იყო შემთხვევები, როცა კანონებს სწრაფად იღებდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ „მეგობრული“ ბიზნესის ინტერესები დაეკმაყოფილებინათ. ამის ერთ-ერთი მაგალითია 2012 წელს მიღებული კანონი, რომელიც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველების მოპოვებაზე არსებულ აკრძალვას აუქმებს.[2] მართალია, ამ კანონის მიღებას წინ არც ცხოველთა პოპულაციების აღრიცხვა უძღოდა და არც ნადირობის შესახებ კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმების დანერგვა, მაგრამ ის ძალიან სარფიანი აღმოჩნდა საბა კიკნაძისთვის, რომელიც ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი უფროსია, ამჟამად კი ტურისტულ ინდუსტრიასთან დაკავშირებულ რამდენიმე ბიზნესს მართავს. მათ შორისაა ძვირად ღირებული სამონადირეო აღჭურვილობის ფირმა

1 Georgian NGOs: Cash Trail for Detainee Fines Tricky to Track. Eurasia.net 10 იანვარი, 2006 http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav011106.shtml (13/12/2012)

2 Georgia allows hunting of endangered species. Mari Nikuradze. Democracy and Freedom Watch. 27 იანვარი 2012 http://dfwatch.net/georgia-allows-hunting-of-endangered-species-57870 (13/12/2012

„კავკასიური საფარი“[3], რომელიც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველებზე ნადირობის მსურველებს მეგზურებით ამარაგებს.

ასეთ კანონდარღვევებზე უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება საკმაოდ რთულია. ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ ადამიანი, რომელიც ყველაზე კარგად ერგებოდა ამა თუ იმ კონტრაქტს, მინისტრის მეგობრად, ბიძაშვილად ან სიძედ გვევლინებოდა; ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ პატარა ქვეყანაა. სწორედ ამიტომ არის გამჭვირვალობა აგრერიგად მნიშვნელოვანი. საზოგადოება იმსახურებს, იცოდეს, რამდენად პატიოსანია მის მიერ არჩეული მოხელე. მართალია, მთავრობამ ბევრი გააკეთა კონტრაქტებისა და მფლობელობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის, თუმცა ბევრი რამ, იურიდიული ლაბირინთებისა და ფიქციური სამართალწარმოების წყალობით, მაინც საზოგადოების თვალთახედვის მიღმა რჩება.

ამ წიგნის დანიშნულება იმ კერძო კომპანიების შესწავლაა, რომელთა შესახებაც საზოგადოებაში ყველაზე მეტი ხმა დადის. შევეცდებით ჩახლართული ორგანიზაციული სტრუქტურების გამოკვეთას, რათა ზოგ შემთხვევაში მფლობელობასთან დაკავშირებული ჭორები გავფანტოთ, ზოგან კი ამ მოარულ ხმებს რეალური საფუძველი მოვუძებნოთ. ეს წიგნი მეტწილად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და საგამოძიებო ფილმების შემქმნელი სტუდია „მონიტორის“ მიერ ჩატარებულ კვლევებს ეფუძნება, ისევე, როგორც სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშს ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ანგარიშებს. ჩათვალეთ, რომ ეს არის მეგზური, რომელიც დაგეხმარებათ, გზა გაიკვლიოთ იმ ამორფულ ლაბირინთში, სადაც მიგიყვანთ კითხვა „ვის ეკუთვნოდა საქართველო?“

---

3 რატომ გახანგრძლივდა ნადირობა «წითელი ნუსხის» სახეობებზე. ელენე ხაჭაპირიძე. 10 თებერვალი, 2012 Netgazeti.ge http://netgazeti.ge/GE/92/Life/8214/ (13/12/2012)

ვის ეკუთვნოდა ტელევიზია?

„რომ არა ქართული პრესა და მედია, რევოლუცია არ მოხდებოდა. რომ არა მედია, საქართველო ვერ გახდებოდა დამოუკიდებელი.“[4] – მიხეილ სააკაშვილი.

ძნელია მოძებნო ისეთი რამ, რაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უფრო მეტად აღიზიანებს, ვიდრე მედიაში მისი კრიტიკა. მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში არსებობს პლურალისტური მედია ოპოზიციური გაზეთებითა და სატელევიზიო სადგურებით, თუმცა, მიუხედავად დასავლეთის მიერ დაფინანსებული მრავალი ტრენინგპროგრამისა, ჟურნალისტური სტანდარტები საკმაოდ დაბალია, რაც პოლიტიკური და კერძო ინტერესების მიერ სარედაქციო პოლიტიკაზე მოხდენილი გავლენითაა განპირობებული.

2011 წელს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 89%-ისთვის ახალი ამბების მიღების მთავარი წყარო ტელევიზია იყო.[5] ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ სამი არხი მაუწყებლობს: „რუსთავი 2“, „იმედი“ და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის (სსმ) პირველი არხი. „რუსთავი 2“-სა და „იმედზე“ ქვეყნის მოსახლეობის 96%-ს მიუწვდება ხელი, პირველ არხზე კი – 82%-ს. 2012 წლის პირველ 6 თვეში სატელევიზიო აუდიტორიის საბაზრო წილის 60% „რუსთავი 2“-სა და „იმედზე“ მოდიოდა.[6] სხვა

4 მედია „ვარდების რევოლუციამდე“. მედიასახლი „საქართველო“. http://mediahousegeorgia.org/?lang=1&menuid=15&id=4 (18/09/2012)

5 კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის ვებგვერდი: http://www.crrc.ge/oda/ (18/09/2012)

6 იქვე

სიტყვებით რომ ვთქვათ, სატელევიზიო დროის ყოველი 100 წუთიდან 60 სწორედ ამ ორ ტელეარხზე ნაწილდებოდა.[7]

ორ ტელეარხს, „კავკასიასა“ და „მაესტროს“, მართალია, ახალი ამბების გადაცემები ჰქონდათ, მაგრამ მათი მაუწყებლობა ძირითადად თბილისით შემოიფარგლებოდა. სახელმწიფო ტელევიზია, „აჭარა ტვ“, ინფორმაციას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და ქვეყნის ბევრ სხვა ნაწილსაც აწვდის. არსებობს ასევე 26 რეგიონული სატელევიზიო სადგური, თუმცა მათი უმრავლესობა საკუთარ ახალ ამბებს არ აწარმოებს.

საქართველოს მთავრობა ირწმუნებოდა, რომ დამოუკიდებელ მფლობელობაში მყოფ სატელევიზიო არხებს შეეძლოთ გაავრცელებინათ ის ინფორმაცია, რომელიც თავად სურდათ, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყნის ორი უდიდესი ტელეარხი მთავრობის ყოფილი მაღალჩინოსნების ან პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან დაახლოებული ადამიანების ხელში გადავიდა.[8] პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს მედიასექტორის განვითარებას საფრთხეს უქმნიდა, რადგან თავისუფალი მედია დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია. წესით, მთავრობა სწორედ ამ პრინციპის დაცვაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული,

---

7 ეს მონაცემები ეფუძნება 18 წელს გადაცილებული ურბანული პოპულაციის წარმომადგენლობით სინჯებს. სპეციფიკური სამიზნე აუდიტორიისა და პიკური დროის საბაზრო წილი შეიძლება ამ მონაცემებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აღნიშნული მონაცემების მოწოდებისათვის მადლობას უხდის ორგანიზაცია „TV MR საქართველოს“, „Nielsen Television Audience Measurement“-ის ლიცენზიის ადგილობრივ მფლობელს. სინჯებისა და მეთოდოლოგიის შესახებ უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ნახავთ კომპანიის ვებგვერდზე: http://agbnielsen.com/whereweare/georgia.asp

8 მედია „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. https://www.youtube.com/watch?v=d-vefDcvLZY. (05/12/2012)

თუმცა არსებობს იმის ნიშნები, რომ ის ამის საპირისპიროდ მოქმედებდა.

2003 წელს ქვეყანაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომლებიც დემოკრატიის პრინციპების არსის ფეხქვეშ გათელვა იყო. საარჩევნო სიებიდან ათეულობით ათასი ამომრჩევლის გვარ-სახელი იქნა ამოღებული – მთელი სამეზობლოების ჩათვლით. ამომრჩევლებზე სხვადასხვა სახის ზეწოლას ახორციელებდნენ, აშინებდნენ და სცემდნენ. საარჩევნო ყუთებში ყალბ ბიულეტენებს ღიად ყრიდნენ მაშინ, როდესაც გვერდით პოლიციელები იდგნენ და ამას მშვიდად ადევნებდნენ თვალს. ადამიანებმა, რომლებიც ერთ-ერთ ტელეარხს უყურებდნენ, გააცნობიერეს, რომ ეს დარღვევები მხოლოდ მათი სამეზობლოთი არ შემოიფარგლებოდა და მთელ ქვეყანაში ხდებოდა. ამან მთელი ერი განარისხა. მიხეილ სააკაშვილმა, ზურაბ ჟვანიამ და ნინო ბურჯანაძემ ამ რისხვის მართვა და გამოყენება მოახერხეს. მათ მიერ ორგანიზებულმა ხალხმა მთავრობა დაამხო. ეს განხორციელდა „რუსთავი 2“-ის საშუალებით, რომელიც მანამდეც, რევოლუციის დაგეგმვამდე დიდი ხნით ადრე, ოპოზიციის ტრიბუნა იყო.

ტელევიზორებთან მთელი ოჯახები იკრიბებოდნენ, რათა „რუსთავი 2“-ზე ისეთი გადაცემებისთვის ეყურებინათ, როგორებიც იყო „დარდუბალა“, ანიმაციური სერიალი შევარდნაძისა და მისი მთავრობის შესახებ, ამერიკულ ანალოგზე დაფუძნებული „60 წუთი“, რომელიც კორუფციას იძიებდა, და პოლიტიკური ტოქშოუ „ღამის კურიერი“. ყველა ამ გადაცემის ფორმატი შეიცვალა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა „რუსთავი 2“ მთავრობის მაკონტროლებელი მედიასაშუალებიდან ხელისუფლების პიარმანქანად იქცა. ტელეკომპანიის ყოფილი მფლობელის მტკიცებით, ეს მთლიანად ნებაყოფლობითი ტრანსფორმაცია არ ყოფილა.

„რუსთავი 2“ 1996 წელს დაფუძნდა; მისი მფლობელები ეროსი კიწმარიშვილი, დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე

იყვნენ.[9] არხის დირექტორი, კიწმარიშვილი, თავს „ვარდების რევოლუციის“ ლიდერთა გუნდის ნაწილად მოიაზრებს; „რუსთავი 2“-ის ყოფილი გამომძიებელი ჟურნალისტის, ნინო ზურიაშვილის, თქმით, „ვარდების რევოლუციიდან“ მცირე ხნის შემდეგ მთავრობამ კიწმარიშვილის ბიზნესსაქმიანობაში აქტიურად დაიწყო ჩარევა.

ამავე დროს, კიწმარიშვილი, რომელიც „რუსთავი 2“-ის ერთი მესამედის მფლობელი იყო, პარტნიორებისგან წილების გამოსყიდვას ცდილობდა. ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა, რომლებიც საკონტროლო პაკეტს ფლობდნენ, თავიანთი წილების გაყიდვაზე უარი განაცხადეს. 2004 წლის 11 ივნისს კიწმარიშვილმა კომპანიის გაკოტრებაზე საჯარო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ტელეკომპანიას 9,2 მილიონი ლარის ოდენობის ვალი ჰქონდა; აქედან 4,6 მილიონი სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანება იყო. ეს ამბავი აქიმიძისა და დვალისათვის ნამდვილი სიურპრიზი გახდა.

„გაკოტრებამდე ორი თვით ადრე ეს ვალი არ არსებობდა.“, – განაცხადა აქიმიძემ.[10]

დღეს, ეროსი კიწმარიშვილიც ადასტურებს, რომ ვალების „გაბერვა“ მას გაკოტრების პროცესის დასაწყებად დასჭირდა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გაკოტრების პროცედურების დაწყებისთანავე კომპანიის მფლობელები ბიზნესგადაწყვეტილებების მიღების უფლებას კარგავენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „რუსთავი 2“-ის მფლობელებს არა მარტო ტელეკომპანიის მართვის უფლება ერთმეოდათ, არამედ ისინი დადგნენ სხვა ბიზნესის, ინტერნეტპროვაიდერ „ჯორჯია ონლაინის“ და საკუთარი საცხოვრებელი სახლების დაკარგვის

9 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მე-9 გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=76221 (05/12/2012)

10 მედია „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. https://www.youtube.com/watch?v=d-vefDcvLZY (05/12/2012)

საფრთხის წინაშე, რომლებიც „რუსთავი 2“-ის ბალანსზე ირიცხებოდა.[11]

„როგორც კი ეს განცხადება გავაკეთე, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. ფაქტობრივად, ყველაფერი ხელისუფლების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. თუ ხელისუფლება მოისურვებდა, მათ (აქიმიძეს და დვალს) შეიძლება ყველაფერი დაეკარგათ,“, – განაცხადა კიწმარიშვილმა.[12]

აქიმიძეს მიაჩნია, რომ ხელისუფლებას მისი და დვალის მფლობელობაში არსებული საკონტროლო პაკეტის ხელში ჩაგდება სურდა: „ეს მოლაპარაკებები მაშინ დასრულდა, როდესაც „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა და 30%-ით მეწილემ არხი გაკოტრებულად გამოაცხადა. ფაქტობრივად, ამის შემდეგ იძულებულები გავხდით, რომ დაგვეთმო ჩვენი 60 პროცენტი, საკონტროლო პაკეტი და წილი გადაგვეფორმებინა ქიბარ ხალვაშისათვის, რომელიც პირველად გავიცანით ხელშეკრულების გაფორმების დროს ცნობილი ნოტარიუსის გინტურის ბიუროში.“[13]

თავად კიწმარიშვილი ამტკიცებს, რომ საბუღალტრო დოკუმენტაციას აყალბებდა და ამასთან დაკავშირებული იურიდიული პრობლემების მოსაგვარებლად ხელისუფლებამ შესთავაზა გარიგება, რომლითაც სარგებელს იღებდნენ სახელმწიფო უშიშროების მაშინდელი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ირაკლი ჩუბინიშვილი და სააკაშვილი, რომელიც მთავრობის მიმართ „მეგობრულად“ განწყობილი ტელევიზიის არსებობით იყო დაინტერესებული. [14]

11 იქვე

12 იქვე

13 იქვე

14 იქვე

ამ ბრალდებებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე სააკაშვილმა „ნიუიორკერს“ მოკლე და მკვეთრი პასუხი გასცა – „ეროსისთვის მთავარი ფულია.“.[15]

კიწმარიშვილმა, დვალმა და აქიმიძემ ქიბარ ხალვაშს თავიანთი წილები 2004 წლის ივლისში მიჰყიდეს. დანარჩენი 10% კვლავ ნიკა ტაბატაძის მფლობელობაში დარჩა, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო.[16]

ხალვაშს თავდაცვის მაშინდელ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. ნინო ზურიაშვილთან ინტერვიუში ხალვაში აცხადებს: „მე მედია ბიზნესში მოვხვდი, რადგან ხელისუფლება თვლიდა, რომ მედია საჭირო იყო ხელისუფლების გასამყარებლად. ხელისუფლებიდან დამიკავშირდა ხალხი და მკითხეს, ხომ არ მაინტერესებდა და ხომ არ დავკავდებოდი ამ ბიზნესით. განვიხილე ეს წინადადება თავისი მხარეებით, მიმზიდველობით, უარყოფითი ნიშნებით და მივიღე დადებითი გადაწყვეტილება. გაყიდვის მიზეზი არ ვიცი - რა იყო და რატომ გადაწყვიტა ამ ხალხმა ბიზნესის მოშორება, მე წილები შევისყიდე“.[17]

ამ მომენტიდან „რუსთავი 2“-მა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ რეპუტაციის კარგვა დაიწყო. ხალვაშის მოსვლისთანავე დაიხურა საგამოძიებო ახალი ამბების პროგრამა „60 წუთი“. ხალვაში ამბობს, რომ თანამშრომლებს მოუწოდებდა, ხელისუფლების შესახებ მიღებული უარყოფითი ინფორმაცია შეემსუბუქებინათ და ის უფრო პოზიტიური კუთხით წარმოეჩინათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. „ზოგჯერ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ტელეარხის საქმიანობაში უშუალოდ ერეოდა ხოლმე“[18], – ამატებს ხალვაში.

---

15 იქვე

16 იქვე

17 იქვე

18 იქვე

როდესაც 2005 წელს ძიუდოს ქართველი ჩემპიონის, გიორგი რევაზიშვილის, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის, ალეკო დავითაშვილის, და მისი ძმის, დავითის, დაკავებასთან დაკავშირებით გამართულ საპროტესტო აქციაზე მოჭიდავეებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა, „რუსთავი 2“ ადგილზე იმყოფებოდა და მოვლენებს პირდაპირ ეთერში გადასცემდა. ხალვაში ირწმუნება, რომ ამ დროს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ურეკავდნენ და ნეგატივის გაშუქების გამო საყვედურობდნენ. მისი მტკიცებით სააკაშვილმა ამ რეპორტაჟის გამო მას „ქვეყნის მტერი“ უწოდა.[19]

მიუხედავად ამისა, ხალვაში „რუსთავი 2“-ში დარჩა მანამდე, სანამ მის მეგობარს, ირაკლი ოქრუაშვილს, თავდაცვის მინისტრობიდან გადააყენებდნენ. მაშინ ოქრუაშვილმა უარი განაცხადა ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობაზე, რომელიც ერთგვარი კომპენსაციის სახით შესთავაზეს, და მთავრობას დაუპირისპირდა. როგორც ხალვაში აცხადებს, გიორგი არველაძემ, რომელიც მაშინ სააკაშვილის კაბინეტის წევრი იყო, უთხრა, რომ „გადაწყდა“ – არველაძე, პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილთან და „კიდევ ერთ პიროვნებასთან“ ერთად, ტელეკომპანიების გაერთიანების მფლობელი გახდებოდა. ამ გაერთიანებაში „რუსთავი 2“-ის გარდა, უნდა შესულიყო ტელეკომპანიები „მზე“ და „პირველი სტერეო“. [20]

„ამის შემდეგ მკაფიოდ მიმითითეს იმაზე, რომ თუ ტელევიზიის წილს დავთმობდი, ხელშეწყობა მექნებოდა სახელმწიფოს მხრიდან.“, – იხსენებს ხალვაში.[21]

თბილისის მერი გიგი უგულავა, რომელიც მაშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი იყო, ხელისუფლების მიერ ტელევიზიების საქმეებში ჩარევასთან

19 იქვე

20 იქვე

21 იქვე

დაკავშირებით კიწმარიშვილისა და ხალვაშის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

2006 წლის 17 ნოემბერს ხალვაშის წილს სატრანსპორტო კომპანია „გეო-ტრანსი“ დაეპატრონა, ერთი თვის შემდეგ კი „რუსთავი 2“-ის 45%-ის მფლობელი პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის კომპანია „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ გახდა.[22] დავით ბეჟუაშვილის ძმას, გელას, იმ დროს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. „რუსთავი 2“-ის დარჩენილი 55% ვირჯინის კუნძულებზე დარეგისტრირებული ფირმის, Delgado Resources, საკუთრებაში გადავიდა[23], ორიოდე თვის შემდეგ კი მარშალის კუნძულებზე დარეგისტრირებული „გეომედია ჯგუფის“ ხელში აღმოჩნდა.[24]

2007 წლის ზაფხულისთვის „რუსთავი 2“-ის 40% მარშალის კუნძულებზე დარეგისტრირებულ „გეომედია ჯგუფს“, 30% – ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს, ირაკლი ჩიქოვანს, დარჩენილი 30%-ს კი ბეჟუაშვილის „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფს“ ეკოთვნოდა.[25] 2011 წლის 29 ნოემბრისთვის ტელეკომპანიის 70%-ის მესაკუთრე იყო ვირჯინის კუნძულებზე დარეგისტრირებული შპს „დექსონ ლიმიტედი“, რომლის წარმომადგენელი საქართველოში გიორგი გეგეშიძე გახლდათ. 30% ეკუთვნოდა მარშალის კუნძულებზე დარეგისტრირებულ „ქემექსიმ ინტერნეიშენლს“, რომლის წარმომადგენელი

22 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 99-ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=76222 (05/12/2012)

23 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 110-ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=76222 (05/12/2012)

24 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 133-ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=76222 (05/12/2012)

25 მედია „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. https://www.youtube.com/watch?v=d-vefDcvLZY. (05/12/2012)

საქართველოში რამაზ ბერიძე იყო.[26] ეს ორი ფირმა ფლობდა ასევე ტელეკომპანია „მზეს“. [27]

2011 წლის აპრილში საქართველოს კანონში „მაუწყებლობის შესახებ“ შესულმა ცვლილებებმა ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიებს მაუწყებლების ფლობის უფლებას შეუზღუდეს. ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან, შესაბამისობის დეკლარაციები საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (სკეკ) 2012 წლის 1 იანვრამდე წარუდგინონ. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ 90%-ს ლევან ყარამანიშვილი ფლობდა, ორივე კომპანიის მთლიანი წილის 10%-ი კი ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს, გიორგი გეგეშიძეს, ეკუთვნოდა[28] (არჩევნების შემდეგ განხორციელებულ ცვლილებაზე ბოლო თავში ვისაუბრებთ). ბიზნესმენი ყარამანიშვილი მობილური ოპერატორი „ბილაინ/მობიტელ - საქართველოს“ დამფუძნებელია[29], ასევე აქვს წილი ინტერნეტპროვაიდერ „კავკასუს ონლაინში“[30]. ორივე ამ კომპანიაში, რომელთაც ლევან ყარამანიშვილი წარმოადგენს, მფლობელობის

26 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 29/11/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=346853&app_id=399438 (05/12/2012)

27 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 29/11/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=346844&app_id=399441 13/12/2012

28 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 08/08/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=447100&app_id=520160 13/12/2012

29 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მე-10 გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=82829 13/12/2012

30 “რუსთავი 2” და “მზე” სააკაშვილის მეგობრის ოჯახის საკუთრებაში. მაია მეცხვარიშვილი. Netgazeti.ge 28 დეკემბერი, 2011 http://netgazeti.ge/GE/86/News/7650/ 13/12/2011

საკითხი გაუმჭვირვალეა. ამ აქტივების რეალური მესაკუთრეები ოფშორული ფირმების უკან იმალებიან.[31]

მართალია, კერძო ტელეკომპანია „მზე“ ოპოზიციური არხი არ ყოფილა, მაგრამ საკმაოდ პოპულარული იყო. მისი ისტორია, შეიძლება ითქვას, რომ „რუსთავი 2“-ის ისტორიის იდენტურია. „მზე“ 2002 წელს ზურაბ ზედგენიძემ, ლევან ყუბანეიშვილმა, კახი ბექაურმა და ელდარ მდინარაძემ დააფუძნეს.[32] მომდევნო წელს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს არხის 15% იყიდა მილიონერმა და ყოფილმა პარლამენტარმა, ვანო ჩხარტიშვილმა, რომელსაც მაშინ ეკონომიკის მინისტრის პოსტი ეკავა.[33] თუმცა ერეკლე კოდუასთან საუბარში, რომელიც ფარული ჩანაწერის სახით გავრცელდა, ჩხარტიშვილის მეგობარი, აწ გარდაცვლილი მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი, აცხადებს, რომ რეალურად „მზე“ მისი საკუთრებაა.[34]

2004 წლის ივლისში გაზეთ „რეზონანსში“ დაიბეჭდა, რომ ჩხარტიშვილმა „მზეში“ თავისი წილი დავით ბეჟუაშვილს მიჰყიდა. ამის მიზეზი ის გარემოება გახდა, რომ ყოფილ მინისტრს მთავრობასთან პრობლემები შეექმნა და ფინანსური დანაშაულის გამო დაპატიმრება ემუქრებოდა.[35] ასეა თუ ისე, ტელეკომპანია „მზის“ 50% ბეჟუაშვილის ხელში აღმოჩნდა. 2005 წელს ქიბარ ხალვაშს 78% ეკუთვნოდა,

---

31 მედიის სექტორში ცვლილებები, როგორც პოლიტიკური ცვლილების შედეგი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“. 16 ოქტომბერი 2012 http://transparency.ge/blog/mediis-sektorshi-tsvlilebebi (05/12/2012)

32 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მე-10 გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=111963 (05/12/2012)

33 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 124-ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=111963 (05/12/2012)

34 მედია „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. https://www.youtube.com/watch?v=d-vefDcvLZY. (05/12/2012)

35 იქვე

ბეჟუაშვილს კი – 22%.[36] 2008 წლის ივნისში ტელეკომპანია „მზემ“ ახალი ამბების ყველა პროგრამა დახურა. ისევე, როგორც „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მფლობელები „მზესაც“ შეეცვალა.

ხალვაში ამბობს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კეთილგანწყობის დაკარგვის შემდეგ მას „მზის“ წილის შესყიდვა აიძულეს. „რუსთავი 2“ წამგებიანი ბიზნესი იყო და მე აღარ მქონდა სურვილი მეორე ტელევიზიის ტვირთი ამეღო,“, – განაცხადა ხალვაშმა.[37]

2005 წლის ზაფხულისთვის ყოველდღიურ პოლიტიკურ ტოქშოუებსა და საგამოძიებო სიუჟეტებს მხოლოდ ერთი ტელეარხი – ტელეკომპანია „202“ – გადასცემდა. ის შალვა რამიშვილმა და დავით კოხრეიძემ 2003 წელს დააფუძნეს. ტელეკომპანია „202“ „ტვ-33“-ის სიხშირეზე მაუწყებლობდა. შალვა რამიშვილი მანამდე „რუსთავი 2“-ზე ანიმაციურ სერიალ „დარდუბალას“ ქმნიდა. ერთი პერიოდი ის მიხეილ სააკაშვილის მომხრე იყო, თუმცა მოგვიანებით მმართველი პარტიით განიხიბლა. არხი მხოლოდ თბილისში მაუწყებლობდა და ულიცენზიოდ უშვებდა ჰოლივუდის ფილმებს. აქვე ნახავდით დაბალბიუჯეტიან კომედიურ შოუებს, „დარდუბალას“ ძველ სერიალებს და პოლიტიკურ ტოქშოუ „დებატებს“. ეს ტოქშოუ საკმაოდ პოპულარული გამოდგა; აქ ხშირად მედიასა და მმართველ პარტიაში არსებულ კორუფციაზე მწვავე დისკუსიები იმართებოდა. ტელეკომპანია „202“-მა ეთერში გაუშვა ასევე სოროსის ფონდის მიერ დაფინანსებული დამოუკიდებელი ჟურნალისტური სტუდია „რეპორტიორის“ ორი გამოძიება. ერთ-ერთი ჟურნალისტური გამოძიება პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეს ეხებოდა

36 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 142-ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=111965 (05/12/2012)

37 მედია „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. https://www.youtube.com/watch?v=d-vefDcvLZY. (05/12/2012)

და ეჭვქვეშ აყენებდა ოფიციალურ ვერსიას, რომლის თანახმად, პრემიერი კერძო ბინაში გაზის გაჟონვის გამო დაიღუპა. მეორე ფილმში კრიტიკულად იყო განხილული მარეკ დუდაევის დაკავების გარემოებები, რომელსაც ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის ბანდფორმირების მეთაურად და კრიმინალურ ავტორიტეტად აცხადებდა.

„ტვ 202“-მა არსებობა შეწყვიტა 2005 წლის 27 აგვისტოს, როცა რამიშვილი და კოხრეიძე ფულის გამოძალვის ბრალდებით დააპატიმრეს. პარლამენტის წევრმა მმართველი პარტიიდან, კობა ბექაურმა, განაცხადა, რომ რამიშვილი მას სამი თვის განმავლობაში აშატნაჟებდა და ჰპირდებოდა, რომ, 100 000 დოლარის სანაცვლოდ, „202“-ის ეთერში არ გაუშვებდა ვიდეოკადრებს, სადაც დაფიქსირებული იყო ბექაურის უკანონო საქმიანობა საბაჟო ტერმინალ „ოპიზაში“.[38] „60 წუთის“ მეთოდების გამოყენებით ბექაურმა ფულის გადაცემა ფარულ კამერაზე აღბეჭდა. შალვა რამიშვილი ირწმუნებოდა, რომ ფულის აღება მის მიერ წარმოებული ჟურნალისტური გამოძიების ნაწილი იყო, მაგრამ საქართველოს სასამართლომ, რომელსაც განხილული საქმეების 99,7%-ში გამამტყუნებელი განაჩენი გამოჰქონდა, ბექაურის მხარე დაიჭირა. რამიშვილს 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, კოხრეიძეს – 3-წლიანი.

„ტვ-33“-ის სიხშირის მფლობელმა, ვაჟა კილაძემ თავისი წილი მიჰყიდა ჰანს ფონ საქსენ-ალტენბურგს, რომელმაც მიუხედავათ ტელევიზიასთან დაკავშირებით საჯაროდ გამოთქმულ გრძელვადიანი გეგმებისა, [39]ის ორი კვირის შემდეგ გაყიდა.[40] ამის შედეგად „ტვ-33“ ტელეკომპანია „საქართველოდ“ გადაიქცა და მფლობელი რამდენჯერმე გამოიცვალა, სანამ 2008 წლის 2 თებერვალს დეველოპერული

38 Detained Shalva Ramishvili is in the Center of Media Attention. Media.ge. 29 აგვისტო, 2005 http://www.media.ge/en/node/12346 (05/12/2012)

39 ტელეარხი «TV-33» მაუწყებლობას 29 დეკემბერს განაახლებს. Media.ge 25 დეკემბერი, 2006 http://www.media.ge/node/22457 13/12/2012

40 მედია „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. https://www.youtube.com/watch?v=d-vefDcvLZY. (05/12/2012)

კომპანიის, „მაგი სტილის," თანადამფუძნებელ გიორგი გეგეშიძის საკუთრებაში არ აღმოჩნდა.[41] ტელეკომპანია „საქართველო" წმინდა გასართობი არხია და ძირითადად ჰოლივუდის ტრილერებს გადასცემს.

თუ „ვარდების რევოლუციის" შემდგომ წლებში არსებობდა ეჭვები იმის თაობაზე, მართლა ახდენს თუ არა მთავრობა დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლას, ისინი სრულიად გაქარწყლდა 2007 წლის 7 ნოემბერს, როდესაც პოლიციის სპეცრაზმმა საღამოს ახალი ამბების გადაცემის მომენტში ტელეკომპანია „იმედი" შტურმით აიღო. „იმედი" დახურეს, მისი აღჭურვილობის დიდი ნაწილი კი გაიტაცეს ან გაანადგურეს.[42]

„იმედმა" მაუწყებლობა 2003 წლის 15 მარტს დაიწყო. მისი მფლობელი მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი იყო. არხი თანდათანობით სულ უფრო კრიტიკული ხდებოდა არსებული ხელისუფლების მიმართ, რაც განსაკუთრებული სიცხადით ბანკის თანამშრომლის, სანდრო გირგვლიანის, სასტიკი მკვლელობის ამბების გაშუქებისას გამოჩნდა. გირგვლიანს 2006 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სასიკვდილოდ სცემეს.[43] მოგვიანებით, 2007 წლის შემოდგომაზე, პატარკაციშვილის მიერ სუბსიდირებულ ანტისამთავრობო გამოსვლებში 2 ნოემბერს ათეულათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ 7 ნოემბრისთვის აქციის მასშტაბი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული, პოლიციის სპეცრაზმმა პარლამენტის წინ შეკრებილი ერთი მუჭა მშვიდობიანი მომიტინგეები სასტიკად დაარბია. ამ ნაბიჯმა კონფრონტაციის გაღვივებას შეუწყო ხელი,

41 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 192-ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=39357 (05/12/2012)

42 საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადდა, ორმა ტელევიზიამ მაუწყებლობა შეწყვიტა სივილ ჯორჯია. 8 ნოემბერი, 2007 http://www.civil.ge/geo/article.php?id=16595 (05/12/2012)

43 ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. HUDOC. http://goo.gl/SgaTR (05/12/2012)

რადგან პროტესტში მონაწილე ადამიანებმა ეს ყველაფერი „იმედის“ ეთერში იხილეს და აქციის განსაახლებლად კვლავ შეიკრიბნენ. შეტაკებები ღამემდე გრძელდებოდა, საბოლოოდ კი „იმედში“ შეჭრით და 15-დღიანი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით დასრულდა.[44]

მართალია, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს აუცილებელი იყო პატარკაციშვილის მიერ დაგეგმილი და რუსეთიდან მხარდაჭერილი სახელმწიფო გადატრიალების აღსაკვეთად, მაგრამ ამ მოვლენებმა საერთაშორისო ასპარეზზე მისი რეპუტაცია მნიშვნელოვნად შელახა. ამას ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ თავად სააკაშვილიც ხელისუფლებაში მშვიდობიანი დემონსტრაციების გზით მოვიდა.

მას შემდეგ, რაც 2008 წლის 12 თებერვალს პატარკაციშვილი გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა, „იმედის“ მფლობელობა ფრიად საეჭვო ვითარებაში შეიცვალა. გიორგი ჯაოშვილი საკონსულტაციო ჯგუფ JMG-ის 70%-ს ფლობდა[45], ამ კომპანიას კი I-Media-ში 65%-იანი წილი ჰქონდა.[46] ის ასევე I-Media-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო. ჯაოშვილმა განაცხადა, რომ აიძულეს, თავისი წილი მიეყიდა ჯოზეფ კეისთვის (სოსო კაკიშვილისთვის),მილიარდერისშორეულინათესავისთვის რომელიც ამერიკაში მართვის ინსტრუქტორად მუშაობდა. იგი ირწმუნებოდა, რომ პატარკაციშვილის ანდერძის აღმსრულებელი იყო.[47] საბუთების ნახვის შემდეგ ჯაოშვილი კეის ნოტარიუსთან გაჰყვა. პრესკონფერენციაზე

44 სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეები დაშალეს. სივილ ჯორჯია. 7 ნოემბერი, 2007 http://www.civil.ge/geo/article.php?id=16559 (05/12/2012)

45 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 31-ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=36791 (05/12/2012)

46 ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი ოფიციალური მფლობელი ზეწოლაზე საუბრობს. სივილ ჯეორჯია. 10 დეკემბერი, 2008 http://www.civil.ge/geo/article.php?id=20188 (05/12/2012)

47 იქვე

მან განაცხადა, ნოტარიუსთან ყოფნისას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით იყო გარშემორტყმული.

„მე ავუხსენი მათ, რომ არ მქონდა ჩემი აქციების გაყიდვის ან გადაცემის უფლება სხვა თანამფლობელების თანხმობის გარეშე“, – განაცხადა ჯაოშვილმა. „სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლებმა, რომლებიც იქ იყვნენ, მითხრეს, რომ სხვა თანამფლობელებთან პრობლემები არ შეიქმნებოდა. შემდეგ მე ავუხსენი მათ, რომ „იმედის“ აქტივები დაყადაღებულია [პატარკაციშვილის აქტივები იანვარში დააყადაღეს სისხლის სამართლის ბრალდებებთან დაკავშირებით] ... თუმცა, ორი საათის შემდეგ მათ მოიტანეს დოკუმენტები და განაცხადეს, რომ მის ქონებას ყადაღა მოეხსნა. ამის შემდეგ ხელი მოვაწერე ყიდვა-გაყიდვის შეთანხმებას.“[48]

მან ასევე განაცხადა, რომ იმავე დღეს სამართალდამცავებმა წაიყვანეს ფინანსური პოლიციის ოფისში, სადაც მოსთხოვეს, „ნებაყოფლობით“ გადამდგარიყო I-Media-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან.[49]

მაშინ, როდესაც პატარკაციშვილის ოჯახი მათ ნათესავ კეისთან სასამართლო დავას აწარმოებდა, კეიმ 2009 წლის თებერვალში თავისი წილის 90% სააგენტო „რას ალ ხაიმას“ (RAK) მიჰყიდა, რომელიც მისი სახელით თუ ვიმსჯელებთ არაბთა გაერთიანებული საამიროების ადგილობრივ საინვესტიციო წარმომადგენლობის მიერ სუბსიდირებული კომპანია იყო. გარიგების ფასი საიდუმლო დარჩა.

აღსანიშნავია რომ ერთი წლით ადრე არაბთა გაერთიანებული საამიროების საინვესტიციო სააგენტომ /RAKIA/ შეიძინა ფოთის პორტი, სადაც თავისუფალი ინდუსტრიული ზონა უნდა განევითარებინა,[50]მაგრამ

48 იქვე

49 იქვე

50 ქეიმ "იმედი" არაბულ კომპანიას მიყიდა. სივილ ჯორჯია. 25 თებერვალი, 2009
http://www.civil.ge/geo/article.php?id=20602 (05/12/2012)

რაც შეეხება ჯოსეფ ქეისთან მისი სახელით დადებულ ხელშეკრულებას არაბთა გაერთიანებული საამიროების საინვესტიციო ჯგუფმა აღნიშნა რომ იგი ამ გარიგებაში საერთოდ არ მონაწილეობდა და საქართველოში არსებული კომპანია უბრალოდ მისი სახელით იყო დარეგისტრირებული და ამ ორ კომპანიას ერთმანეთში არანაირი ურთიერთობა არ აკავშირებდათ.[51]

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე გიორგი არველაძე, 45%-იანი წილით, „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ უმსხვილესი თანამფლობელი იყო, [52] ხოლო „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ ფლობდა „იმედს.“[53] მას შემდეგ, საკუთრება პანამურ ოფშორულ ფირმას RAAK Georgia-ს გადაეცა, რომელსაც საბოლოოდ „იმედის“ მფლობელი კომპანიის „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპის“ აქციათა 90% ეკუთვნოდა. [54]„იმედის“ აქციების 30% ბიზნესმენ გიორგი კოხარაშვილის საკუთრებაში იყო.[55] ამას გარდა, ის რამდენიმე საშუალო ზომის ბიზნესის მფლობელი იყო, მათ შორის, A Gas-ის, Geo Snack Service-ის, საქართველოს საინვესტიციო ჰოლდინგის, შპს „გეო კირის“, Geo Construction-ის, „მესხური სახლის“,

51 არაბული კომპანია “იმედის” წილების ფლობას უარყოფს. სივილ ჯორჯია. 4 თებერვალი, 2010. http://www.civil.ge/geo/article.php?id=22303 05/12/2012

52 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 23/02/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=385934&app_id=446179 12/12/2012

53 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 23/02/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=385952&app_id=446192 13/12/2012

54 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 16/03/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=34548&app_id=40392 12/12/2012

55 იქვე

„შატილისა“ და „კოლმეურნის“[56]. „იმედის“ წილის 15% ეკუთვნოდა გიორგი მიქელაძეს, რომელიც, ამასთანავე, უძრავი ქონების დეველოპერული კომპანიების, „ბენეტისა“ და „ბენეტ კაპიტალის“, 80%-ს ფლობდა.[57] აღსანიშნავია, რომ ორივე ეს კომპანია თბილისში აქტიურ საქმიანობას ეწევა.[58] ჯოზეფ კეის, მართვის ინსტრუქტორს ამერიკიდან „იმედის“ წილის 10% რჩებოდა.

საყურადღებოა, რომ გიორგი არველაძის პოლიტიკური კარიერა 1990-იანი წლებიდან იწყება, როდესაც იგი იუსტიციის სამინისტროში სააკაშვილის მინისტრობის პერიოდში მუშაობდა. „ვარდების რევოლუციისას“ ის სააკაშვილის უახლოეს გარემოცვაში მოიაზრებოდა; შემდეგ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე იყო; მოგვიანებით პარლამენტის წევრად აირჩიეს, საიდანაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი გახდა. როდესაც დანიშვნიდან 10 დღის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა ეკონომიკისა და

56 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 26/09/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=459624&app_id=534661 (12/12/2012) 03/05/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=412967&app_id=482329 (12/12/2012) 20/08/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=450004&app_id=523388 (12/12/2012) 05/02/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=412605&app_id=481354 (12/12/2012) 26/12/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=360747&app_id=416219 (12/12/2012) 26/08/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=306635&app_id=352918 (12/12/2012)

57 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 20/06/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=430677&app_id=501851 12/12/2012

58 ტელეკომპანია იმედის ახალი მფლობელები. Media.ge. 29 დეკემბერი, 2011 http://www.media.ge/content/telekompania_imedis (05/12/2012)

მდგრადი განვითარების მინისტრის პოსტი დატოვა, მისი ადგილი არველაძემ დაიკავა, თუმცა 2008 წლის იანვარში პოლიტიკა მიატოვა და ბიზნესზე გადაერთო. 2010 წლის 13 მარტს (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ორი თვით ადრე) ის საზოგადოების ყურადღების ცენტრში ფრიად ნეგატიური კუთხით მოექცა, როდესაც მისი მითითებით „იმედმა“ რუსეთთან ომის განახლების შესახებ მოდელირებული რეპორტაჟი გაავრცელა. ამას მოსახლეობაში პანიკა მოჰყვა, დამოუკიდებელი ქართული მედიის მიმართ ნდობა კი მნიშვნელოვნად შეირყა.[59]

ტელეკომპანია „ალანიამ“ მაუწყებლობა 2005 წელს სამაუწყებლო ლიცენზიის გარეშე დაიწყო, როგორც ჩანს, ისე, რომ ამის შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი არველაძემ არაფერი იცოდა.[60] 2007 წელს მას ჰკითხეს, „ალანია“ მაუწყებლობისთვის რომელ სიხშირეს იყენებდაო, რაზედაც მიუგო, რომ ასეთი ტელეარხის შესახებ არაფერი იცოდა.[61] მისმა მეგობარმა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა კარგად უწყოდა ამ ტელევიზიის არსებობის თაობაზე და რამდენიმე ჟურნალისტის წინაშე განაცხადა, რომ საღამოობით სწორედ ამ არხს უყურებდა.[62]

„ალანია“, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2007 წლის ივლისში დარეგისტრირდა, პრეზიდენტის ზემოთ მოყვანილი განცხადებიდან 7 თვის შემდეგ,[63] ლიცენზია კი 2008 წლის 16 მაისს მიიღო. იმ სამი წლის განმავლობაში, როდესაც უკანონოდ მაუწყებლობდა, „ალანიას“ უყურებდნენ საქართველოს

59 „იმედის” ხელმძღვანელი დადგმულ რეპორტაჟს იცავს. სივილ ჯორჯია. 15 მარტი. 2010 http://www.civil.ge/geo/article.php?id=22471 (19/11/2012)

60 მედია „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. https://www.youtube.com/watch?v=d-vefDcvLZY. (05/12/2012)

61 იქვე

62 იქვე

63 იქვე

მთელ ტერიტორიაზე, სამხრეთ ოსეთის ცხინვალის რეგიონის ჩათვლით, რომელიც მისი სამიზნე აუდიტორია იყო. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებდა, რომ ამ არხის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, იმის მიუხედავადაც კი, რომ „ალანიას“ ყოველკვირეული სატელევიზიო განრიგი გაზეთ „ტვ პროგრამაში“ იბეჭდებოდა.[64] კომისიაში აცხადებდნენ, რომ არასოდეს განუხორციელებიათ „ალანიას“ სიგნალის მონიტორინგი, ამას კი იმით ხსნიდნენ, რომ მათთვის ეს არავის დაუვალებია.[65]

რადიო „უცნობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, კახი ყურაშვილმა განაცხადა, რომ „ალანია“ საკაბელო ქსელის მეშვეობით მაუწყებლობდა.

„საკაბელო ქსელის ოპერატორები არიან „აიეტი“, „გლობალ ერთი“ და მრავალი სხვა. მაგრამ ისინი არ ითვლებოდა მაუწყებლად. აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი იურიდიული თავისებურება. ჩემთან, როგორც იურიდიული დეპარტამენტის უფროსთან, არც ერთი დოკუმენტი არ არის შემოსული იმასთან დაკავშირებით, რომ ტელეკომპანია „ალანიას“ რაიმე რადიოსიხშირული რესურსი ჰქონდა დაკავებული უკანონოდ.“, – განაცხადა ყურაშვილმა.[66]

აღსანიშნავია, რომ, კანონის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კაბელის მეშვეობით მაუწყებლობს, ტელევიზიას ლიცენზია მაინც სჭირდება. მეტიც, სააკაშვილმა 2007 წელს განაცხადა, რომ „ალანიას“ ცხინვალის მოსახლეობის 95% უყურებდა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება მის სიგნალს ახშობდა. ნიშანდობლივია, რომ ვერც ერთი საკაბელო ტელევიზია ცხინვალს ვერ ფარავდა.[67]

---

64 იქვე

65 იქვე

66 იქვე

67 იქვე

სიმართლე ისაა, რომ „ალანია“ სინამდვილეში იყო სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი „საიდუმლო“ არხი, რომლის დანიშნულება, სეპარატისტულ ტერიტორიასთან დაახლოების პოლიტიკის მიზნით სამხრეთ ოსეთის ცხინვალის რეგიონზე მაუწყებლობა გახლდათ. ეს არხი სატელევიზიო კომპანია „ობიექტივის“ ყოფილ სიხშირეს იყენებდა.[68]

ტელეკომპანია „ობიექტივი“ 2001 წელს დაფუძნდა; მისი მესაკუთრე ქეთევან ასათიანი იყო.[69] 2004 წელს მისი წარმომადგენელი საქართველოში და ტელევიზიის ტექნიკური დირექტორი, მიშა აგლაძე, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დაიბარეს. როგორც თავად აცხადებს, კომისიის თავმჯდომარემ, დიმიტრი ქიტოშვილმა უთხრა, შეიძლება პრობლემები შეგექმნას და ლიცენზია გაგიუქმოთო.[70] მალევე აგლაძეს ქიტოშვილის მეზობელი, ვინმე დავით კაკაურიძე, პროფესიით სტომატოლოგი, დაუკავშირდა და უთხრა, რომ პრობლემებს კომპანიის 50%-იანი წილის გადაცემის სანაცვლოდ „მოუგვარებდა“. კაკაურიძე, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ლიცენზიისთვის ყოველწლიურად შესატანი 4,000 ლარის გარდა, კიდევ 10,000 ლარის გადახდას დათანხმდა, ამის სანაცვლოდ კი დამატებით 1% მოითხოვა და შედეგად საკონტროლო პაკეტი მიიღო.[71]

როდესაც კაკაურიძემ თანხა არ გადაიხადა, „შპს ტელეკომპანია ობიექტივი“ სასამართლოში იჩივლა. ქეთევან ასათიანმა 51%-იანი წილის თაობაზე დავით კაკაურიძესთან დადებული შეთანხმების ანულირება მოითხოვა, რადგან ეს გარიგება ზეწოლის პირობებში მოხდა და, შესაბამისად, უკანონოა. ამ საქმეზე სასამართლოს განაჩენი არ ჰქონდა გამოტანილი, როცა ქიტოშვილი, რომელიც მაშინ პრეზიდენტის პრესსპიკერი და საპარლამენტო მდივანი

68 იქვე

69 იქვე

70 იქვე

71 იქვე

იყო, გამოძალვის ბრალდებით დააპატიმრეს. ეს დაკავება 2007 წლის სექტემბერში ირაკლი ოქრუაშვილის საქმეს დაემთხვა.[72] იურისტ თამარ კორძაიას ეს უკანონოდ მიაჩნია, რადგან, მოქმედი მარეგულირებელი წესების თანახმად, პარტნიორს მხოლოდ 60%-იანი წილის ფლობის შემთხვევაში შეუძლია წილის სხვისთვის გადაფორმება. ჭარხალაშვილმა, თავის მხრივ, ეს წილი მიჰყიდა ვინმე კვირიკაშვილს,რომელმაცსახელმწიფოს„ობიექტივისთვის“ ლიცენზიის გადაცემის თხოვნით მიმართა. იმ პერიოდში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა კაკაურიძესა და ასათიანს შორის 2004 წელს დაწყებული დავა წილის დაბრუნების თაობაზე. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ასათიანის წარმომადგენელმა ლიცენზიის დაყადაღება მოითხოვა, მაგრამ სასამართლოსგან უარი მიიღო. ეს ლიცენზია სახელმწიფომ ტელეკომპანია „ალანიას“ გადასცა.[73]

აღმოჩნდა, რომ ტელეკომპანია „ალანიას“ 100%-იანი წილის მფლობელია მამუკა თათოშვილი, „რუსთავი 2“-ის ყოფილი ოპერატორი და მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, ბავშვობის მეგობარი.[74]

მაშინ, როდესაც ტელეკომპანია „ალანია“ 3 წლის განმავლობაში უკანონოდ მოპოვებულ არხზე მაუწყებლობდა, სახელმწიფოსგან ყოველგვარი შეფერხებების გარეშე, ტელეკომპანია „ევროპა“ ჯერ სპეცოპერაციის ობიექტი გახდა, შემდეგ კი ეთერიდან იმის გამო გაქრა, რომ ორი დღის განმავლობაში კანონის დარღვევით მაუწყებლობდა.[75]

ტელეკომპანია „ევროპა“ თბილისში 2004 წელს შეიქმნა. მისი მთავარი მეწილე მოსკოველი ბიზნესმენი თეიმურაზ შენგელია იყო. ტელეკომპანია ხელშეკრულებით „ევრონიუსის“ ინფორმაციებს უშვებდა და, პარალელურად, საკუთარი საინფორმაციო გადაცემაზედაც მუშაობდა.

72 იქვე

73 იქვე

74 იქვე

75 იქვე

2004 წლის 12 აგვისტოს ტელეკომპანია „ევროპამ“ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გაუგზავნა ოფიციალური შეტყობინება, რომელშიც აცხადებდა, რომ მაუწყებლობას 38-ე არხზე იწყებდა, მაგრამ მეორე დღესვე კომუნიკაციების კომისიამ „ევროპის“ წინააღმდეგ ლიცენზიის შეჩერების თაობაზე საქმე აღძრა და ერთ თვეში გაუუქმა კიდეც იმ მოტივით, რომ 18-19 აგვისტოს „ევროპას“ შეწყვეტილი ჰქონდა ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობა და არ მაუწყებლობდა.[76]

ტელეკომპანია „ევროპამ“ განაცხადა, რომ მაუწყებლობა ტექნიკური პრობლემების გამო ვერ შეძლო, რაც „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ დაადასტურა. ტელეკომპანიამ კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. სასამართლოს პირველმა და მეორე ინსტანციებმა ტელეკომპანიის სარჩელი არ დააკმაყოფილეს, უზენაესმა სასამართლომ კი ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება ბათილად ცნო და საქმე ხელახლა განსახილველად პირველ ინსტანციაში დააბრუნა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ტელეკომპანიას მაუწყებლობის ავტომატურად აღდგენის უფლებას არ აძლევდა, თუმცა „ევროპის“ ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ მათ უფლება ჰქონდათ, ეთერში ისევ „ევრონიუსის“ რეტრანსლაცია გაეშვათ, და 2005 წლის 28 და 29 ნოემბერს ისინი ეთერში გავიდნენ. კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან მათ მიაკითხეს და აუხსნეს, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მაუწყებლობის განახლების უფლებას არ აძლევდათ, და მათაც იმავე დღეს გამორთეს ეთერი. [77]

30 ნოემბერს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის იურისტმა, კახი ყურაშვილმა სამართალდამცველებს მისცა ჩვენება, რომლის თანახმად, „ევროპის“ უკანონო

76 იქვე

77 იქვე

მაუწყებლობის გამო კომისიამ 50 000 ლარის ოდენობის ზარალი განიცადა.[78]

„ზიანი გამოძიების ორგანომ აითვალა იმ სიხშირის უკანონოდ სარგებლობის ფაქტიდან გამომდინარე, რომელი სიხშირეც იყო დაკავებული ამ ტელეკომპანია „ევროპის“ მიერ უკანონოდ, ულიცენზიოდ და თვითონ ოდენობა განისაზღვრა სალიცენზიო გადასახდელის ოდენობის პირდაპირპროპორციულად; ანუ კონკურსის წესით, ეს ლიცენზია, ეს სიხშირე რომ გაეცა კომისიას, რა თანხა იქნებოდა მისი ფასი?“, – განაცხადა ყურაშვილმა.[79]

„ევროპას“ აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომ 10-წლიანი ლიცენზიისთვის ყოველწლიურად 3 500 ლარი გადაეხადა, სულ 35 000 ლარი. ეს გარემოება ყურაშვილის მიერ დასახელებულ თანხას ფრიად უჩვეულოს ხდის. მიუხედავად ამისა, სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა (სოდ) ტელეკომპანიის მფლობელების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. [80]

„დაახლოებით 15 კაცი, სოდ-ის თანამშრომლებს ყველას ფორმები ეცვა, სამს კი სამოქალაქო ტანსაცმელი. დააპატიმრეს ჩვენი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლოიდ ჯიქურიძე, დაიწყეს ოთახებში სირბილი, დაბლა იდგა ორი დიდი მანქანა და მიდიოდა აპარატურის ამოღება, დაწყებული სახურავიდან: გადამცემები, რეტრანსლიატორები, ყველაფერი. ყველაზე მეტად სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილები აქტიურობდნენ, არჩევდნენ, რა უნდა წაეღოთ. არც ერიდებოდათ, ურეკავდნენ ვიღაცა ალეკოს, - აი, ეს არის, წამოვიღოთ? ჩააწყვეთ, - იტყოდნენ, - და ასე გაიტანეს დაახლოებით 60 ათას დოლარამდე ღირებულების სხვადასხვა აპარატურა,“, – ამბობს არხის ტექნიკური დირექტორი ირაკლი შარაშიძე.[81]

78 იქვე

79 იქვე

80 იქვე

81 იქვე

პოლიციელებმა ტელეკომპანიის კუთვნილი 50 თუ 60 ლიცენზირებული ფილმიც წაიღეს. შარაშიძე ამბობს, რომ 2006 წლის იანვარში ეს ფილმები ტელეკომპანია „ალანიას“ ეთერში ნახა. მისივე თქმით, „ევროპიდან“ წაღებული აპარატურაც „ალანიაში“ გადაბარგდა. „ალანიას“ ხელმძღვანელობა ყველა ამ ბრალდებას უარყოფს.[82]

„კავკასია“ ერთ-ერთი იყო იმ ორი თბილისური ტელეარხიდან, რომლებიც „ოპიზიციურად“ მიაჩნდათ, თუმცა მის მფლობელი და მმართველი, ნინო ჯანგირაშვილი, ამ დეფინიციას არ ეთანხმებოდა, რადგან ის გულისხმობდა, თითქოს არხი ოპოზიციური პოლიტიკოსების გავლენას განიცდდა. იგი ირწმუნებოდა, რომ მისი ტელეკომპანია „დამოუკიდებელი“ იყო. ჯანგირაშვილი აცხადებდა, რომ 7 ნოემბერს „იმედზე“ განხორციელებული რეიდის შემდეგ მას მთავრობასთან დაახლოებული „ბიზნესმენი“ დაუკავშირდა და დაემუქრა, რომ, თუ სარედაქციო პოლიტიკას არ შეცვლიდნენ ან ტელეკომპანიას არ გაყიდდნენ, მათაც დახურავდნენ.[83] მაშინ „კავკასიამ“ შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება და, მიუხედავად მათ არხზე რეკლამის დამკვეთთა შემცირებისა, იგი ამჟამადაც ეთერში გადის.

მეორე თბილისური ოპოზიციური არხი იყო „მაესტრო“, რომელიც 1995 წელს არის დაფუძნებული. ტელეკომპანიის 25% მუსიკოსსა და სააკაშვილის მთავრობის მგზნებარე კრიტიკოსს, გიორგი გაჩეჩილაძეს, მეტსახელად „უცნობს“, ეკუთვნის. ის არის ძმა ლევან გაჩეჩილაძისა, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე სააკაშვილის კონკურენტი იყო და არჩევნები წააგო. 25% ტანსაცმლის დიზაინერისა და ავიაკომპანია „აირზენას“ ყოფილი პრეზიდენტის, მაკა ასათიანის, საკუთრებაშია. მისი მეუღლეა კოტე გოგელია, მდიდარი ბიზნესმენი და

82 იქვე

83 Kavkasia TV and the End of Independent Media. The Messenger Online. July 18, 2012 http://www.messenger.com.ge/issues/1651_july_18_2008/1651_kavkasia.html (05/12/2012)

ოპოზიციური „ქართული პარტიის“ ყოფილი ლიდერი. „მაესტროს“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, მამუკა ღლონტს, 15%-იანი წილი ეკუთვნის. ასევე 15–15%-ს ფლობენ ლევან ჩიკვაიძე და გიორგი ებრალიძე, ეკატერინე აკობიას მფლობელობაში კი 5%-ია.[84]

2012 წლის თებერვალში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „მერსედეს საქართველოში“ ასათიანის 20%-იან წილს ყადაღა დაადო. მაკა ასათიანს ეს „მაესტროს“ საქმიანობაში მისი ჩართულობის გამო ანგარიშსწორებად მიაჩნია, რადგან ის ტელეკომპანიის ჟურნალისტებს ხელფასებს უხდის და არხისთვის ახალ აღჭურვილობას ყიდულობს.[85] ივლისში გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მაკა ასათიანმა განაცხადა, რომ, „მაესტროს“ დატოვების სანაცვლოდ, ხელისუფლება „მერსედეს საქართველოსთან“ დაკავშირებული საქმის მოგვარებას დაჰპირდა.[86]

2011 წლის ბოლოს ტელეკომპანიის მფლობელებსა და ეროსი კიწმარიშვილს შორის წარმოქმნილი დავის გამო „მაესტრო“ კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. კიწმარიშვილს 2009 წელს ტელეკომპანიის მართვის უფლება 3 წლის ვადით ჰქონდა ნაყიდი.[87] „მაესტროს“ 3 მეტრის სიმაღლის ღობეზე გადაძრომის შემდეგ ეროსი კიწმარიშვილს ხშირად ხუმრობით „სპაიდერმენსაც“ ეძახიან. კიწმარიშვილი ტელეკომპანიის სტუდიაში შეიჭრა და მაუწყებლობის ხელში ჩაგდება

84 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 12/03/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=391748&app_id=451889 (05/12/2012)

85 დიმიტრი გაბუნია - „მაკა ასათიანის ქონება „მაესტროს“ გამო დააყადაღეს“. Media.ge. 6 მარტი, 2012 http://www.media.ge/stories/dimitri_gabunia_maka_asa (14/11/2012)

86 „არ გავცვლი „მაესტროს“ არც „მერსედესზე“ და არც სხვა აქტივზე!“ - მაკა ასათიანი. Media.ge. 2 ივლისი, 2012 http://www.media.ge/stories/argavtsvlimaestrosartsme (14/11/2012)

87 Vaulted into an Imedi scandal. Democracy and Freedom Watch. December 2, 2012 http://dfwatch.net/vaulted-into-an-imedi-scandal-95700 (14/11/2012)

სცადა, მაგრამ „მაესტროს“ თანამშრომლებმა ღლონტის მხარე დაიკავეს და მაუწყებლობა რადიო „უცნობის“ სტუდიიდან „პარტიზანულად“ განაახლეს.[88] ამჟამად „მაესტროს“ მფლობელებსა და კიწმარიშვილს შორის დავა სასამართლოში გრძელდება, ტელეარხი კი თავისი სტუდიიდან ჩვეულ პირობებში მაუწყებლობს, ხოლო კიწმარიშვილი განთავისუფლებულია სამსახურიდან.

„მაესტრო“ ყურადღების ცენტრში 2012 წლის ივლისშიც მოექცა, როდესაც საქართველოს მთავრობამ მისი კუთვნილი ათასობით სატელიტური თეფშის კონფისკაცია მოახდინა. მთავრობამ განაცხადა, რომ ეს ანტენები იყო ნაწილი ამომრჩევლის მოსყიდვის სქემისა, რომელსაც ოპოზიციის მილიარდერი ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი, მართავდა. „მაესტრო“ ამტკიცებს, რომ ამ ანტენებს ივანიშვილთან არავითარი კავშირი არა აქვს[89] და ისინი იმ აქციის ფარგლებში ჩამოიტანეს, რომლის სახელწოდებაა „მაესტრო“ ყველა ოჯახში“.

„ტვ 9“ (შპს „მეცხრე არხი“) მთლიანად Accept LLC-ს საკუთრებაშია.[90] Accept LLC-ის 80% პრემიერ მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს, ეკატერინე ივანიშვილს, ეკუთვნის, დანარჩენ 20%-ს კი ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი და ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში მყოფი რამდენიმე კომპანიის მმართველი, კახა კობიაშვილი, ფლობს.[91] მის მიერ მართულ კომპანიებს შორისაა

88 TV staff jailed in Tbilisi. Democracy and Freedom Watch. January 5, 2012http://dfwatch.net/tv-staff-jailed-in-tbilisi-60010 (14/11/2012)

89 „მაესტროს“ მიერ შემოტანილი სატელიტური ანტენების მორიგი პარტია დააყადაღეს. სივილ ჯორჯია. 24 ივლისი, 2012 http://www.civil.ge/geo/article.php?id=25750 (14/11/2012)

90 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 24/05/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=421345&app_id=490972 (05/12/2012)

91 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 16/01/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=369086&app_id=425615 (05/12/2012)

„ქართული ჰოლდინგი“ [92] და „ჰოლდინგი ოცდამეერთე“[93]. ტელეკომპანიას სახმელეთო მაუწყებლობის ლიცენზია არ აქვს და მაუწყებლობს „გლობალ ტვ“-ის მეშვეობით[94], რომლის წილის 66,8% ივანიშვილის ძმას, ალექსანდრეს, ეკუთვნის.[95]

ტელეკომპანიამ მაუწყებლობა 2012 წლის აპრილში დაიწყო, თუმცა კომპანია ჯერ კიდევ მოუწყებლობის დაწყებამდე სკანდალის ობიექტი გახდა. თებერვალში ივანიშვილმა განაცხადა, რომ 450 000 ევროს ღირებულების სატელიტური სადგური საბაჟოზე შეგნებულად დააზიანეს, ივანიშვილის სხვა კომპანიების ქონებასთან ერთად.[96] ივნისში საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დააკავა ათასობით სატელიტური თეფში, რომლებიც „გლობალ ტვ“-ს სარეკლამო კამპანიის ფარგლებში აბონენტებისთვის უნდა დაერიგებინა. მთავარ პროკურატურას მიაჩნია, რომ ამ ანტენებით ამომრჩევლების მოსყიდვას ცდილობდნენ, რადგან „გლობალ ტვ“ ივანიშვილის „ტვ 9“-ის ერთადერთი მაუწყებელი იყო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ივანიშვილი 63,1 მილიონი ლარით დააჯარიმა.[97]

---

92 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 19/03/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=36655&app_id=44502 (12/12/2012)

93 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 18/03/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=36068&app_id=44491 (12/12/2012)

94 ივანიშვილის ტელევიზიამ მაუწყებლობა დაიწყო. სივილ ჯორჯია. 1 მაისი, 2012 http://www.civil.ge/geo/article.php?id=25405 (14/11/2012)

95 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 06/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=470746&app_id=546176 (05/12/2012)

96 ივანიშვილის ტელეკომპანიის მოძრავი სატელევიზიო სატელიტური სადგური 'შეგნებულად დააზიანეს'. სივილ ჯორჯია. 14 თებერვალი, 2012 http://www.civil.ge/geo/article.php?id=25111 (14/11/2012)

97 „გლობალ TV“–ის სატელიტური ანტენები დაყადაღებულია. სივილ ჯორჯია. 21ივნისი, 2012 http://www.civil.ge/geo/article.php?id=25615 (14/11/2012)

ზოგიერთი ტელეკომპანიის მფლობელი ჩივის, რომ მთავრობა ლიცენზირების პროცესში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მეშვეობით ერევა. ეს კომისია 2000 წელს შეიქმნა, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი სააგენტო.[98] მისი ფუნქცია საქართველოს სატელეკომუნიკაციო და სამაუწყებლო კომპანიების ლიცენზირება და მეთვალყურეობაა. ის ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგსა და რეგულირებას ახორციელებს. მისი ერთ-ერთი ფუნქცია ლიცენზიის მფლობელების მიერ სარეკლამო კანონმდებლობის დაცვის მონიტორინგია. საქართველოს პრეზიდენტი კომისიის 5 წევრისგან შემდგარ სამეთვალყურეო საბჭოს პარლამენტის თანხმობით ნიშნავს. კომისია კანონით აბსოლუტურად დამოუკიდებელია და არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურას არ ექვემდებარება, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ კომუნიკაციების ეროვნული კომისია რეგულაციას დიდი გულმოდგინებით ახორციელებს, ზოგჯერ კი თავის მოვალეობას საერთოდ არ ასრულებს. ეს იმიტომ, რომ სიტყვას „დამოუკიდებელი“ საქართველოში ფრიად სუბიექტური დატვირთვა აქვს.

სანამ 2009 წლის ზაფხულში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გახდებოდა, ირაკლი ჩიქოვანი „რუსთავი 2“-ის დირექტორი[99] და თანამფლობელი[100] იყო. თავმჯდომარეობის პირველი წლის განმავლობაში ის განაგრძობდა „მედიაჰაუზის“ თანამფლობელობას, რომელიც გაყიდვებით ქვეყნის სიდიდით მეორე სარეკლამო კომპანია იყო და რეკლამას „რუსთავი 2“-ზე, „მზეზე“ და რამდენიმე სხვა არხზე

98 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებსაიტი. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=3051 (05/12/2012)

99 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 149-ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=76222 (05/12/2012)

100 ”რუსთავი 2”-ის ერთ-ერთი მფლობელი მისი გენერალური დირექტორი გახდა. სივილ ჯორჯია. 12 ნოემბერი, 2008 http://www.civil.ge/geo/article.php?id=19982 (14/11/2012)

ყიდდა.[101] 2010 წელს ჩიქოვანმა „მედიაჰაუზი“ და მისი კლიენტები სარეკლამო გაყიდვების ყველაზე დიდ კომპანიას, „ჯენერალ მედიას“, მიჰყიდა.[102]

ამის პარალელურად, ჩიქოვანი სამშენებლო კომპანიების, „მენო ინტერნეშენლის“, „ბედეგისა“[103] და „მაგი სტილის“[104], წილების მფლობელად რჩებოდა. ყველა ამ კომპანიის თანამფლობელი, მასთან ერთად, არის გიორგი გეგეშიძე, „რუსთავი 2“-ის დირექტორი, რომელიც, თავის მხრივ, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულაციებს ექვემდებარება. „მაგი სტილი“ ქუთაისში ახალი პარლამენტის მშენებლობაში მონაწილეობდა. ამას გარდა, ჩიქოვანი არის სარეკლამო სააგენტო „მაგი სტილი მედიას“ თანამფლობელი[105], რომელიც, სხვა მომსახურებასთან ერთად, კლიენტებს გარე რეკლამას, სამაუწყებლო დიზაინსა და სატელევიზიო სარეკლამო პროდუქციას სთავაზობს. კომისიის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ჩიქოვანის საქმიანობა ინტერესთა კონფლიქტის წესებს არ არღვევს და ეს საკითხი მის დანიშვნამდე „შეისწავლეს“.[106] 2012 წლის 6 ნოემბერს „მაესტრომ“ ჩიქოვანსა და „კავკასუს ონლაინის“ წარმომადგენელს შორის საუბრის ფარული ჩანაწერი გამოაქვეყნა. ამ ჩანაწერის მიხედვით

---

101 „ჯენერალ მედია“ და „აუთდორ.ჯი – სარეკლამო ბაზრის ორი მონოპოლისტი 13 დეკემბერი. 2012 http://netgazeti.ge/GE/84/business/7414/ (05/12/2012)

102 იქვე

103 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 27/01/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=210203&app_id=238950 (05/12/2012)

104 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 15/02/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=20168&app_id=27763 (05/12/2012)

105 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 22/02/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=24179&app_id=32134 (05/12/2012)

106 ინტერესთა კონფლიქტი კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში. Media.ge. 18 ოქტომბერი, 2011 http://www.media.ge/content/interestha_konphliqti (14/11/2012)

ჩიქოვანი „კავკასუს ონლაინის“ მიერ კონტრაქტის გარეშე სატელევიზიო არხების ტრანსლირებას თითქმის ერთი წლის განმავლობაში მალავდა.[107]საუბრის ჩაწერის მომენტში „რუსთავი 2“-ს გეგეშიძე ხელმძღვანელობდა; მასვე ეკუთვნოდა ამ ტელეკომპანიის აქციების 10%. დარჩენილი 90%-ის მფლობელი, ლევან ყარამანიშვილი, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე დარეგისტრირებული გაუმჭვირვალე კომპანია „ნელგადო ლიმიტედის“ წარმომადგენელი იყო. აღსანიშნავია, რომ ეს კომპანია, თავის მხრივ, „კავკასუს ონლაინის“ 50%-ს ფლობდა (იმავე ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული International Online Networks-ის მეშვეობით).[108] არის თუ არა ჩიქოვანის, როგორც სკეკ-ის თავმჯდომარის, საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტი, თავად განსაჯეთ, თუმცა ერთი რამ აშკარაა – ამ საქმიანობით ის ძალიან მდიდარი კაცი გახდა.

მისი საგადასახადო დეკლარაციის თანახმად, ჩიქოვანმა 2010 წელს ამ ბიზნესებიდან 1,134,543 ლარის ($692,943) ოდენობის შემოსავალი მიიღო. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის პოსტზე 2010 წელს მან ხელფასის სახით დამატებით გამოიმუშავა 241,200.88 ლარი ($147,318)[109], რაც სამთავრობო პოსტისათვის ურიგო შემოსავალი სულაც არ არის. შედარებისათვის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელფასი 2010 წელს, მისი საშემოსავლო დეკლარაციის თანახმად, 56,640 ლარი იყო.[110]

---

107 „მაესტრო“ ირაკლი ჩიქოვანის მაკომპრომეტირებელ ჩანაწერს ავრცელებს. Media.ge. 6 ნოემბერი, 2012 http://www.media.ge/stories/maestroiraklichikovanism (13/12/2012)

108 ჩიქოვანის ინტერესთა კონფლიქტი მარეგულირებელ ორგანოში. საერთაშორისო გამჭირვალობა -საქართველო 12 ნოემბერი 2012 http://transparency.ge/blog/audio-chanatserit-ikveteba-interesta-konflikti (05/12/2012)

109 ირაკლი ჩიქოვანის 2010 წლის ქონებრივი დეკლარაცია. გვ 8-9. საჯარო სამსახურის ბიურო. http://www.declaration.ge/csb/report/report.seam?id=4945 (05/12/2012)

110 საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის 2010 წლის ქონებრივი დეკლარაცია. მე-8 გვერდი საჯარო სამსახურის ბიურო. http://www.declaration.ge/csb/report/report.seam?id=4675&lang=2 (05/12/2012)

2010 წლის ბოლომდე საქართველოს სატელევიზიო ბაზარზე ორი მედიასახლი დომინირებდა: „თაჩ მედია“ და „მედიაჰაუზი“. ისინი სარეკლამო სააგენტოებსა (და მედიადამგეგმავებს) და მედიასაშუალებებს შორის შუამავლის როლს ასრულებდნენ. ჩიქოვანის თანასაკუთრებაში მყოფი „მედიაჰაუზი“ [111] რეკლამას „რუსთავი 2“-ზე, „მზესა“ და „პირველ სტერეოზე“ ყიდდა, „თაჩ მედია“ კი – „იმედზე“ და „იმედის“ ჰოლდინგური კომპანია Georgian Media Production Group-ის შემადგენლობაში შედიოდა. Georgian Media Production Group-ის მფლობელები, 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იყვნენ: გიორგი არველაძე (45%), გიორგი კორახაშვილი (30%), გიორგი მიქელაძე (15%) და ჯოზეფ კეი (10%). [112]Georgian Media Production Group ამჟამად მთლიანად ბადრი პატარკაციშვილის ქვრივის, ინა გუდავაძის, საკუთრებაშია და მას ლიანა ჟმოტოვა მართავს. ორივე რუსეთის მოქალაქეა.[113]

„ჯენერალ მედია“ 2011 წლის დასაწყისში გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ „თაჩ მედია“ და „მედიაჰაუზი“ იურიდიული ერთეულის სახით ამჟამადაც არსებობენ, „ჯენერალ მედია“ რეალობაში მათი დე ფაქტო გაერთიანების შედეგი იყო.[114] „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ წარმომადგენლებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განუცხადეს, რომ ორ ტელეარხს შორის კონკურენციამ სარეკლამო ფასები ძალიან დაბალ ნიშნულზე დასწია, რაც ამ ტელეკომპანიებს

111 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 01/03/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=27690&app_id=35542 (12/12/2012)

112 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 27/12/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=362538&app_id=418411 (12/12/2012)

113 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 05/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=470351&app_id=546155 (12/12/2012)

114 სახელმწიფო ფული ეკრანს ანათებს. ლანა ბერიძე Media.ge. 3 თებერვალი, 2011 http://www.media.ge/node/40132 (14/11/2012)

წაგებაზე ამუშავებდა. ამიტომ ამ ორმა ტელეკომპანიამ გადაწყვიტა, ერთმანეთთან კონკურენცია შეეწყვიტათ და ერთ სარეკლამო გაყიდვების ფირმასთან – „ჯენერალ მედიასთან“ – ემუშავათ.[115] ეს გადაწყვეტილება საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ ინტერვიუში „ჯენერალ მედიას“ აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც „ჯენერალ მედია“ შეიქმნა, ფასების გაზრდა და ბაზრის გაფართოება იყო.[116]

„ჯენერალ მედიას“ აქვს ექსკლუზიური უფლება, გაყიდოს რეკლამები „რუსთავი 2“-ზე, „საქართველოზე“, „მზეზე“, „რეალ ტვ“-სა და „პირველ სტერეოზე“, რაც მას ბაზრის ფაქტობრივ მონოპოლისტად აქცევს. ვისაც ეროვნულ ტელეარხებზე რეკლამის განთავსება სურს, იძულებულია ამ კომპანიასთან დაიჭიროს საქმე. სხვადასხვა შეფასებით, დღესდღეობით „ჯენერალ მედია“ მთლიანი სარეკლამო შემოსავლების ორ მესამედს აკონტროლებს.

115 საქართველოს სარეკლამო სექტორი კონკურენციის და დამოუკიდებლობის ნაკლებობას განიცდის. გვ. 27. 13 დეკემბერი, 2011. http://goo.gl/TDJVz (05/12/2012)

116 იქვე

ვის ხელში იყო ტელეკომუნიკაციები?

გაიარეთ თბილისის ცენტრალურ ქუჩებში და ნახავთ, რომ ინტერნეტკაფეს პოვნა ამ ქალაქში იოლი სულაც არ არის. გლობალური ქსელის პატარ-პატარა ობიექტები „შავბნელი“ წარსულის მოგონებებადღა დარჩა – ამჟამად თბილისი საკმაოდ მოდერნიზებული ქალაქია, სადაც უსადენო ინტერნეტი ფუფუნების საგანი აღარ არის, ყოველ შემთხვევაში ცენტრალურ უბნებში მაინც.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (კკრც) მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 23% ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებს, რაც 2009 წლის მონაცემთან შედარებით 10%-ით მეტია. წესით, ეს ცხოვრების დონის ზრდაზე უნდა მეტყველებდეს, რადგან, გამოკითხულთა 40%-ის აზრით, ინტერნეტის ფასი ქვეყანაში მეტად მაღალია. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (სკეკ) 2011 წლის მონაცემებით[117], საქართველოში ინტერნეტმომსახურების აბონენტების რაოდენობა 49%-ით გაიზარდა და 1,637,905-ს მიაღწია.[118] აღსანიშნავია, რომ მობილური ტელეფონების გამოყენების მაჩვენებელი ბევრად მაღალია – კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის კვლევის თანახმად, ქართველების 55% ფიჭური კავშირგაბმულობით დღეში რამდენჯერმე სარგებლობს. ამ მაჩვენებლებს ზრდის ტენდენცია აქვს; შესაბამისად, აღნიშნულ მომსახურებაზე საბაზრო მოთხოვნილებაც იზრდება.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ყველა ადგილობრივი ინტერნეტპროვაიდერის მომსახურებით ვისარგებლე. აღმოჩნდა, რომ ფასები, სიჩქარე, საიმედოობა და ხარისხი ყველა კომპანიას დაახლოებით ერთნაირი

117 კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის ვებგვერდი: http://crrc.ge/oda/ (05/12/2012)

118 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის ანგარიში. 49-ე გვერდი http://www.gncc.ge/files/3100_2949_314871_1.pdf (05/12/2012)

აქვს. თუ შემეკითხებით, რომელი პროვაიდერი სჯობს, გიპასუხებთ, ნებისმიერი აირჩიეთ-მეთქი. ოღონდ, ძალიან გთხოვთ, მათი მფლობელების ვინაობას ნუ მკითხავთ.

საქართველოს ინტერნეტბაზარზე ორი პროვაიდერი დომინირებს. „სილქნეტი“ არის სააქციო საზოგადოება, რომელიც ბაზარზე რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა და ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ გადაქცევა მოახერხა. მის DSL-მომსახურებას ქვეყანაში ყველაზე მეტი აბონენტი ჰყავს – 76%. „კავკასუს ონლაინი“ არის შედეგი 2006 წელს განხორციელებული შერწყმისა, როდესაც „კავკაზუს ნეთუორქი“, „ჯორჯია ონლაინი“ და „სანეტი“ გაერთიანდნენ; მას ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურების ბაზრის უდიდესი წილი უკავია – 76%.[119]

საქართველოში ინტერნეტიდან მიღებულმა მთლიანმა შემოსავალმა 2010 წელს 80,2 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან „სილქნეტის“ შემოსავალმა 2010 წელს 10 თვის განმავლობაში, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით, 25,9 მილიონი ლარი შეადგინა.[120] მთელი წლის განმავლობაში „კავკასუს ონლაინის“ შემოსავალი 32,1 მილიონი ლარი იყო, დანარჩენი თანხა კი 28 პატარა პროვაიდერზე ნაწილდებოდა. აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის ანგარიში თითოეული პროვაიდერის შემოსავლის შესახებ ინფორმაციას არ შეიცავს.[121]

რაც შეეხება საქართველოს ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარს, აქ ძირითადად სამი კომპანიაა წარმოდგენილი. სკეკ-ის 2011 წლის მონაცემებით, ლიდერი არის „ჯეოსელი“, რომელიც ბაზრის 41,7%-ს (1,765,000 აბონენტი) ფლობს. მას მოსდევს „მაგთიკომი“ 37,9%-ით (1,604,000 აბონენტი) და

119 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის ანგარიში, გვ. 51. http://www.gncc.ge/files/3100_2949_314871_1.pdf (05/12/2012)

120 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის ანგარიში, გვ. 47. http://www.gncc.ge/files/3100_2949_473760_Annual%20report%202010.pdf (05/12/2012)

121 იქვე

„მობიტელი“ 20,4%-ით (611,000 აბონენტი). „სილქნეტი“ ფიჭური ტელეკომუნიკაციების ბაზარზე 2011 წლის დეკემბერში შევიდა და წლის ბოლომდე 1,782 აბონენტის დარეგისტრირება მოახერხა.[122]

საცალო ვაჭრობიდან საქართველოს ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების მთლიანი შემოსავალი 2011 წელს 441 მილიონ ლარამდე შემცირდა, მაშინ, როდესაც 2010 წელს 532 მილიონ ლარს შეადგენდა (დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის გაუთვალისწინებლად). სკეკ-ის 2010 წლის მონაცემებით, საცალო ვაჭრობიდან „ჯეოსელის“ მიერ მიღებული მთლიანი შემოსავალი 245,2 მილიონი ლარი იყო, „მაგთიკომისა“ – 227,6 მილიონი ლარი, „მობიტელის“ კი – 58,8 მილიონი ლარი.[123]

საქართველოს მთავარი ინტერნეტპროვაიდერებისა და მობილური ოპერატორების შესახებ ზოგადი ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების მოპოვება შედარებით იოლია, თუმცა საქმე უაღრესად რთულდება, როცა იმის გაგებას დავაპირებთ, ვინ არიან მათი რეალური მფლობელები ან/და ბენეფიციარი მესაკუთრეები. მაგალითად, საჯარო რეესტრში „სილქნეტის“ ამჟამინდელი მფლობელების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. 2010 წლის 24 მაისის მონაცემებით, „სილქნეტის“ ერთადერთი მესაკუთრე ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანია Ravenscar Investments Limited იყო.[124] შეგახსენებთ, რომ ეს არის ოფშორული ზონა, სადაც ფირმებს გადასახადებისთვის თავის ასარიდებლად და მფლობელობის ანონიმურობის უზრუნველსაყოფად არეგისტრირებენ. 2010 წლის 2 ივნისს „სილქნეტმა“ სტატუსი შეიცვალა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა,

122 იქვე

123 იქვე

124 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 20/05/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=61473&app_id=70695 (05/12/2012)

რაც იმას ნიშნავს, რომ მას მესაკუთრეების ვინაობის გამჟღავნება აღარ მოეთხოვება. ასე რომ, თუ ვინმე იტყვის, რომ „სილქნეტი“ ვანოსია (ექსპრემიერ ვანო მერაბიშვილის), ის შეიძლება სავსებით მართალი აღმოჩნდეს.

„სილქნეტის“ შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ მისი მეწილე „სილქ როუდ ჯგუფია“[125], თუმცა იმის გამო, რომ „სილქნეტი“ სააქციო საზოგადოებაა, მისი წილის ოდენობა უცნობია. ვიცით, რომ „სილქ როუდ ჯგუფის“ მთავარი მესაკუთრეები არიან გიორგი რამიშვილი[126], ალექსეი თოფურია და გერმანული გვარის მქონე დავიდ ფრანც ბორგერი, რომელიც 2010 წლიდან „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. გიორგი რამიშვილი, მეტსახელად „ზარალა“, ბევრისთვის უფრო დონალდ ტრამპთან „თანამშრომლობით“ არის ცნობილი. 2010 წელს მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ბათუმში „ტრამპ ტაუერის“ მშენებლობას ითვალისწინებდა.[127] თოფურია „სილქ როუდ ჯგუფის“ მმართველი საბჭოს წევრია და კომპანიაში ტრანსპორტირების ბიზნესს კურირებს.[128]

„სილქ როუდ გრუპის” ისტორია შფოთიან 90-იანებში იწყება, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გიორგი რამიშვილმა რეგიონში საქონლის გადამზიდავი პატარა ფირმა დააფუძნა. დღეს „სილქ როუდ გრუპი” ბენზინისა და ნავთობპროდუქტების გადამზიდავი და ამ პროდუქტებით მოვაჭრე წამყვანი ფირმაა ცენტრალურ აზიაში. მას ინტერესები აქვს ვაჭრობის, უძრავი ქონების, საბანკო და ტელეკომუნიკაციების ბიზნესებში.

---

125 „სილქ როუდ ჯგუფის“ ვებგვერდი: http://www.silkroadgroup.net/other.php?lang=en (12/09/2012)

126 President cut the ribbon at Radisson Blu Hotel, Batumi. 20 ივლისი, 2011 http://www.silkroadgroup.net/news.php?lang=en&content=30 (05/12/2012)

127 Silk Road Group Announces Visit from Donald Trump. 14 აპრილი, 2012 http://www.silkroadgroup.net/news.php?lang=en&content=38 (05/12/2012)

128 SRG helps moving containers from Iraq to Afghanistan. 30 აპრილი 2010. http://www.silkroadgroup.net/news.php?lang=&content=21 (05/12/2012)

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბიზნესის მფლობელი უცხოური კომპანია ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული, საჯარო რეესტრი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ დამატებით ინფორმაციას არ იძლევა. ეს „კავკასუს ონლაინსაც“ ეხება. საჯარო რეესტრის მონაცემებით, მისი ერთადერთი მფლობელია International Online Networks, რომელიც ასევე ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე დარეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა და რომლის მფლობელების ვინაობა ოფიციალურად გასაჯაროებული არ არის.[129]

ზოგიერთი წყაროს თანახმად[130][131], International Online Networks-ს ორი უცხოელი მესაკუთრე ჰყავს: Nelgado Limited, რომელიც აქციების 50%-ს ფლობს, და Growth Master Holding IC, რომელსაც აქციების 19,94% ეკუთვნის. მამია სანადირაძე, რომელიც „კავკასუს ონლაინის“ დამფუძნებელი და ყოფილი გენერალური დირექტორია, 30,06%-ის მფლობელია.[132] თუმცა Nelgado Limited-ისა და Growth Master Holding IC-ის მესაკუთრეების შესახებ არაფერია ცნობილი. მეტიც, „კავკასუს ონლაინის“ რეალური მფლობელების ვინაობა სხვადასხვა ფიქციური კომპანიისა და მათი შვილობილი ფირმებისგან შემდგარი უზარმაზარი ქსელითაა დაფარული.

არანაკლებ გაუმჭვირვალეა საქართველოს ფიჭური ტელეკომუნიკაციების კომპანიების მფლობელობის საკითხი. ქვეყნის სამივე ძირითადი მობილური ოპერატორი

---

129 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 08/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=471443&app_id=546985 (05/12/2012)

130 საქართველოს ინტერნეტ ბაზრის თავისებურებები. თეა თოფურია Media.ge 2 თებერვალი, 2011 http://www.media.ge/node/40110 (13/12/2012)

131 Caucasus Online Investing 10-15 Million USD in Underground Fibre Optic Infrastructure. Keti Chkhikvadze. The Financial 27 სექტემბერი, 2010. http://www.finchannel.com/Main_News/Tech/71570_Caucasus_Online_Investing_10-15_Million_USD_in_Underground_Fibre_Optic_Infrastructure/ (13/12/2012)

132 იქვე

უცხოური კომპანიების ხელშია, რომელთა მესაკუთრეების ვინაობის დადგენა კიდევ უფრო ძნელია.

ცნობილია, რომ „ჯეოსელი“ მთლიანად თურქული კომპანია Gürtel Telekomünikasyon Yatirimve Dis Ticaret A.S-ის საკუთრებაშია[133]. თავის მხრივ, ამ კომპანიის მფლობელია Fintur Holdings B.V., რომლის დიდი ნაწილის მესაკუთრე სკანდინავიური სატელეკომუნიკაციო გიგანტი „ტელიასონერაა“. ის ირწმუნება, რომ „ჯეოსელის“ აქციების 74,3%-ს ფლობს.[134] Fintur Holdings B.V.-ში დარჩენილი წილი „ტურკსელისაა“.

საქართველოს სიდიდით მეორე მობილური ოპერატორი, „მაგთიკომი“, ოფიციალურად ორი ამერიკული კომპანიის საკუთრებაა. ესენი არიან International Telcell Celular LLC (ITCL), რომელსაც 51% ეკუთვნის, და Telcell Wireless LLC, დარჩენილი 49%-ით.[135]როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ აღმოაჩინა, 2010 წლის 10 აგვისტოს მონაცემებით, Telcell Wireless LLC მთლიანად ITCL-ის შვილობილი კომპანია იყო. ამას გარდა, ITCL-ის 51%-ს „მაგთიკომის“ დამფუძნებელი და ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სიძე გია ჯოხთაბერიძე ფლობდა; მცირედი წილი, 3%, კი მასთან დაკავშირებულ კომპანია „ჯემსტოუნ პარტნერზს“ ეკუთვნოდა.[136] 2004 წლის 20 თებერვალს ჯოხთაბერიძე, გადასახადებისთვის თავის არიდების ბრალდებით, პოლიციის სპეცრაზმმა აიყვანა პირდაპირ თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც „თბილისი-პარიზის“ რეისს ასრულებდა. მისი ოჯახი ამტკიცებს,

133 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 29/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=477704&app_id=544594 (05/12/2012)

134 TeliaSonera-ს ვებგვერდი: http://www.teliasonera.com/en/about-us/markets-and-brands/georgia/ (12/09/2012)

135 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 01/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=469258&app_id=544491 (05/12/2012)

136 Disclosure Statement With Respect to the Chapter 11 Plan of Reorganization for MIG, Inc. 17 ნოემბერი, 2009 http://bankrupt.com/misc/MetroMediaIntl_DisclosureStatement.pdf (12/09/2012)

რომ ჯოხთაბერიძის დაპატიმრება პოლიტიკურად იყო მოტივირებული. აპრილში მან 700,000 ლარის გადაუხდელობის ბრალდებისგან გასათავისუფლებლად სახელმწიფოს 15,5 მილიონი დოლარი გადაუხადა.

მესამე მობილური ოპერატორის, „მობიტელის“, მფლობელობის საკითხი, რომელიც 2003 წელს დაფუძნდა[137], კიდევ უფრო ჩახლართულია, მაგრამ თუ ამ კვანძის გახსნას შევუდგებით, ვნახავთ, რომ „ძაფებს“ ძმები შარანგიებისკენ მივყავართ. საჯარო რეესტრის მონაცემებით, კომპანიას სამი ოფიციალური მესაკუთრე ჰყავს: LLC Watertrail Industries 51%-იანი წილით, LLC Delgado Resources 32%-იანი წილით და LLC Investico Alliance 17%-იანი წილით.[138] სამივე ეს კომპანიაც ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზეა დარეგისტრირებული. Delgado Resources მფლობელები არიან: ლევან ყარამანიშვილი (18%), თეიმურაზ არონია (18%), რევაზ შარანგია (18%), რევაზ ელიავა (18%), ხვიჩა მაქაცარია (18%) და გიორგი ბაჯაქსუზიანი (10%). LLC Investico Alliance-ს მფლობელია „ელეგანზა ჯგუფი“ (100%), რომელიც თეიმურაზ არონიასა (75%) და ლევან ყარამანიშვილის (25%) საკუთრებაა.[139]

LLC Watertrail Industries არის „ვიმპელკომის“ შვილობილი კომპანია[140], რომელიც მსოფლიოში ერთ-

137 VimpelCom buys controlling stake in Georgia's Mobitel. 12 ივლისი, 2006 http://en.rian.ru/business/20060712/51261837.html (12/09/2012)

138 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 14/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=473095&app_id=548479 (05/12/2012)

139 შპს "მობიტელის" 100%-იანი წილიდან: შპს "დელგადო რესოურსიზის" მფლობელობაში არსებული წილის 32%-დან 20%-ის შპს "მირენ ინვესტის", ხოლო 12%-ის შპს "ექშენ დირექტ ჰოლდინგ ბ.ვ."-ს მიერ შემენაზე და შპს "ინვესტიკო ალიანსეს" მფლობელობაში არსებული წილის 17%-ის შპს "ექშენ დირექტ ჰოლდინგ ბ.ვ."-ს მიერ შემენაზე თანხმობის მიცემის შესახებ. საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია. 19 ოქტომბერი, 2012 http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=7070&info_id=113256 13/12/2012

140 ამერიკის შეერთებული შტატების ფასიანი ქაღალდების კომისია. 31 დეკემბერი, 2008 http://www.sec.gov/Archives/edgar/data/1023977/000119312509111289/dex8.htm (12/09/2012)

ერთი უდიდესი ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიაა. „ვიმპელკომის“ ძირითადი მფლობელები არიან „ტელენორ ჯგუფი“ 39.51%-იანი წილით[141] და „ალტიმო ჰოლდინგსი“ და „ინვესტმენტს ლიმიტედი“ 31,7%-იანი წილით[142]. „ტელენორ ჯგუფის“ საკონტროლო პაკეტი – 53,97% – ნორვეგიის მთავრობას ეკუთვნის[143], „ინვესტმენტს ლიმიტედის“ საკონტროლო პაკეტი (72,77%) კი რუსი მილიარდერების, მიხაილ ფრიდმანის, გერმან ხანისა და ალექსეი კუზმიჩოვის, ხელშია.[144] „ვიმპელკომის“ საკუთრებაა ასევე „ბილაინის“ უკაბელო კავშირის სამარკო ნიშანი, რომლის აქციათა პაკეტი რევაზ შარანგიას ძმას, მერაბს, ეკუთვნის.[145]

რევაზ შარანგიას დაფუძნებულია „ჯი-ემ-სი ჯგუფი“ (იხ. თავი „განვითარების“ შესახებ). ის, ლევან ყარამანიშვილთან ერთად, „მობიტელის“ სამეურვეო საბჭოს წევრიცაა. შარანგია და ყარამანიშვილი არიან ასევე საქართველოში Delgado Resources-ის წარმომადგენლები.[146]

---

141 VimpelCom is one of the world's largest telecommunications service operators, providing voice and data services through a range of traditional and broadband mobile and fixed technologies. Telenor Group-ის ვებგვერდი. ივნისი, 2012 http://www.telenor.com/investor-relations/company-facts/business-description/vimpelcom/ (12/09/2012)

142 Vimpelcom supervisory board approves new terms for combination with wind telecom S.p.A. (formerly weather investments S.p.A.) Vimpelcom-ის ვებგვერდი. 17 იანვარი, 2011 http://www.vimpelcom.com/pr/pr.wbp?id=aa13f2da-1729-425d-8afc-cb1bc8978c65 (12/09/2012)

143 Report on Corporate Goverance - Telenor ASA. 2011 http://telenor.com/wp-content/uploads/2012/04/Report-On-Telenor-corporate-governance-ENG.pdf (05/12/2012)

144 Alfagroup-ის ვებგვერდი: http://www.alfagroup.org/about-us/structure/printable.php?print=1 (12/09/2012)

145 სამარშრუტო ტენდერში გამარჯვებული მონოპოლისტის სქემა. გიორგი ფუტკარაძე 4 მარტი, 2011 Humanrights.ge http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=13011&lang=geo (05/12/2012)

146 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. გვ.10 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=82829 (05/12/2012)

ვის ხელში იყო გარე რეკლამა?

როდესაც 2001 წელს ჩარბელ ოუნი გაიტაცეს, მისმა დამსაქმებელმა, ლიბანელმა ბიზნესმენმა ფადი ასლიმ, ამ ფაქტის დასაფიქსირებლად, მთავრობაზე ზეწოლისა და გატაცებულის განთავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით თბილისში 50 ბილბორდი დაიქირავა. იმ პერიოდში ყველა დარწმუნებული იყო[147], რომ ამ გატაცებაში შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ. საბედნიეროდ, ეს დრო დიდი ხანია წარსულს ჩაჰბარდა. მთავრობის წარმომადგენლები, მათი მეგობრები და ოჯახის წევრები გამდიდრებისთვის ასეთ საშუალებებს უკვე აღარ მიმართავენ.

ჩარბელ ოუნი ამ ორი სამინისტროს მაღალჩინოსნებს დღეს რომ გაეტაცებინათ, ფადი ასლის ბილბორდების „აუთდორ.ჯი“-სა და „სმოდისგან“ დაქირავება მოუხდებოდა. ეს მთელი ქვეყნის მასშტაბით გარე რეკლამის ორი ყველაზე დიდი პროვაიდერია ან პროვაიდერები მხოლოდ ისინი არიან (გააჩნია, როგორ შეხედავთ ამ საკითხს). იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ახლო კავშირები აქვს წინა მთავრობასთან, ასლისთვის ახლა შეიძლება უფრო მომგებიანი გამტაცებლებისთვის ფულის გადახდა იყოს.

2009 წელს თბილისის მერიამ გარე რეკლამის განთავსების ორ თორმეტწლიან ნებართვაზე აუქციონი გამოაცხადა. „აუთდორ.ჯიმ “ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რეკლამირების ნებართვა მოიპოვა, მარცხენა სანაპიროს ბილბორდები კი ირაკლი ჩიქოვანისა (სკეკ) და გიორგი გეგეშიძის („რუსთავი 2“-ის დირექტორი და

147 Fady Asly: Doing Business in Georgia Under Attack. Radio Free Europe. Radio Liberty. December 24, 2012 http://www.rferl.org/content/article/1341597.html (05/12/2012)

თანამფლობელი)[148] კომპანიას, „მაგი სტილს“, გადაეცა. 2011 წელს სარეკლამო ლიცენზია „მაგი სტილმა“ Smod Advertising LLC-ს გადასცა.[149] „სმოდის“ შესახებ ინფორმაცია არც ინტერნეტში იძებნება და არც სატელეფონო საძიებელში (yell.ge). მისი მფლობელია Smod Equities Corp[150], პანამაში რეგისტრირებული ოფშორული ფირმა[151]. საქართველოში მისი ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრე გოგოხიაა. მედიის ინფორმაციით[152], იგი „აუთდორ.ჯი“-ს ფინანსურ დირექტორად მუშაობდა და, იმავდროულად, საქართველოს ლატარიის კომპანიის (სლკ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო.[153]

საქართველოს ლატარიის კომპანიამ 2009 წლის 1 ივლისს მთელ ქვეყანაში ყველა გათამაშების თხუთმეტწლიანი ლიცენზიის ტენდერი მოიგო, 2011 წლის აგვისტოში კი თავისი აქციების 70% და ხუთწლიანი მართვის უფლება სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ „საქართველოს

148 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 18/10/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=465376&app_id=540650 (05/12/2012)

149 თბილისის მერიის შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 19 ოქტომბრის პასუხი (07/129614-8) „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე

150 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 23/08/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=338787&app_id=390097 (05/12/2012)

151 პანამის რესპუბლიკის საჯარო რეესტრი. https://www.registro-publico.gob.pa/scripts/nwwisapi.dll/conweb/MESAMENU?TODO=SHOW&ID=643043 (28/10/2011)

152 Advertising company Outdoor.ge presents new services. Pirweli.com.ge. 2008 http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=15590&Itemid=99999999 (28/10/2011) ამჟამად სტატია მიუწვდომელია (01/10/2013)

153 „საქართველოს სარეკლამო ბაზარი“. გვ. 36. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2011 წლის დეკემბერი http://goo.gl/aalC9 (05/12/2012)

ფოსტას“ გადასცა.[154] ყოფილი ფინანსთა მინისტრი, კახა ბაინდურაშვილი, დღეს ლატარიის კომპანიის მმართველი საბჭოს, ასევე „ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა.[155]

ლატარიის კომპანიის აქციების დარჩენილი 30% არის Lexor Capital Corp-ის საკუთრებაში, რომელიც ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე რეგისტრირებული ოფშორული კომპანიაა. საქართველოში მისი წარმომადგენელი, ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კეზერაშვილის, სიძე, დიმიტრი ჩიქოვანი[156], 2011 წლის სექტემბრამდე „აუთდორ. ჯი“ს აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა.[157]

საჯარო რეესტრის ბოლო მონაცემებით, „აუთდორ. ჯი“ს 10%-ის მფლობელია „ჯეო ტეკ ლიმიტედი“, 20%-ის – კომპანია „სამკუთხედი“ და 70%-ის – JSC Adprojects Inc.[158]. 2011 წლის ივლისისთვის „ჯეო ტეკის“ 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი კახაბერ ნინუა იყო. [159]ნინუა კეზერაშვილის ძველი მეგობარი და მეჯვარეა.[160]

---

154 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 11/08/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=300109&app_id=345398 (13/12/2012)

155 ქართული ლატარია ნაციონალიზაციის შემდეგ საქართველოს ფოსტას მმართველობის უფლებით გადაეცა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 3 სექტემბერი, 2011 http://goo.gl/R7IqH (05/12/2012)

156 „საქართველოს სარეკლამო ბაზარი“. გვ. 14. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2011 წლის დეკემბერი http://goo.gl/aalC9 (05/12/2012)

157 იქვე

158 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 05/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=470313&app_id=546113 (05/12/2012)

159 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 05/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=470308&app_id=546162 (05/12/2012)

160 კვირის რეპორტაჟი. სტუდია GNS. 18 მარტი, 2012. ამის შესახებ განცხადება „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა, ლევან იზორიამ, გააკეთა. ის გადაცემაში ნაჩვენები საოჯახო და მეგობრების ფოტოებით იყო გამყარებული. http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=gcshjgZ_6nY (05/12/2012)

მისივე დაფუძნებულია ტელეკომპანია „საქართველო“, რომელიც კეზერაშვილის მინისტრობის დროს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა.

2010 წლის აპრილში „სამკუთხედის“ 100%-იანი წილის მფლობელი გიორგი გეგეშიძე იყო, მის დირექტორად კი დიმიტრი ჩიქოვანი მუშაობდა.[161] სინამდვილეში რა საქმიანობას ეწეოდა „სამკუთხედი“, გაუგებარია. JSC Adprojects Inc. ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზეა რეგისტრირებული, ხოლო საქართველოში მისი წარმომადგენელი ასევე დიმიტრი ჩიქოვანია.[162]

აღსანიშნავია „ველაჯიო“, რომელიც ბოლო ხანებში ბილბორდებზე გამოჩნდა. ის „ვისოლის“ შვილობილი კომპანიაა და თავის რეკლამას თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში და ასევე „ვისოლის“ გასამართ სადგურებში ათავსებს. საჯარო რეესტრის 2012 წლის 8 აგვისტოს ჩანაწერით, „ველაჯიოს“ მფლობელია სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული შპს „ტელმარ ფაინანს“.[163]

ბილბორდების ბიზნესის ქონის გარდა, დიმიტრი ჩიქოვანი კიოსკების ადმინისტრატორიც გახდა. 2009 წელს „თბილისი სითი ჰოლმა“ „ჯი-ელ-სი“ს მიერ დაფუძნებულ ახალ კომპანიას, „უაიდ დისტრიბუშენს“ რამდენიმე დიდ ქალაქში გაზეთების კიოსკების გახსნის უფლება მისცა.[164] ამ კიოსკებში ლატარიის ბილეთებიც იყიდება, მათი ფასადები კი სარეკლამო სივრცედ გამოიყენება. ამან

161 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 15/04/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=47949&app_id=56934 (05/12/2012)

162 „საქართველოს სარეკლამო ბაზარი“. გვ. 37. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2011 წლის დეკემბერი http://goo.gl/aalC9 (05/12/2012)

163 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 26/06/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=432865&app_id=504404 (05/12/2012)

164 „საქართველოს სარეკლამო ბაზარი“. გვ. 37. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2011 წლის დეკემბერი http://goo.gl/aalC9 (05/12/2012)

არაკონკურენტული გარემო შექმნა[165] და გამომცემლების შეშფოთება გამოიწვია. ისინი შიშობდნენ, რომ „უაიდ დისტრიბუშენის“ მიერ დედაქალაქში გახსნილი 185 კიოსკის მეშვეობით მთავრობა პრესის დისტრიბუციის სისტემას მთლიანად ჩაიგდებდა ხელში.[166] „უაიდ დისტრიბუშენის“ აქციების 70% ვირჯინის კუნძულებზე რეგისტრირებულ „ბლექსთაილ მენეჯმენტს“ ეკუთვნის. საქართველოში მისი წარმომადგენელი დიმიტრი ჩიქოვანი იყო.[167] დარჩენილი 30% რამდენიმე ადამიანის საკუთრებაშია. მათ შორის არის დავით კეზერაშვილის მეგობარი[168], ნოდარ ჭარხალაშვილი, რომლის მეუღლე, სოფო ბრიტანჩუკი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრია.[169] სტუდია „მონიტორის“ ინფორმაციით, ეს ის ჭარხალაშვილია, რომელიც „ობიექტივი ტი-ვი“ს გარშემო მიმდინარე დავაში მონაწილეობდა.[170] 2011 წლის მაისში „უაიდ დისტრიბუშენს“ სახელი გადაერქვა და შპს „ექსპრესი“ ეწოდა.

2011 წლის 12 სექტემბერს JSC Adprojects Inc.-მა შპს „ექსპრესის“ აქციები გადაიბარა[171] და 28 სექტემბერს

---

165 „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაბეჯითებით სთხოვს მერიას თავისი საქმიანობა უფრო გამჭვირვალე გახადოს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 18 მარტი, 2010 http://transparency.ge/post/press-release/%E2%80%9Esaertashoriso-gamchvirvaloba-%E2%80%93-sakartvelo%E2%80%9C-dabedjitebit-stkhovs-merias-tavisi-sa (11/09/2012)

166 Georgia: Opposition Media, Government Battle over Tbilisi's Newsstands, Eurasianet.org. March 11, 2009 http://www.eurasianet.org/departments/news/articles/eav031209e.shtml (11/09/2012)

167 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 06/05/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=257513&app_id=294534 (05/12/2012)

168 ანონიმური წყარო

169 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდი. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=3400 (05/12/2012)

170 „ობიექტივი“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრთა პასუხისგებაში მიცემას ითხოვს. Media.ge. 2 დეკემბერი, 2009 http://www.media.ge/node/26907 (05/12/2012)

171 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 12/09/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=313519&app_id=360758 (05/12/2012)

70%-იანი წილი გადასცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელმაც კიოსკების მართვის უფლება „საქართველოს ფოსტას“ მეორე დღესვე მიანიჭა.[172] სააქციო საზოგადოება JSC Adprojects Inc მხოლოდ აქციების 30%-ის მფლობელად რჩება.[173]

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო გაზეთების კიოსკებზე მონოპოლიას ფლობს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მონაცემებით, „აუთდორ. ჯი“ (ჩიქოვანი) 38 დამატებითი ჯიხურის მესაკუთრეა, სტუდია „მონიტორი“ კი აცხადებს, რომ გაზეთების კიოსკებზე 50 ლიცენზიას „მაგი სტილი“ ფლობს. დანარჩენი ჯიხურები ეკუთვნის: ყოფილი კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, ნიკა რურუას, ძმის, გიორგი რურუას, შპს „ორ წუთს“[174], „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიით გასული პარლამენტის წევრის, არჩილ გეგენავას, ძმის, ანდრო გეგენავას, კომპანია „ჰოლდინგ.ჯი“-სა და კომპანია „ით ენდ გოუ“ს (Eat and Go)[175], რომლის 32%-ში თბილისის საკრებულოს წევრებმა, ირაკლი შიხიაშვილმა და მიხეილ ქავთარაძემ, 32 ლარი გადაიხადეს.[176] გარკვეული რაოდენობის გაზეთების კიოსკი რამდენიმე დამოუკიდებელი გამომცემლისა და წვრილი დისტრიბუტორის საკუთრებაა. მათ შორის არის დამოუკიდებელი მულტიმედიური კომპანია „კვირის პალიტრა“.

---

172 „საქართველოს სარეკლამო ბაზარი“. გვ. 37. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 2011 წლის დეკემბერი http://goo.gl/aalC9 (05/12/2012)

173 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 28/09/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=321311&app_id=369064 (05/12/2012)

174 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მე-5 გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=75239 (05/12/2012)

175 კიოსკების პრივილეგირებული მფლობელები. სტუდია „მონიტორი“. 29 სექტემბერი, 2011 https://www.youtube.com/watch?v=AWffHeiZLro (11/09/2012)

176 იქვე

ბენზინის კარტელი საქართველოში

ბენზინგასამართ სადგურში შევდივარ და ცისფერ ფორმაში გამოწყობილ ყმაწვილს ვეუბნები, რომ ჩამისხას სრული ბაკი „პრემიუმი“, რომელიც დაახლოებით 100 ლარი ღირს. სადგური სუფთა და მოწესრიგებულია. აქ, დასავლეთ საქართველოს პატარა ქალაქ სამტრედიაშიც კი, გადახდა ბანკის ბარათით შემიძლია. სანამ ის ბენზინს ასხამს, მახსენდება კერძო „გასამართი სადგურები“ სოფლებში, სადაც სახლების წინ დადგმულ მორყეულ მაგიდებზე „ბორჯომის“ პლასტმასის ბოთლებში ჩასხმული ბენზინი იყიდებოდა. ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ეს ნამდვილად თავისუფალი ბაზრის არსი იყო.

„ვარდების რევოლუციამდე“ საწვავის ბაზარზე მრავალი კომპანია მუშაობდა. საკმაოდ კარგი ბენზინის ყიდვაც შეგვეძლო, ცუდისაც და ფალსიფიცირებულისაც. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მთავრობამ „შავი ბაზრის“ გამყიდველები ეფექტიანად გაანადგურა. გამოჩნდნენ ახალი კომპანიები და მათ გამსხვილება დაიწყეს. პატარა, დამოუკიდებელი ბენზინგასამართი სადგურები თანდათან დიდმა „თევზებმა“ ერთმანეთის მიყოლებით გადაყლაპეს. დღეს საქართველოს ბაზარზე მხოლოდ ხუთი მომწოდებელია. ლიბერალი ეკონომისტებისთვის ეს ქრესტომათიული მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მუშაობდეს თავისუფალი ბაზარი და ღია კონკურენცია. პრობლემა ის არის, რომ, რაც უფრო ცოტა მოთამაშეა ბაზარზე და რაც უფრო მაღალია ბაზრის კონცენტრაცია, მით მეტია კარტელური გარიგებებისა და შეთანხმებული

მოქმედების ალბათობა.[177] თუ ერთი ლიტრი ბენზინი „გალფში“ 2.50 ლარი ღირს, შეგიძლიათ სანაძლეო დადოთ, რომ „ვისოლში“, „ლუკოილში“, „რომპეტროლსა“ და „სოკარში“ ფასი იგივე იქნება.

საქართველოში გაურკვეველ კომერციულ სქემებში ვცხოვრობთ. მუდმივად ვწუწუნებთ ბენზინის ფასების ზრდის გამო და ხშირად ამას მსოფლიო გაზარზე არსებული სიტუაციით ვამართლებთ. ეს მხოლოდ ნაწილობრივაა ასე. საქართველოს საწვავის ბაზარი დასავლეთის ბაზრის ფასებს მარტო მაშინ ითვალისწინებს, როდესაც იქ ფასები იზრდება, ვარდნის შემთხვევაში კი აქ ძველ ფასებს ინარჩუნებენ.[178] დარწმუნებული ვართ, რომ, სადაც კი ბენზინს ჩავასხამთ, ფასი ყველგან ერთნაირი იქნება. როდესაც ბაზრის ყველა მოთამაშეს ბენზინზე ერთნაირი ფასი აქვს და ბაზრის მახასიათებლები ხელს უწყობს კომპანიების შორის წარმატებულ კოორდინაციას[179], მნელია არ იფიქრო, რომ ბაზრის სამართავად საიდუმლო შეთანხმებებია დადებული.

---

177 შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტების შეზღუდული რაოდენობა არაკონკურენტული სიტუაციისა და საიდუმლო (კარტელური) შეთანხმებების ალბათობას რამდენიმე მიზეზით ზრდის:
1. ეკონომიკური აგენტების შეზღუდული რაოდენობა საიდუმლო გარიგების პირობებზე შეთანხმებას აადვილებს;
2. საიდუმლო შეთანხმების მონაწილეების რაოდენობის სიმცირე შეთანხმების პირობების მონიტორინგს აადვილებს;
3. როდესაც ეკონომიკური აგენტების რაოდენობა იზრდება, თითოეული მათგანი ბაზრის უფრო მცირე წილის მფლობელი ხდება. ეს კი მეტი მოგების მიღების მიზნით შეთანხმების პირობების დარღვევის ალბათობას ზრდის, რაც საიდუმლო შეთანხმების პირობების შესრულებას აძნელებს.
Tirole J.; The Theory of Industrial Organization, 1988, MIT Press, MA.

178 „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“. გვ. 37. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 3 აგვისტო, 2012 http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf (05/12/2012)

179 პროდუქციის ერთგვაროვნება, ფასების შეთანხმებისთვის მზაობა, ოფიციალურად ან/და არაოფიციალურად არსებული შესვლის ბარიერები, მაღალი კონცენტრაცია, სტაბილური და არა მოქნილი მოთხოვნა და, მეტიც, სახელმწიფოს მიერ ბოლო 7 წლის განმავლობაში არაეფექტიანად განხორციელებული ზედამხედველობა კონკურენციაზე

ეს სიტუაცია ეკონომიკის ექსპერტებს აფიქრებინებს[180], რომ ქვეყანაში ბენზინის შემომტანი ძირითადი კომპანიები ფასების „გაბერვის“ მეშვეობით ერთობლივად ცდილობენ, ბაზარზე კონტროლი შეინარჩუნონ და კერძო კონკურენცია არ დაუშვან. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წილი ქვეყანაში იმპორტირებულ პროდუქციაში ყველაზე დიდია. 2011 წელს ამ იმპორტმა 894 მილიონი აშშ დოლარი, ანუ მთელი იმპორტირებული პროდუქციის 13%, შეადგინა.[181] ნამდვილად კონკურენტული საბაზრო სტრუქტურის არარსებობა ძალიან ცუდია ეკონომიკისთვის, რომელსაც გაძლიერება ძალიან ესაჭიროება. ჟანგიანი რუსული ცისტერნები, საიდანაც ტრასაზე ბენზინს ყიდდნენ, საწვავის ოლიგოპოლურმა ბაზარმა ჩაანაცვლა.

ნიდერლანდში Lukoil Europe Holdings B.V.-ის სახელით რეგისტრირებული რუსული კომპანია „ლუკოილ ჯორჯია“ საქართველოში 2002 წლის მარტში შემოვიდა.[182] მას მთელი ქვეყნის მასშტაბით 60 გაზგასამართი სადგური აქვს და საწვავი ბულგარეთში მდებარე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებიდან შემოაქვს. მის მარკეტინგულ კამპანიასა და დისტრიბუციას ექსკლუზიურად აწარმოებს შპს „უნიგრუპი“, რომლის მფლობელები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე გიორგი პირველი (50%) და

180 ინტერვიუ ფინანსთა მინისტრთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ნოდარ ხადურთან, 2012 წლის სექტემბერი;
ინტერვიუ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან, პროფესორ დავით ნარმანიასთან, 2012 წლის სექტემბერი;
„კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“. გვ. 38. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 3 აგვისტო, 2012 http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf (05/12/2012)

181 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/External%20Trade%20of%20Georgia%20in%202011-Geo.pdf (05/12/2012)

182 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 16/08/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=449225&app_id=522898 (05/12/2012)

დავით კეზერაშვილი (50%)[183] იყვნენ, ხოლო არჩევნების შემდეგ კეზერაშვილის წილი ოფშორულ ზონაში, სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანიის, „ნაულაინ უნაიტედის“, საკუთრება გახდა.[184]

დავით კეზერაშვილი აქტიური ახალგაზრდა საქმოსანია. ის 34 წლისაა; თბილისში დაიბადა, შემდეგ კი საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა; საქართველოში 90-იანი წლების შუაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სწავლობდა; „ვარდების რევოლუციამდე“, მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას, მისი თანაშემწე იყო; ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელის პოსტზე სახურიუნის ძლოა წერია ულმობელი ადამიანის საეჭვო რეპუტაცია დაიმსახურა. ეს დაწესებულება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „ეკონომიკურ დანაშაულებთან, მათ შორის, კონტრაბანდასთან“ ბრძოლის მიზნით ჩამოყალიბდა.

„სწორედ აქ ისწავლა მან ბიზნესის შევიწროება“, – თქვა ერთმა თბილისელმა ბიზნესმენმა ანონიმურობის დაცვის პირობით.

2005 წლის აპრილში კონსერვატიული პარტიის ლიდერებს მოეპოვებოდათ სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც, მათი მტკიცებით, კეზერაშვილი ფინანსური პოლიციისთვის მანქანების უკანონოდ შესყიდვაზე ლაპარაკობს.[185] 2005 წლის ივნისში მას მოუხდა

183 „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“. გვ. 30. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 3 აგვისტო, 2012 http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf (05/12/2012)

184 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 02/10/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=460730&app_id=536028 (13/12/2012)

185 პარლამენტმა ფინანსური პოლიციის სკანდალზე ფინანსთა მინისტრს მოუსმინა. Civil.ge. 8 აპრილი, 2005 http://www.civil.ge/geo/article.php?id=9381 (05/12/2012)

აეხსნა, რატომ შეიჭრა კალაშნიკოვის ავტომატებით შეიარაღებული ფინანსური პოლიციის რამდენიმე ათეული ნიღბიანი წარმომადგენელი სწრაფი კვების ერთდროულად ორ რესტორანში საბუთების ამოსაღებად მაშინ, როდესაც იქ ადამიანები სადილობდნენ.[186] 2005 წელს კეზერაშვილის სამსახურს ადანაშაულებდნენ იმპორტირებული საქონლის მოცულობის და არა ფასის მიხედვით დაბეგვრაში, როგორც ამას კანონი მოითხოვს.[187] თუმცა კეზერაშვილს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ „დამფუძნებელ მამას", ამ განცხადებებით არანაირი ზიანი არ მისდგომია და ირაკლი ოქრუაშვილის გადადგომისა და დაპატიმრების შემდეგ თავდაცვის მინისტრიც გახდა; რუსეთთან 2008 წლის გამანადგურებელი ომის შემდეგ, იმავე წლის 5 დეკემბერს კი თავაზიანად გაათავისუფლეს. ის პოლიტიკური სცენიდან გაქრა, კერძო სექტორში გადავიდა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

დღეს დავით კეზერაშვილს წელიწადში 25,181 ლარზე (რომელიც მას ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობისას ჰქონდა) ბევრად მეტი შემოსავალი აქვს, თუმცა არ ვიცით, რამდენად მეტი, რადგან ის ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ ქართულ კომპანიებში გაუჩინარდა. მის ცოლისძმას, დიმიტრი ჩიქოვანს, ქართულ ლატარიაზე მონოპოლია გადაეცა. ის დაკავშირებულია ბევრ ბიზნესთან, სარეკლამო ბაზრის ჩათვლით (იხ. თავი რეკლამის შესახებ). კეზერაშვილის შესახებ დანამდვილებით ის არის ცნობილი, რომ იგი არა მარტო „ლუკოილის" ბენზინის დისტრიბუტორია, არამედ ფლობს ასევე შპს

186 ფინანსური პოლიციის „ლოგიკა": თუ სპეცდანიშნულების რაზმი არსებობს, ის უნდა გამოიყენო. ზაზა გაჩეჩილაძე. რადიო „თავისუფლება". 19 ივნისი, 2005 http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1541845.html (05/12/2012)

187 ფინანსურ პოლიციას საბაჟოზე არსებული მდგომარეობისთვის აკრიტიკებენ. Civil.ge. 16 აგვისტო, 2005 http://www.civil.ge/geo/article.php?id=10421 (13/12/2012)

„სან პეტროლიუმს“[188], რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით „გალფის“ გაზგასამართ სადგურებსაც მართავს. ეს კომპანია 2010 წლის ნოემბერში შეიქმნა და რეგისტრირებულია დელავერის შტატში (აშშ). კომპანიის დირექტორი ისრაელის მოქალაქე იანი ვადამია, ვიცე-პრეზიდენტი კი – ოთარ ქათამაძე[189], რომლის მამა, ზაზა ქათამაძე[190], შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ დირექტორია. „სან პეტროლიუმს“ 130 ბენზინგასამართი სადგურისთვის ბენზინი ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, საბერძნეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოაქვს.

„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ 2006 წლის სექტემბერში შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ მიერ შეიქმნა და აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან ნავთობპროდუქტების მთავარი იმპორტიორია. კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელია „სოკარ ენერჯი ჯორჯია“. ის აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის („სოკარის“) შვილობილია. „სოკარმა“ ბიზნესი ისე დაიწყო, როგორც საბითუმო მოვაჭრემ, 2007 წელს კი უშუალოდ საცალო ბაზარზე შევიდა და მთელი საქართველოს მასშტაბით 92 ბენზინგასამართი სადგური გახსნა. კომპანიის დირექტორია დავით ზუბიტაშვილი.

„რომპეტროლ ჯორჯია“, რომელსაც ქვეყანაში 41 ბენზინგასამართი სადგური აქვს, 2005 წლის დეკემბერში დაფუძნდა. მისი პარტნიორები არიან Rompetrol Group NV ნიდერლანდიდან და პანამაში რეგისტრირებული ALG International S.A., მაგრამ მისი 100%-იანი წილის მფლობელია ყაზახური ნაციონალური

188 დავით კეზერაშვილი ადასტურებს, რომ „გალფ-ჯორჯიას“ მეწილეა. Commersant.ge. 20 დეკემბერი, 2011 http://commersant.ge/index.php?id=5916 (05/12/2012)

189 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 23/08/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=451024&app_id=524919 (05/12/2012)

190 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 16/08/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=449225&app_id=522898 (05/12/2012)

ენერგოკომპანია „ყაზტრანსგაზი“[191], რომელიც თბილისის გაზგამანაწილებელ კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისსაც“ ფლობს. „რომპეტროლის“ გენერალური დირექტორია ნურკენ მურზაგალიევი ყაზახეთიდან.[192]

კომპანია, რომელსაც ახლა „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ ეწოდება, 2000 წლის აპრილში „კანარგო სტანდარტ ოილის“ სახელით დაარსდა. „კანარგო სტანდარტ ოილის“ დამფუძნებლები იყვნენ „კანარგო პეტროლიუმ პროდაქტი“ 50% წილით, „სტანდარტ ოილ პროდაქტი“ 50% წილით და ლევან ფხაკაძე 8.35% წილით.[193] დღეს უკვე შეუძლებელია იმის გარკვევა, სინამდვილეში ვინ არის მისი მფლობელი, რადგან ახლა ეს სააქციო საზოგადოებაა. „ვისოლი“ სუპერმარკეტების ახალი, მზარდი ქსელის – „სმარტის“, „ავტოექსპრესის“, სამშენებლო კომპანია „დელტა ჰოლდინგის“, სარეკლამო კომპანია „ველაჯიოს“, საფეხბურთო კლუბის – ქუთაისის „ტორპედოს“, ფიტნესცენტრ „ლაგუნა ქუთაისის“ და ახალციხეში (სამხრეთი საქართველო) სასტუმრო „ლომსიას“ მფლობელიცაა.[194] ამბობენ, რომ გადაწყვეტის პროცეშია „ვისოლის“ მიერ ამერიკული სწრაფი კვების კომპანია „ვენდის“ ობიექტების სამართავად აღება. „ვისოლის“ გენერალური დირექტორია ვასილ ხორავა.[195]

---

191 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 10/12/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=481129&app_id=557412 (05/12/2012)

192 „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“. გვ. 31. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 3 აგვისტო, 2012 http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf (05/12/2012)

193 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 292ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=75859 (12/12/2012)

194 სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ვებგვერდი. http://www.wissol.ge/index.php?geo&cat=6&type=1 (15/10/2012)

195 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 07/12/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=480489&app_id=556750 (12/12/2012)

ამ ხუთ მომწოდებელს შორის, ფასების პარალელიზმის გარდა, საქართველოში შემოტანილი საწვავის რაოდენობასა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაფიქსირებულ რაოდენობას შორის შეუსაბამობაც არსებობს. 2009 წელს იტალიის საბაჟო სამსახურმა 40.7 მლნ ლიტრი ბენზინის (A-95) საქართველოში იმპორტი დააფიქსირა, ხოლო შემოსავლების სამსახურმა – იტალიიდან იმპორტირებული მხოლოდ 19.74 მლნ ლიტრი; მომდევნო წელს იტალიიდან იმპორტირებულ იქნა 37.85 მლნ ლიტრი, რომლიდანაც საქართველოში 20.13 მლნ ლიტრი დარეგისტრირდა; 2011 წელს 36.07 მლნ ლიტრი (A-95) იქნა იმპორტირებული, რეგისტრირებული კი – 23.61 მლნ ლიტრი.[196] ასეთივე შეუსაბამობაა ბულგარეთის საბაჟო სამსახურისა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს შორის.[197]

ჩვენ არ ვიცით, სად წავიდა ეს საწვავი. არც ის ვიცით, სინამდვილეში რას ვყიდულობთ ზოგიერთ შემთხვევაში. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ იტალიიდან საწვავი „ფალკონარა მარიტიმასგან“ შემოაქვს და გასამართ სადგურებზე ერთი შეხედვით სამი სხვადასხვა ტიპის საწვავს ყიდის, მათ შორის, „აპი სუპერს“ (98 ოქტანობა). მაგრამ არც იტალიის საბაჟო სამსახური და არც საქართველოს შემოსავლების სამსახური 2009–2011 წლებში „აპი სუპერის“ იტალიიდან იმპორტს არ აფიქსირებს[198], რაც იმას ნიშნავს, რომ „ვისოლი“ იმ ხარისხის ბენზინს არ ყიდის, რომელსაც რეკლამას უწევს. ეს არის როგორც მომხმარებლის უფლებების დარღვევა, ისე სავაჭრო მარკის უკანონო გამოყენება, და შეიძლება ახსნას, რატომ აღმოაჩინა

196 იტალიის საბაჟო სამსახური და საქართველოს შემოსავლების სამსახური. „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“. გვ. 36. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 3 აგვისტო, 2012 http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Competition%20Policy%20in%20Georgia%20%28GEO%29.pdf (05/12/2012)

197 იქვე, გვ. 29

198 იქვე

შარშან ჩემმა ავტომექანიკოსმა ბენზინის რეზერვუარის წყლის მიზეზით დაზიანება.

კანონები, რომლებიც კონკურენციას არეგულირებს, საქართველოში 2005 წელს გაუქმდა. მას შემდეგ კონკურენციის წესებისა და იმ პრინციპების დაცვა, რომლებიც თავისუფალ, სამართლიან კონკურენციასა და გამჭვირვალე, არადისკრიმინაციულ ბაზარს უზრუნველყოფს, არ კონტროლდება. იმის გამო, რომ 2003 წელს მოსულმა ხელისუფლებამ ევროპაში ინტეგრაცია, მოდერნიზაცია და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა თავის პრიორიტეტად გამოაცხადა, იყო მოლოდინი, რომ ის კონკურენციის რეგულაციების ევროპულ მაგალითებსაც მიჰბაძავდა და გამოიძიებდა, ხომ არ მოქმედებდნენ კომპანიები კონკურენციის წესების დარღვევით და რატომ არის შეუსაბამობა იტალიიდან და ბულგარეთიდან იმპორტირებული საწვავის რაოდენობასა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაფიქსირებულ რაოდენობას შორის, ასევე რატომ არ ყიდიან ბენზინგასამართი სადგურები იმ მარკის ბენზინს, რომელსაც რეკლამას უწევენ.

ფარმაცევტული ოლიგოპოლია

„რატომ არის საქართველოში ამდენი აფთიაქი?“ – ვკითხე რამდენიმე დღის წინ ლიკას, ჩემს ქართველ მეგობარს.

„სასაცილოა; ამას წინათ მეც ამაზე ვფიქრობდი. არ ვიცი. ალბათ შემოსავლიანი საქმეა ან ფულის გათეთრების კარგი საშუალება“, – მითხრა მან და დაამატა: „მომწონს ეს ტენდენცია, როდესაც არ იცი, როგორ ახსნა რაღაც, და ფიქრობ, რომ ეს ფულის გათეთრების საეჭვო სქემაა“.

მართალია, არსებობს საფუძველი, იფიქრო, რომ რაღაც ეშმაკური ხდება, მაგრამ ეს ფულის გათეთრება მაინც არ არის. ლიკა ერთ რამეში მართალია: აფთიაქები შემოსავლიანი ბიზნესია; უბრალოდ, ყველასთვის არა.

საქართველოში 2400-მდე აფთიაქია. ეს დაახლოებით ყოველ 1500 ადამიანზე 1 აფთიაქს ნიშნავს. შედარებისთვის: გაერთიანებულ სამეფოში 10 000 აფთიაქია, ანუ 1 – 6264 ადამიანზე.[199]

2006 წელს საცალო ვაჭრობაში ბრუნვა 196.6 მლნ ლარი იყო. 2010 წელს ის თითქმის გასამმაგდა და 543.3 მლნ ლარი შეადგინა[200]. 2005–2009 წლებში მედიკამენტებზე მოთხოვნილება წელიწადში დაახლოებით 15%-ით იზრდებოდა.[201] საშუალო ოჯახი ჯანმრთელობის დაცვაზე 2010 წელს თავისი შემოსავლის დაახლოებით

199 გაერთიანებული სამეფოს ნაციონალური სტატისტიკის ბიუროს ვებგვერდი. http://www.statistics.gov.uk/hub/health-social-care/specialist-health-services/pharmacy-services (05/12/2012)

200 საქსტატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია

201 „შესაძლებლობები საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში“. ინვესტიციების სახელმძღვანელო. „კომსა ინტერნეიშენალი“ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. 2012 წლის მარტი http://www.investingeorgia.org/upload/file/Opportunities_in_Georgias_Pharmaceutical_Sector.pdf (05/12/2012)

34%-ს ხარჯავდა, 2002 წელს კი – 15%-ს.[202] 2007 წელს მედიკამენტებზე საშუალოსტატისტიკური ოჯახის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯების 50% მოდიოდა. ეს რიცხვი 2010 წლისთვის 60%-მდე გაიზარდა.[203] 2007-დან 2010 წლამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით მედიკამენტებზე დანახარჯები წელიწადში დაახლოებით 23.7%-ით იზრდებოდა.[204]

მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული „ჯანდაცვის გამოყენებისა და დანახარჯების კვლევა“ ამ ზრდის დიდ წილს ამბულატორიულ პაციენტებზე გასაყიდ წამლებზე ფასების მატებას მიაწერს.[205] დღეს საქართველო მედიკამენტებზე მთლიანი შიდა პროდუქტის 4%-ს ხარჯავს. ეს ციფრი ორჯერ მეტია ამერიკის შეერთებული

---

202 საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011–2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია „ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა“. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. გვ. 6 http://www.healthrights.ge/wp-content/uploads/2012/05/jandacva_GEO.pdf (05/12/2012)

203 საქართველოს 2010 წლის ჯანდაცვის გამოყენებისა და დანახარჯების კვლევა. გვ. 31 ავტორები საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი, ოქსფორდის პოლიტიკის მენეჯმენტი, საერთაშორისო ფონდი „კურაციო“. (05/12/2012)

204 საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის 2011–2015 წწ. სახელმწიფო სტრატეგია „ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა“. გვ. 6 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. http://www.healthrights.ge/wp-content/uploads/2012/05/jandacva_GEO.pdf (05/12/2012)

205 საქართველოს 2010 წლის ჯანდაცვის გამოყენებისა და დანახარჯების კვლევა. გვ. VI საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი, ოქსფორდის პოლიტიკის მენეჯმენტი, საერთაშორისო ფონდი „კურაციო“

შტატების მაჩვენებელზე, რომელიც მედიკამენტებზე დიდი დანახარჯებითაა ცნობილი.[206]

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე 70 მეწარმეა, მაგრამ მათ შორის ორი კომპანია, „ავერსირაციონალი“ და GMP (PSP), წარმოების 90%-ის მფლობელია.[207] ეს კომპანიები იმპორტისა და დისტრიბუციის სექტორებშიც უდიდეს წილს ფლობენ (48%-ს ორივე ერთად). GPC და ეი-ბი-სი ფარმაცია კიდევ ორი უდიდესი კომპანიაა. ისინი ერთად იმპორტისა და დისტრიბუციის 23%-ს ფლობენ.

მედიკამენტებით საცალო ვაჭრობის ყველაზე დიდი ქსელის მფლობელია კომპანია „ავერსი“ (213 აფთიაქი).[208] ის 1994 წელს დაფუძნდა, როგორც იმპორტიორი და დისტრიბუტორი, 1998 წელს კი საცალო გაყიდვის სექტორში გადავიდა. 2002 წელს „ავერსმა“ მედიკამენტების წარმოება დაიწყო და 2005 წელს ბაზარზე თავისი ბრენდის, „ავერსირაციონალის“, სახელით პირველი მედიკამენტები გამოუშვა.[209] ეს არ ნიშნავს, რომ ის საკუთარ მედიკამენტებს აწარმოებს; იგი მხოლოდ უკვე არსებული მედიკამენტების შეფუთვას ახდენს.[210] „ავერსი“ საქართველოში გადასახადების ერთ-ერთი უმსხვილესი გადამხდელია და ბიუჯეტში ყოველწლიურად ათეულობით მილიონი

206 Health at a Glance 2009: OECD Indicators. Pharmaceutical expenditure., OECD Ilibrary http://www.oecd-ilibrary.org/sites/health_glance-2009-en/07/05/index.html?contentType=&itemId=/content/chapter/health_glance-2009-71-en (12/09/2012)

207 ეფუძნება საწარმოო ღირებულებას აშშ დოლარში. „დააბანდეთ საქართველოში“ – ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია (2011). საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის შესახებ დასკვნები და რეკომენდაციები

208 „ავერსის“ ვებგვერდი. http://www.aversi.ge/main.php?lang=eng&id=107 (12/09/2012)

209 იქვე

210 „შესაძლებლობები საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში“. ინვესტიციების სახელმძღვანელო. „კომსა ინტერნეიშენალი“ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. 2012 წლის მარტი http://www.investingeorgia.org/upload/file/Opportunities_in_Georgias_Pharmaceutical_Sector.pdf (05/12/2012)

ლარი შეაქვს.[211] მას უკვე შვიდი კლინიკა აქვს და კიდევ ორს აშენებს. „ავერსი“ აშენებს და მართავს საავადმყოფოებს, რომელთაგანაც ზოგიერთ შენობას სახელმწიფოსგან საავადმყოფოების პრივატიზაციის გეგმის ფარგლებში ყიდულობდა. გარდა ამისა, ის სადაზღვევო კომპანია „ალფას“ მფლობელია, რომელიც სახელმწიფოს მიერ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის დაფინანსებულ დაზღვევას ახორციელებდა.[212] „ავერსის“ დამფუძნებელი, პაატა კურტანიძე, მისი აქციების 67%-ს ფლობს. დარჩენილი 33.3%-ის მფლობელი კი საავტომობილო ქარხნის ყოფილი დირექტორი ნიკოლოზ კურტანიძეა.[213]

PSP 1995 წელს დაფუძნდა. ის იმპორტისა და დისტრიბუციის საკითხებით იყო დაკავებული, 1999 წელს კი საცალო ვაჭრობის ბაზარზე შევიდა. მისმა მწარმოებელმა ბრენდმა, GMP-მ, თავისი პირველი მედიკამენტი 1999 წელს გამოუშვა.[214] საკუთარი ბრენდის შეფუთვის გარდა, ის ტაბლეტირებაზედაც მუშაობს, მაგალითად, წინასწარ დამზადებული აქტიური ნივთიერებების აბებს უშვებს.[215] PSP თბილისში მრავალპროფილიან საავადმყოფოსაც ფლობს, რომელიც საავადმყოფოების პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიძინა. ავერსის მსგავსად, PSP სადაზღვევო კომპანიის მფლობელია, რომელსაც „PSP გრუპი“ ეწოდება. „PSP ფარმა“ და მთლიანად

211 იქვე

212 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია

213 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 30/08/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=452328&app_id=526552 (05/12/2012)

214 „ავერსის“ ვებგვერდი. http://www.aversi.ge/main_racional.php?lang=eng&id=381&cat_id=1&type=3 (05/12/2012)

215 „შესაძლებლობები საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში“. ინვესტიციების სახელმძღვანელო. „კომსა ინტერნეიშენალი“ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. 2012 წლის მარტი http://www.investingeorgia.org/upload/file/Opportunities_in_Georgias_Pharmaceutical_Sector.pdf (05/12/2012)

PSP ეკუთვნის მის დამაარსებელსა და დირექტორს, კახაბერ ოქრიაშვილს[216], რომელიც დღეს პარლამენტის წევრია.[217]

საქართველოში სიდიდით მესამე ფარმაცევტული კომპანიაა GPC, რომელმაც ასევე იმპორტითა და დისტრიბუციით დაიწყო 1995 წელს და საცალო ვაჭრობის ბაზარზე 1999 წელს შევიდა. მას თბილისში დაახლოებით 40 აფთიაქი აქვს, რეგიონებში კი – 10. ბოლო ხანებში GPC-მ დაიწყო ახალი ფრანჩაიზინგული პროექტი – „წითელი A“.[218] ვინაიდან „წითელი A“ რეგისტრირებულია, როგორც სააქციო საზოგადოება, ბოლომდე ნათელი არ არის, ვინ ფლობს სინამდვილეში კომპანიას. არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვით, სავარაუდოდ, აქციების უდიდესი ნაწილი მის დამფუძნებელსა და დირექტორს, დავით კილაძეს, ეკუთვნის.[219]

1999 წელს სცენაზე შპს „ეი-ბი-სი ფარმაცია“ გამოჩნდა. ისიც იმპორტითა და დისტრიბუციით იყო დაკავებული. კომპანიამ 2009 წელს მიღებული კანონის თანახმად იმპორტის გაზრდილი შესაძლებლობებით ისარგებლა. 2004-დან 2009 წლამდე იმპორტში მისი წილი 4%-დან 12%-მდე გაიზარდა და დღეს ის ბაზარზე სიდიდით მეოთხე კომპანიაა. 2009 წელს „ეი-ბი-სი ფარმაციამ“ გახსნა „ფარმადეპოს“ აფთიაქებისქსელი, რომელმაც მომხმარებელს გამოწერილ წამლებზე კონკურენტული ფასები შესთავაზა. ამის გამო კონკურენტები იძულებული გახდნენ, ფასები

216 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 03/09/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=453334&app_id=527510 (05/12/2012)

217 საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. http://www.parliament.ge/index.php?option=com_k2&view=item&id=103:okriashvili-kakhaber&Itemid=129&lang=ge (12/09/2012)

218 „შესაძლებლობები საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში“. ინვესტიციების სახელმძღვანელო. „კომსა ინტერნეიშენალი“ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. 2012 წლის მარტი http://www.investingeorgia.org/upload/file/Opportunities_in_Georgias_Pharmaceutical_Sector.pdf (05/12/2012)

219 საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (05/12/2012)

შეემცირებინათ.[220] ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტის წყალობით კომპანია დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით თავის ქსელს აფართოებს. აქ „ფარმადეპოს“ უკვე 55 აფთიაქი არსებობს. კომპანიის აქციების 81.6%-ს ენრიკო ბერიძე ფლობს, 14,4%-ს – მიხეილ აბრამიძე, ხოლო კიდევ ოთხი პირი – თითო პროცენტს.[221]

ისევე, როგორც ბევრ სხვა სექტორში, სადაც, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სიტუაციაა, უდიდეს ფარმაცევტულ ქსელებსა და მთავრობას შორის ახლო კავშირები არსებობს.

PSP-ს მფლობელი კახაბერ ოქრიაშვილი 2004 წლიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის სიით პარლამენტის წევრი..[222] ის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრიც იყო.[223] 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კახაბერ ოქრიაშვილი გამოეყო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ამჟამად არის ფრაქცია - „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ წევრი[224]. „ავერსი ფარმა“, „PSP ფარმა“ და GPC მმართველი პარტიის პოლიტიკური კამპანიის უდიდესი დამფინანსებლები იყვნენ – „ავერსი ფარმამ“ 2007-დან 2010 წლამდე 200 000 ლარი შეიტანა და მოიპოვა

220 „შესაძლებლობები საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში“. ინვესტიციების სახელმძღვანელო. „კომსა ინტერნეიშენალი“ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. 2012 წლის მარტი http://www.investingeorgia.org/upload/file/Opportunities_in_Georgias_Pharmaceutical_Sector.pdf (05/12/2012)

221 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 10/12/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=480872&app_id=556736 (12/12/2012)

222 ინტერნეტ გვერდი „შენ მართავ!“ „მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ http://goo.gl/jhSEz

223 იქვე

224 საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი http://www.parliament.ge/index.php?option=com_k2&view=item&id=103:okriashvili-kakhaber&Itemid=129&lang=ge

სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტები, რომელთა საერთო ღირებულება 823,997 ლარი იყო; „PSP ფარმამ“ ასევე 200 000 ლარი შეიტანა და მთლიანობაში 141,044 ღირებულების კონტრაქტები მოიპოვა, GPC-მ კი 175 000 ლარი შეიტანა და 61,8347 ღირებულების კონტრაქტები მოიპოვა.[225] თუმცა საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლი აღნიშნავს, რომ კომპანიის მხრიდან პოლიტიკური პარტიის დაფინანსებაში უჩვეულო არაფერია. საქართველოს შემთხვევაში კი ბევრად უფრო ადვილია, ფული საკუთარი ნებით გადაიხადო, ვიდრე საგადასახადო პოლიციას უმასპინძლო, რაც აქ საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა.[226]

იმაში გასარკვევად, თუ როგორ გახდა ეს სამი კომპანია საქართველოს ბაზარზე ლიდერი, უნდა დავუბრუნდეთ შფოთიან პოსტსაბჭოთა პერიოდს, როდესაც ცენტრალიზებული ბაზარი გაქრა და ახლის განვითარების არანაირი სისტემა ან ხედვა, ანდა ამ მიმართულებით პოლიტიკის მონახაზი არ არსებობდა.[227] მედიკამენტები ბაზარში, მორყეულ მაგიდებზე ან კერძო სახლებში კუსტარულად აშენებულ აფთიაქებში იყიდებოდა. მოხერხებულ მეწარმეებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბაზრის შესაძლებლობები, როდესაც უცხოური პროდუქცია ხელმისაწვდომი გახდა, ხოლო რეგულაციები ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ერთ-ერთი გზა, რომელიც მათ ამის საშუალებას აძლევდა, უცხოელ მწარმოებლებთან საქართველოში კონკრეტული მედიკამენტის დისტრიბუციის შესახებ

---

225 პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2011 წელს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/PF%20FINAL%20-%20GEO.pdf (05/12/2012)

226 ავტორის ინტერვიუ საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარესთან, ფადი ასლისთან (10/11/2012)

227 „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი“. გვ. 13. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (24/12/2012)

შეთანხმებების დადება იყო. ამგვარად ისინი ამ პროდუქტის ერთადერთი ლოკალური აგენტები ხდებოდნენ.[228]

ფადი ასლის თქმით, ეს სრულიად ნორმალური პრაქტიკაა, გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოში მედიკამენტების თითებზე ჩამოსათვლელი მწარმოებელია და ლოკალურ აგენტებს დისტრიბუციისა და განვითარების „მძიმე ფასების“ ატანა უწევთ. ისინი ასე ავრცელებენ საკუთარ პროდუქციას საქართველოსნაირ, მცირე ზომის ბაზრებზე.[229] მაგრამ პატარა სააფთიაქო ქსელის, „სახალხო აფთიაქის“, მეპატრონე, ვალერი კვარაცხელია, ჩივის, რომ სამ დიდ იმპორტიორ კომპანიასთან შეთანხმების გარეშე საჭირო მედიკამენტების შემოტანა მისთვის შეუძლებელია.[230] რაც შეეხება სამ ძირითად კომპანიას, რომლებიც იმპორტირებული მედიკამენტების ბაზარს აკონტროლებენ, ბევრი ფიქრობს, რომ ისინი ფასების დადგენისას შეთანხმებულად მოქმედებენ.

სტუდია „მონიტორი“ საქართველოს ფარმაცევტული კომპანიების შესახებ შექმნილ საგამოძიებო ფილმში აღნიშნავს: „სამი ძირითადი მოთამაშე (PSP, „ავერსი“, GPC) ამ ბაზარზე შეთანხმდა და მომწოდებლები გადაინაწილეს. ვთქვათ, რომელიღაც თუ მუშაობს „რიხტერთან“, დანარჩენი ორი მასთან არ მუშაობს. თუ ეუბნები, - ახალი ორგანიზაცია ვარ და მინდა თქვენთან თანამშრომლობა, - გეუბნებიან, - მე

228 ინტერვიუ საქართველოში ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორთან, ირაკლი მარგველაშვილთან. „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი“. გვ. 14-15. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (05/12/2012)

229 ავტორის ინტერვიუ საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარესთან, ფადი ასლისთან (10/11/2012)

230 ინტერვიუ „სახალხო აფთიაქის“ მფლობელთან, ვალერი კვარაცხელიასთან, და რესპონდენტთან, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა. „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი“. გვ. 14-15. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (05/12/2012)

მაქვს ხელშეკრულება უკვე არსებულებთან და მეტი აღარ მჭირდება“.[231]

კვარაცხელია განმარტავს: „ეს ასე ხდება: ერთი კომპანია ახდენს მედიკამენტი Xის იმპორტს, მეორეს კი მედიკამენტი Yი შემოაქვს და ისინი ამ მედიკამენტებს ერთმანეთს უნაწილებენ. იმპორტირებული მედიკამენტების ერთმანეთში განაწილებისა და სხვა აფთიაქებისთვის მათი ფიქსირებულ ფასად მიყიდვის გზით, ამ კომპანიებმა მოახერხეს ოლიგოპოლიის შექმნა. ვინაიდან ისინი ძირითადი იმპორტიორები იყვნენ და მწარმოებლებთან ექსკლუზიური კონტრაქტები ჰქონდათ გაფორმებული, მათ შექმნეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც აფთიაქები მათ მოწოდებაზე არიან დამოკიდებული. მწარმოებლებთან კონტრაქტის გაფორმება სხვა არც ერთ იმპორტიორს არ შეუძლია. ძირითადი იმპორტიორების მხრიდან იმპორტის ბაზრის კონტროლისა და ექსკლუზიური მედიკამენტების ერთმანეთში განაწილების გამო, ყველა აფთიაქი, რომელსაც უცხოური მედიკამენტებით ვაჭრობა სურს, მათზეა დამოკიდებული.“[232]

ამ დარგის კიდევ ერთი სპეციალისტი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ ინტერვიუში, ანონიმურობის დაცვის პირობით, ამბობს, რომ განაწილებული წამლების ფასების 10%-ით შემცირებით ამ კომპანიებს მცირე კონკურენტების ბაზრიდან განდევნა შეუძლიათ.[233] თუმცა PSPს გენერალური დირექტორის, გოჩა გოგილაშვილის, თქმით, ფიქსირებული ზღვარი ბაზარზე ნორმალური მოვლენაა. ეს კომპანიის მიერ მედიკამენტების

231 ფარმაციის ბნელი მხარე. სტუდია „მონიტორი“. 2009 http://ick.ge/ka/jinvestigation/322-2010-02-17-09-21-51.html (05/12/2012)

232 ინტერვიუ „სახალხო აფთიაქის“ მფლობელთან, ვალერი კვარაცხელიასთან. „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი“. გვ. 17-18. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (05/12/2012)

233 ინტერვიუ რესპონდენტთან, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა. საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (05/12/2012)

დისტრიბუციიდან მოგების მიღების გზაა მაშინ, როდესაც ის ამ მედიკამენტებს თავის აფთიაქებში არ ყიდის.[234] მაგრამ არანორმალურია ის, რომ ყველაზე დიდი იმპორტიორი/დისტრიბუტორი იმავდროულად უდიდესი საცალო მოვაჭრეა. ტექნიკურად არაფერია არასწორი იმაში, რომ კომპანია დისტრიბუტორიც არის და საცალო მოვაჭრეც. ამ შემთხვევაში საქმე ისაა, რომ დიდი კომპანიები თავიანთ დისტრიბუტორის დომინანტურ პოზიციას საცალო ვაჭრობის დონეზე პოზიციის გასაძლიერებლად იყენებენ.

ბაზარზე კონკურენციის გაძლიერების მიზნით მთავრობა 2009 წელს ახალი ცვლილებებით შემოვიდა. იმპორტიორებს ახლა კონკრეტული მედიკამენტის სხვადასხვა ქვეყანაში ყველაზე იაფი ვარიანტის ამორჩევა და ისეთი მედიკამენტების მოძიება შეუძლიათ, რომლებიც მანამდე ქართულ ბაზარზე დაშვებული არ ყოფილა ან რომელთა დისტრიბუციაც გართულებული იყო.[235] კომპანიებს სამედიცინო პროდუქციის სხვადასხვა არხით შემოტანის მეტი შესაძლებლობა მიეცათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილებები მოიწონეს, მათ არსებულ სიტუაციაზე დიდი გავლენა არ მოუხდენიათ, რადგან ძირითადი მოთამაშეები ბაზარზე დომინანტურ პოზიციას ინარჩუნებდნენ.[236]

„ავერსი“, PSP და GPC, როგორც უდიდესი დისტრიბუტორები, ბაზარზე არსებული მცირე, ფრაგმენტირებული გამყიდველებისგან, რომელთაც მედიკამენტების დამოუკიდებლად შემოტანის საშუალება არ აქვთ, მოგებას ნახულობენ. ინვესტიციების სახელმძღვანელო ფარმაცევტული ბაზრისთვის ამტკიცებს, რომ დიდი იმპორტიორი/დისტრიბუტორი და მოვაჭრე კომპანიები დაახლოებით 2000 კერძო ობიექტიდან,

234 ინტერვიუ PSP-ს გენერალურ დირექტორთან, გოჩა გოგილაშვილთან. „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი“. გვ. 18. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (05/12/2012)

235 იქვე, გვ. 19

236 იქვე, გვ. 39

რომლებსაც იმპორტის საშუალება თვითონ არ აქვთ, დიდ სარგებელს ნახულობენ.[237]

როდესაც 2009 წელს საცალო ბაზარზე „ეი-ბი-სი ფარმაციის“ „ფარმადეპო“ შემოვიდა, მან საერთო ფასი დასწია, რადგან იმპორტში მაღალი წილის გამო დაბალი ფასების შეთავაზების საშუალება ჰქონდა. მიუხედავად ამისა, დაახლოებით 2000 აფთიაქი მომარაგების 60%-ით ისევ „დიდ სამიანზეა“ დამოკიდებული.[238]

„ფარმადეპოს“ ბაზარზე შემოსვლას ისეთი აგრესიული კამპანიით შეხვდნენ, რომ, შეიძლება ითქვას, ეს მეთოდები ბანდიტსაც კი გააკვირვებდა. როგორც კი ახალი კომპანია თავისი ახალი აფთიაქის კარს აღებდა, ნარინჯისფერი ფარმაცენტრი“ მაშინვე იქ ჩნდებოდა და მედიკამენტებს 20–25%-ის ფასდაკლებით ყიდდა. აღსანიშნავია, რომ, 2010 წლის დასაწყისის მონცემებით, „ნარინჯისფერი ფარმაცენტრის“ ოფიციალური დირექტორი იყო კახაბერ ფანჩულიძე[239], რომელიც იმავდროულად გახლდათ PSP-ს დირექტორი[240] და 2012 წლამდე პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. „ნარინჯისფერი ფარმაცენტრის“ იურიდიული მისამართი იყო ინგოროყვას ქ. №1. ეს დღეს PSP-ს მისამართია.[241]

---

237 „შესაძლებლობები საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში“. ინვესტიციების სახელმძღვანელო. „კომსა ინტერნეიშენალი“ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. 2012 წლის მარტი http://www.investingeorgia.org/upload/file/Opportunities_in_Georgias_Pharmaceutical_Sector.pdf (05/12/2012)

238 „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი“. გვ. 22. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (05/12/2012)

239 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 22/03/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=37286&app_id=45535 (05/12/2012)

240 „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი“. გვ. 22. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (12/12/2012)

241 ყვითელი ფურცლები (yell.ge) http://yell.ge/srch_adv.php?lan=2&name=&city_id=0&address=1+Ingorokva+&keywords=&phone=&Submit.x=26&Submit.y=1 (05/12/2012)

სტეფანი კომსა, საქართველოში მოქმედი ინვესტიციების საკონსულტაციო ფირმა „კომსა ინტერნეიშენალის“ დამფუძნებელი და დირექტორი, დარწმუნებულია, რომ ფარმაცევტული ბაზარი ინვესტიციებისთვის მომწიფებულია. იგი იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ საქართველოში მედიკამენტების ფასებზე კონტროლი არ არსებობს და ამ ბიზნესში დაბანდებული თანხები დამატებული ღირებულების გადასახადისგან განთავისუფლებულია.

„დიდი ხნის განმავლობაში მედიკამენტების საცალო ბაზარზე ფასების მაღალი ზღვარი არსებობდა. გარდა ამისა, მასზე სულ რამდენიმე მოთამაშე მოქმედებდა“, – წერს ის ამერიკის სავაჭრო პალატის ჟურნალ „ინვესტორ.ჯი“-ში; „... ზოგიერთი მონაცემი აჩვენებს, რომ მზარდმა კონკურენციამ ამ სფეროში ფასები 25%-ით შეამცირა“, – აცხადებს კომსა[242], მაგრამ ეს რიცხვი არასწორია.

2009–2011 წლებში ცალკეულ მედიკამენტებზე ფასები შემცირდა, განსაკუთრებით ორიგინალურ ბრენდებზე. თუმცა ეს კლება ორიგინალური ბრენდების მხოლოდ 27%-ს და ჯენერიკული მედიკამენტების 21%-ს შეეხო. დანარჩენ წამლებზე ფასები გაიზარდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მედიკამენტების სამი მეოთხედი ბაზარზე გაძვირდა.[243] ამის ერთი ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ იმპორტის მზარდი შესაძლებლობების შედეგად წამლების ზოგიერთ ჯგუფზე მოთხოვნილება გაიზარდა. მეორე ვერსიით კი, ძირითადი დისტრიბუტორები წამლების ზოგიერთ ჯგუფზე ფასებს განზრახ ამცირებენ, რათა ბაზრის განვითარების პოზიტიური სურათი შექმნან.

„კურაციო ინტერნეიშენელის“ კვლევა აჩვენებს, რომ „ავერსი“, PSP და GPC ორიგინალური ბრენდების

242 Investor.ge. Issue 2, 2012. April-May http://www.investor.ge/article_2012_2.php?art=5 (05/12/2012)

243 Rationalization of Pharmaceutical Expenditures in Georgia. Tamar Gotsadze. 2011. Partnership for Social Initiatives. p. 3. http://www.psidiscourse.ge/files/files/pdfs/Rationalization%20of%20the%20Pharmaceutical%20Expenditures%20in%20Georgia.pdf (05/12/2012)

ფასებს ყველაზე მეტად ამცირებენ და არასამარკო, იაფფასიანი წამლების ფასებს ყველაზე მეტად ზრდიან. კვლევაში ნათქვამია, რომ ფასების კლება შეიძლება მათი მოკლევადიანი სტრატეგიაა და ბაზრიდან ახალი კონკურენტების განდევნას ისახავს მიზნად.[244]

საქართველოში მედიკამენტების 70 მწარმოებელია, მაგრამ მათ 90%-ს GPC და „ავერსირაციონალი" აწარმოებენ.[245] 2004-დან 2010 წლამდე ადგილობრივი წარმოება სწრაფად, წელიწადში 46%-ით იზრდებოდა.[246] ადგილობრივი პროდუქციის ღირებულება 2010 წელს 90.2 მლნ დოლარი იყო, ხოლო 2006 წელს – 22.1 მლნ დოლარი.[247] საქართველოში წარმოებული მედიკამენტების გაყიდვა სწრაფად, წელიწადში 38%-ით იზრდებოდა. საქართველოში წარმოებული წამლების 60%ის ექსპორტირება ხდება სამ ძირითად ქვეყანაში: აზერბაიჯანში, სომხეთსა და უზბეკეთში.[248]

„ავერსი" და GPC თავიანთ წარმოებას რეკლამას უწევენ და აცხადებენ, რომ ის სერტიფიცირებულია და საერთაშორისოდ აღიარებულ ხარისხის ყველა სტანდარტს

---

244 „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი". გვ. 24. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო". 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (05/12/2012)

245 პროდუქციის ღირებულება აშშ დოლარშია განსაზღვრული. ამას ადასტურებს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია (2011). საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის შესახებ დასკვნები და რეკომენდაციები; ასევე „შესაძლებლობები საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში". ინვესტიციების სახელმძღვანელო. „კომსა ინტერნეიშენალი" საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით". 2012 წლის მარტი http://www.investingeorgia.org/upload/file/Opportunities_in_Georgias_Pharmaceutical_Sector.pdf (05/12/2012)

246 „შესაძლებლობები საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში". ინვესტიციების სახელმძღვანელო. „კომსა ინტერნეიშენალი" საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. 2012 წლის მარტი http://www.investingeorgia.org/upload/file/Opportunities_in_Georgias_Pharmaceutical_Sector.pdf (05/12/2012)

247 საქსტატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია

248 ფარმაციის ბნელი მხარე. სტუდია „მონიტორის" გამოძიება. 2009 http://ick.ge/ka/jinvestigation/322-2010-02-17-09-21-51.html (05/12/2012)

აკმაყოფილებს. თუმცა არც ერთ სასერტიფიკაციო სააგენტოს ამ კომპანიებისთვის GMPსერტიფიკატი (GMP – კარგი წარმოების პრაქტიკა) არ მიუნიჭებია.[249] ეს სერტიფიკატი მათ კერძო აუდიტორული კომპანიების მიერ მიენიჭათ და არა აღიარებული GMP-სააგენტოს მიერ.[250] კომპანია GPC ახლა GMP-სერტიფიკატის საფრანგეთისგან მიღების პროცესშია, რაც მას საშუალებას მისცემს, თავისი პროდუქცია იმ ქვეყნებში გაიტანოს, სადაც EU-GMP-ს აღიარებენ. ქართული კომპანიები წარმოების პროცესში ერთვებიან მხოლოდ ბოლო საფეხურზე, რომელიც ტაბლეტირებასა და შეფუთვას მოიცავს. აქტიური ნივთიერებები სხვაგან მზადდება.[251]

ხარისხის კონტროლი და მომხმარებლის უფლებები ის საკითხებია, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობაში ჯერ ადეკვატურად არ ასახულა. კანონი მედიკამენტების მწარმოებლად აღიარებს კომპანიას, რომელიც მხოლოდ შეფუთვას ახდენს. აქტიური ნივთიერების მწარმოებელი, ანუ კომპანია, რომელიც წამალს ქმნის, არც ეტიკეტზე და არც ანოტაციაში მითითებული არ არის. არ არსებობს მონაცემთა ბაზა, რომელშიც ამ ინფორმაციის მოძიება იქნებოდა შესაძლებელი. ჩვენ არ ვიცით, სად შეიქმნა წამლის ფორმულა ან სად იქნა აქტიური ნივთიერება წარმოებული. სამაგიეროდ, „ავერსი“ და PSP გვარწმუნებენ,

249 „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი“. გვ. 31. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (12/12/2012)

250 „შესაძლებლობები საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში“. ინვესტიციების სახელმძღვანელო. „კომსა ინტერნეიშენალი“ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. 2012 წლის მარტი http://www.investingeorgia.org/upload/file/Opportunities_in_Georgias_Pharmaceutical_Sector.pdf
და Doubts over Indian Medicines Sold in Georgia. The Financial. http://www.finchannel.com/Main_News/Geo/102226_Doubts_over_Indian_Medicines_Sold_in_Georgia/ (05/12/2012)

251 „შესაძლებლობები საქართველოს ფარმაცევტულ სექტორში“. ინვესტიციების სახელმძღვანელო. გვ. 23. „კომსა ინტერნეიშენალი“ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. 2012 წლის მარტი http://www.investingeorgia.org/upload/file/Opportunities_in_Georgias_Pharmaceutical_Sector.pdf,

რომ წამალი, რომელსაც ვიღებთ, საქართველოში GMP-სერტიფიკატის მქონე ქართველი მწარმოებლის მიერ არის შექმნილი. სინამდვილეში კი აქტიური კომპონენტი შეიძლება ინდოეთში ან ეგვიპტეში იმ კომპანიის მიერ იყოს წარმოებული, რომელსაც არ ვიცნობთ. ერთადერთი რეალური წარმოება, რომელიც რეალურად ხორციელდება, მზა ნაწარმის ქართული ეტიკეტით დაფასოებაა.[252]

მაგალითად, „ავერსირაციონალის“ ბრენდით გამოშვებული ზოგიერთი მედიკამენტის ეტიკეტზე მწარმოებლის სახელი მითითებული არ არის. ასეთებია „კვადიმაქსი“, „ენოზიდჰაში“, „მუსიტროლი“, „ამტასი“ და „კალციტრონი“, რომლებიც დაუფასოებელი ფორმით ინდოეთიდანაა შემოტანილი. კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის, რომ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ფუნქციონირებს და მედიკამენტების ხარისხზეა პასუხისმგებელი, ეფექტიანად მუშაობისთვის არც ექსპერტიზა აქვს და არც ფინანსური და ტექნიკური რესურსები.[253]

„ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, წამლის სააგენტოს არასოდეს აღმოუჩენია ფალსიფიცირებული პროდუქტები. როგორ მოხდა ეს იმ პირობებში, როდესაც მსოფლიოში, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავს დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, 200 მილიონი დოლარის ღირებულების ფალსიფიცირებული მედიკამენტების ბაზარი არსებობს? ეს შემოწმებას საჭიროებს, ამისთვის კი კარგი სისტემის არსებობაა საჭირო, რომელიც ტექნიკური ცოდნით, ფინანსური რესურსებით და. ა.შ. იქნება აღჭურვილი. თუმცა, ამჟამად ასეთი სისტემა არ გვაქვს. დღეს

252 „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი“. გვ. 36. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (05/12/2012)

253 იქვე

საქართველოში ასეთი სისტემა არ არსებობს“,[254] – ამბობს ირაკლი მარგველაშვილი, საქართველოში ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

ყოველივე ამას იქამდე მივყავართ, რომ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარს დისტრიბუციის, ვაჭრობისა და წარმოების სფეროებში უდიდესი წილის მქონე ორი ძირითადი კომპანია აკონტროლებს. ის ფაქტი, რომ „კონკურენტების“ უმრავლესობა ამ კომპანიებზეა დამოკიდებული, სისტემას ოლიგოპოლიის, ანუ ვერტიკალური მონოპოლიის, ელფერს აძლევს. თუმცა, ამ კომპანიებს მონოპოლია რომც არ ჰქონდეთ, ისინი ბოლო ხანებში პრივატიზებულ სადაზღვევო და ჰოსპიტალურ ბაზრებზე უკვე აქტიურები არიან. ეს კომპანიები კლინიკებს ფლობენ.[255] ვერტიკალურად ინტეგრირებული ფარმაცევტული კომპანიები, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის უფრო დიდ სექტორშიც ოპერირებენ, სხვადასხვა დონეზე ინტერესთა კონფლიქტს ქმნიან, რაც მომხმარებლისთვის, მისი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და ხარისხიანობის თვალსაზრისით, სასარგებლო სულაც არ არის. ეს დიდი კომპანიები სამედიცინო წარმოების სფეროს განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, თუმცა ისინი არ კონტროლდებიან, როდესაც მათგან ვყიდულობთ იმას, რაც მათ უნდათ, და მათ მიერვე მანიპულირებად ფასებად. ეს არის ის, რაც ძირითად ფარმაცევტულ კომპანიებს ყველაზე მეტად აძლევთ ხელს.

---

254 ინტერვიუ საქართველოში ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორთან, ირაკლი მარგველაშვილთან. „საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი“. გვ. 35. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 22 ივნისი, 2012 http://goo.gl/HNWDs (05/12/2012)

255 „ავერსის“ ვებგვერდი. http://www.aversi.com/main.php?lang=geo&id=68&type=4 და „პე-ეს-პეს“ ვებგვერდი (2011 წლის ზაფხულში თბილისში, ორთაჭალაში, კრწანისის ქუჩაზე №12 გაიხსნა PSP-ს მრავალპროფილური, 150საწოლიანი „ნიუ-ჰოსპიტალსი“...). http://www.psp.ge/?mid=60 (05/12/2012)

ეს არის აღმშენებლობა?

2002 წელს საცხოვრებლად ახალ ბინაში გადავედი, მარჯანიშვილის თეატრის გვერდით, თბილისის ერთ-ერთ უბანში, „პლეხანოვზე“. ჩემი სახლიდან მეტრომდე ერთმანეთის მიყოლებით ჩადგმული ჯიხურების ქალაქი გაშლილიყო, სადაც ყველაფერი იყო, კონტრაბანდული სიგარეტებითა და ფეხსაცმლის შეკეთებით დაწყებული, პასპორტისთვის მომენტალური ფოტოთი დამთავრებული. სხვები ტროტუარის გასწვრივ ან ავტომობილების საბარგულებიდან ყიდდნენ სხვადასხვა წვრილმანს, წიგნებსა და კვების პროდუქტებს. ეს ადგილი ხმაურიანი ბაზარი იყო. ერთ მშვენიერ დღეს, 2004 წელს ჯიხურების უმრავლესობა გაქრა. მალე ამას „პლეხანოვის“ ქაოსური ატმოსფეროს გაქრობაც მოჰყვა, მაგრამ აქაურობა მაინც ინარჩუნებდა აზიურ სურნელს. 2011 წელს კი აღმაშენებლის გამზირზე მოულოდნელად განახლების მასშტაბური პროცესი დაიწყო. დღეს აქაურობა სულ სხვა ქალაქს ჰგავს.

ბოლო წლებში მართლაც წარმოუდგენელი, ფენომენური რაოდენობის განახლება მოხდა. შესრულებული სამუშაოების სია შთამბეჭდავია: განახლებული სიღნაღი, მესტია და ბათუმი; განახლებები თბილისში, ზუგდიდში, თელავსა და ქუთაისში; ხელახლა დაგებული გზები და მშენებარე ჩქაროსნული მაგისტრალი; ახალი აეროპორტები თბილისში, ბათუმსა და მესტიაში და ა. შ. მმართველი პარტია მოკრძალებით აღნიშნავდა, რომ ეს ხალხის დამსახურებაა, მაგრამ ყველამ იცის, რომ ის, რასაც ვხედავთ, ქვეყანაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგია. მაგრამ არის ის, რაც არ ჩანს – როგორ შეძლო ყოფილმა ხელისუფლებამ ამ წარმატებების მიღწევა. ეს აღმშენებლობა ხშირად კერძო მფლობელების ხარჯზე ხორციელდებოდა, რომლებსაც პროგრესის სახელით აიძულებდნენ, უარი ეთქვათ თავის საკუთრებაზე. ამ მხრივ ქვეყანაა პასუხისმგებელი პროგრესზე.

ქონების გადანაწილების პროცესი დაიწყო საქართველოს შიდა ქართლის რეგიონიდან, როდესაც მის გუბერნატორად ირაკლი ოქრუაშვილი დაინიშნა.[256] მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის დაპირებას იძლეოდა, შიდა ქართლში მსხვილი საწარმოები ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცა. რეალურად სახელმწიფომ ქონების კონფისკაცია მოახდინა, მაგრამ რადგანაც დეპრივატიზაციასთან დაკავშირებით არანაირი კანონი არ არსებობდა, სახელმწიფოს ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ მოცემული ქონება „საჩუქარი“ იქნებოდა.

ამის კლასიკური მაგალითია ჯემალ წიკლაურის ამბავი, რომელიც გორში, შიდა ქართლის რაიონულ ცენტრში, ბაზარ „ლიახვის“ მფლობელი იყო. ერთ-ერთმა ადგილობრივმა მამაკაცმა განაცხადა, რომ ხორცის გამყიდველმა წონაში მოატყუა და 10-ის ნაცვლად 9 კილოგრამი ხორცი მიჰყიდა. ადგილზე მისულმა გუბერნატორის მოადგილემ, მიხეილ ქარელმა, სასწორის კონფისკაცია მოახდინა და ტელევიზიით გამოსვლისას წიკლაურის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. ამ განცხადების შემდეგ ადგილობრივმა საგადასახადო სამსახურმა წიკლაური 2002–2004 წლებში 287,120 ლარის გადასახადების დამალვაში დაადანაშაულა.[257] 2004 წლის მარტში წიკლაური დააპატიმრეს.

თუმცა იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ წიკლაურმა დამალა 37,000 ლარი და არა 287,120, როგორც გორის ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებდნენ. თავად წიკლაურმა განაცხადა, რომ გორის პროკურატურაში მას 58,000 ლარი

256 „ხალხის“ ბაზარი იყიდება. Humanrights.ge. 7 აგვისტო, 2007 http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6722&lang=geo (14/11/2012)

257 Jemal Tsiklauri case. საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი. October 24, 2007 http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=1&id=808 (14/11/2012)

გადაახდევინეს, მაგრამ მაინც დატოვეს პატიმრობაში.[258] მისი ადვოკატი, ვახტანგ ცხომელიძე, ამტკიცებს, რომ ქარელი, რომელიც იმ დროს უკვე გუბერნატორი იყო, ციხეში ეწვია წიკლაურს და მას 228,000 ლარად შეფასებული ქონების დათმობა მოსთხოვა. 2004 წლის სექტემბერში წიკლაურმა თავი დამნაშავედ ცნო, ქონების გადაცემაზე თანხმობა განაცხადა და, უკვე გადახდილი 58,000-ის გარდა, კიდევ 2,000 ლარის ჯარიმა გადაიხადა.[259]

ამის მსგავსი იყო 56,425 ლარად შეფასებული გორის ცენტრალური სტადიონის შემთხვევა. შპს „გორკონმა“ აქ თავისი აქციების 22% ადგილობრივ ხელისუფლებას გადასცა.[260] „რეპრივატიზაციის“ შედარებით „მსუბუქი“ შემთხვევა დაფიქსირდა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორ ნოდარ მაისურაძესთან დაკავშირებით. მან 230 ჰა მიწა იჯარით აიღო და 27 სხვა ოჯახთან ერთად ხორბალი მოიყვანა. ზუსტად მოსავლის აღების წინ მას მმართველი პარტიის რეგიონული ლიდერი, გიორგი კერესელიძე, დაემუქრა: „თუ მოსავალს არ დათმობ, მოგიტაცებთ ან დაგიჭერთო“.[261] სახალხო დამცველის ინფორმაციით, მაისურაძე უკანონოდ დააპატიმრეს იმ მიზნით, რომ მისთვის ქონება ჩამოერთმიათ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ 72 ტონა ხორბალი აიღო თავისთვის.[262] მიუხედავად იმისა, რომ ხორბალი შემდეგ დააბრუნეს, არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. მოგვიანებით 500 ტონა ხორბალი მოიპარეს, რამაც გამოიწვია კონფლიქტი მაისურაძესა და „სალთვისი-2“-ს, იმ კომპანიას, შორის, რომლის კომბაინებიც ხორბლის გადასაზიდად მივიდნენ. ადგილზე

258 იქვე

259 იქვე

260 მინისტრის მეგობარი. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. http://www.youtube.com/watch?v=8xDdy5M2WrI (05/12/2012)

261 სახალხო დამცველი ნოდარ მაისურაძის საქმის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი. 25 მაისი, 2006 http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=293 (05/12/2012)

262 იქვე

პოლიციელებიც იმყოფებოდნენ, მაგრამ საქმეში არ ჩარეულან, რადგან, როგორც განაცხადეს, ასეთი ბრძანება ჰქონდათ მიღებული.[263]

ერთ-ერთი აქტივი, რომელიც წინა მთავრობას განსაკუთრებით აინტერესებდა, გახლდათ გორის წისქვილკომბინატი, ოფიციალურად შპს „ფორტე“, რეგიონის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმო, რომელიც დაახლოებით 500,000 ლარად იყო შეფასებული. მაგრამ, სხვა ღირებული ქონებისგან განსხვავებით, „ფორტე“ სახელმწიფოს საკუთრებაში არ გადასულა. 2004 წლის 15 დეკემბერს „ფორტეს“ ოთხმა მფლობელმა – მირიან ოქროშიაშვილმა, გიორგი ორთანეზაშვილმა, ვასილ ხიტიაშვილმა და მერაბ დათვიაშვილმა – მათი კუთვნილი წილები შპს „ლემისეს“ გადასცეს, კერძო კომპანიას, რომელიც წილების გადაფორმებამდე 13 დღით ადრე დაფუძნდა.[264]

„ლემისეს“ შემთხვევა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდისთვის არის დამახასიათებელი და მაგალითია იმისა, თუ როგორ ჩნდება კომპანია არსაიდან, იაფად ეპატრონება სახელმწიფო ქონებას, იღებს დიდ მოგებას, იზრდება და აგრძელებს მთავრობისთვის ძვირად ღირებული სამუშაოების შესრულებას.

ოფიციალური მონაცემებით, „ლემისე“ 2000 ლარის საწესდებო კაპიტალით სერგი კაკალაშვილმა, გიორგი კაპანაძემ და გიორგი ოქროშიაშვილმა დააფუძნეს[265], თუმცა კაპანაძე მხოლოდ ფორმალური მეპატრონეა და ბიზნესს რეალურად მისი შვილი, ლევანი (ლუხუმი), მართავს.[266] მამაშვილურ კავშირს ვხვდებით ოქროშიაშვილებთანაც

263 მინისტრის მეგობარი. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. http://www.youtube.com/watch?v=8xDdy5M2WrI (05/12/2012)

264 იქვე

265 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მე4 გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=32319 (12/12/2012)

266 მინისტრის მეგობარი. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. http://www.youtube.com/watch?v=8xDdy5M2WrI (05/12/2012)

– გიორგი მირიანის შვილია; მირიანი „ფორტეს“ მთავარი აქციონერი იყო და დღესაც ფლობს 5%-ს[267], ხოლო გიორგის 25% აქვს „ლემისეში“.[268] თავად კომპანიის დასახელებაც სწორედ აქედან მოდის: ლე (ლევანი) – მი (მირიანი) – სე (სერგი).

სერგი კაკალაშვილი ბიზნესმენია ტიუმენიდან (რუსეთი), რომელიც ლექსებსაც წერს. პრეზიდენტ სააკაშვილს ისე მოსწონს მისი პოეზია, რომ პარლამენტის სხდომაზე მისი რამდენიმე ლექსიც წაიკითხა. კაკალაძეს შვილს ტიუმენში ლუხუმ კაპანაძესთან ერთად აქვს კომპანია „საქართველო“. გარდა ამისა, კაპანაძე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, თანაკლასელია.[269]

შპს „ფორტეს“ შეძენის შემდეგ „ლემისემ“ ყიდვებისა და გაყიდვების სერია დაიწყო – იაფად ყიდულობდა უძრავ ქონებას, ხშირად სახელმწიფოსგან, და მას ძვირად ღირებულად აქცევდა, დაახლოებით ისე, თითქოს მთავრობის არაოფიციალური უძრავი ქონების აგენტი ყოფილიყოს.

2005 წლის 15 დეკემბერს „ლემისემ“ შპს „ქართული პროდუქტისგან“ 867,000 აშშ დოლარად შეიძინა კაჭრეთის წისქვილკომბინატი და მას 3 თვის განმავლობაში ფლობდა. „ქართული პროდუქტის“ მფლობელი, გავრცელებული ინფორმაციით, შეძლებული გორელი ბიზნესმენი, გოჩა ძასოხოვი, იყო.[270] 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ იგი „თბილისის რეჟიმს დაუპირისპირდა“[271] და რუსეთში გაიქცა, სადაც რუსეთის საზოგადოებრივი პალატის წევრი გახდა. საქართველოს პროკურატურამ მის

267 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 28/12/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=188743&app_id=215661 (05/12/2012)

268 მინისტრის მეგობარი. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. http://www.youtube.com/watch?v=8xDdy5M2WrI (05/12/2012)

269 იქვე

270 იქვე

271 გოჩა ზასოხოვის ბიოგრაფია მის ოფიციალურ გვერდზე http://www.dzasokhov.ru/en/biography/ (04/12/2012)

წინააღმდეგ ფულის გათეთრების ბრალდებით გამოძიება დაიწყო.[272]

„ლემისემ“ კაჭრეთის წისქვილკომბინატი მის მიერვე დაფუძნებულ შპს „მკათათვეს“ გადასცა და 2,360,000 აშშ დოლარად მიჰყიდა კომპანია „აგროსისტემებს“.[273] 2005 წლის 15 დეკემბერს „ლემისემ“ შპს – აგროკომპანია „მუხროვანი“ 1,150,000 ლარად შეიძინა Worldwide Trading-სგან, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, ასევე გოჩა ძასოხოვს ეკუთვნოდა. აგროკომპანია „მუხროვანი“ სახელმწიფო საკუთრება იყო, 2005 წლამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ბალანსზე ირიცხებოდა და 20 ჰა მიწას ფლობდა. Worldwide Trading-მა შსს-სგან იჯარით დამატებით 1400 ჰა მიწის ნაკვეთი აიღო. აქედან 931 ჰა „ლემისემ“ 349,316 ლარად (196,532 აშშ დოლარი) შეიძინა.[274]

დაახლოებით იმავე პერიოდში მთავრობა ცდილობდა, საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე დაეთანხმებინა არაბი ფინანსისტები არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, კერძოდ, დეველოპერული კომპანია „რაკეენი“, რომელიც „მისი უდიდებულესობის, შეიხ საუდ ბინ საქრ ალ ქასიმის, სამეფო მხარდაჭერით სარგებლობდა“. 2007 წლის 20 მარტს „ლემისემ“ სხვა ქონებასთან ერთად „რაკეენს“ საკმაოდ მაღალ ფასად – 15,827,000 აშშ დოლარად – მიჰყიდა აგროფირმის 931 ჰა შსს-ს ყოფილი მიწის ნაკვეთიდან.[275]

კომპანია „ლემისემ“ გაფართოება დაიწყო. მან შეიძინა ღვინის ქარხანა ქუთაისში, დააარსა ფარმაცევტული

272 გოჩა ძასოხოვი და ლერი ხაბელოვი საქართველოდან გაიქცნენ. Humanrights.ge. 25 დეკემბერი, 2008 http://www.humanrights.ge/new/index.php?a=main&pid=10746&lang=geo (14/11/2012)

273 მინისტრის მეგობარი. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. http://www.youtube.com/watch?v=8xDdy5M2WrI (05/12/2012)

274 იქვე

275 იქვე

კომპანია „ბათფარმა“[276] და მზესუმზირას ზეთის მწარმოებელი „ბათოილი“ და დააფუძნა კომპანია „კავკასიის ხორბალი“, რომლის თანამფლობელი (წილები – 50/50) იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გასული პარლამენტის წევრის, გოგი ლიპარტელიანის, სიძე, გიორგი ადეიშვილი, რომელსაც, გავრცელებული ინფორმაციით, ლუხუმ კაპანაძესთან ერთობლივი ბიზნესი ჰქონდა.[277] „ლემისემ“ მოგვიანებით ადეიშვილის წილიც შეისყიდა. „კავკასიის ხორბალმა“ 2006 წლის 6 იანვარს 3,451,500 აშშ დოლარად შეიძინა თბილისში, დიღომში მდებარე 4 მიწის ნაკვეთი (76.700 კვ. მეტრი), რომელიც შსს-ს ეკუთვნოდა. მისი ნაწილი – 72,336 კვ. მეტრი – „რაკეენმა“ თავისი პროექტისთვის, „რაკეენ აპთაუნისთვის“, 7,283,600 აშშ დოლარად იყიდა. „კავკასიის ხორბალმა“ ამ გარიგების შედეგად 3,832,100 აშშ დოლარის მოგება და 3900 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი მიიღო.[278]

„კავკასიის ხორბლისთვის“ „რაკეენი“ ზეციური მანანასავით იყო. 2005 წლის 27 დეკემბერს „კავკასიის ხორბალმა“ აუქციონზე 141,677 აშშ დოლარად იყიდა ტურისტული კომპანია „ვარძია“. ასპინძაში, ვარძიის სამონასტრო კომპლექსთან მდებარე ეს სასტუმრო 31,500 კვ. მეტრ მიწას, მინერალურ აბაზანებსა და სხვადასხვა ნაგებობას მოიცავდა. ეს ყველაფერი მან „რაკეენს“ 2 მილიონ აშშ დოლარად მიჰყიდა.[279]

„რაკეენი“ არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან მოსული ერთადერთი მოულოდნელი სიხარული არ ყოფილა. 2006 წლის 25 მარტს „კავკასიის ხორბალმა“ 210,000 აშშ დოლარად შეიძინა გონიოს საავადმყოფო 3000 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთთან ერთად აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე.

---

276 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 03/02/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=12859&app_id=20283 (05/12/2012)

277 იქვე

278 მინისტრის მეგობარი. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. http://www.youtube.com/watch?v=8xDdy5M2WrI (05/12/2012)

279 იქვე

კონტრაქტის პირობების თანახმად, 24 თვის განმავლობაში კომპანიას ამ უძრავ ქონებაში 2 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა ჩაედო, უნდა აეშენებინა 80-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი, ასევე ამბულატორია 300 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთზე, უნდა აღეჭურვა იგი დაახლოებით 120,000 აშშ დოლარის ღირებულების თანამედროვე საოფისე და სამედიცინო მოწყობილობებით. 22 თვის განმავლობაში არანაირი ინვესტირება არ განხორციელებულა. შემდეგ კომპანია „კავკასიის ხორბალმა" ეს უძრავი ქონება 1,267,499 აშშ დოლარად მიჰყიდა Ras al Khaima Investment Authority Georgia-ს (RAKIA). ამ გარიგების შედეგად „კავკასიის ხორბალმა" არაფერში თვეში 48,045 აშშ დოლარი მიიღო.[280]

2007 წლის 3 სექტემბერს კომპანია „ლემისეს" აქციონერებმა ოფშორულ ზონაში გადასვლის გადაწყვეტილება მიიღეს და თავიანთი აქციები მიჰყიდეს ორ კომპანიას, რომლებიც პანამაში 2006 წლის 27 დეკემბერს დარეგისტრირდა: 60% Argilstone Investment-ს ერგო, ხოლო 40% – Remax-ს.[281] ამ კომპანიების დამფუძნებლები ერთი და იგივე ადამიანები იყვნენ: იზეთ სამუდიო ტაპია, ივან ანტონიო მოლინო ალვარესი, იადირა ინეს მორენო მორალესი.[282] ისინი პანამაში დარეგისტრირებულ ასობით სხვა კომპანიაში ფლობენ წილებს.[283] ეს გარიგება, არსებული ინფორმაციით, ფიქციური იყო. „ბათფარმასა" და „ლემისეს" წარმომადგენლები ადასტურებდნენ, რომ ლუხუმ კაპანაძე ისევ ფლობდა წილს კომპანიაში.[284]

---

280 იქვე

281 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 20/01/2010 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=5241&app_id=11373 (05/12/2012)

282 http://ohuiginn.net/panama/company/id/549412 და http://ohuiginn.net/panama/company/id/549394 (05/12/2012)

283 http://ohuiginn.net/panama/person/IZETH%20SAMUDIO%20TAPIA (05/12/2012)

284 მინისტრის მეგობარი. სტუდია „მონიტორის" გამოძიება. http://www.youtube.com/watch?v=8xDdy5M2WrI (05/12/2012)

იმავე პერიოდში „ლემისემ“ თავისი ზოგიერთი აქტივის გაყიდვა დაიწყო, სხვებს კი გირაოს სახით სხვადასხვა ბანკისგან სესხების მისაღებად იყენებდა. მათ შორის იყო 17 მილიონი აშშ დოლარის სესხი „ბანკ ქართუდან“, რომელიც მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნოდა.[285] ეს მანამდე მოხდა, სანამ მთავრობა ეროვნულ საბანკო კანონმდებლობას შეცვლიდა, რაც, როგორც აღმოჩნდა, აშკარად „ბანკი ქართუს“ ქონებისკენ იყო მიმართული.

2011 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში, რომლებმაც თავდაყირა დააყენა საბანკო სისტემის კანონმდებლობა და მოსალოდნელი შედეგების გამო გაოგნებული დატოვა ბიზნესმენები. ქართული სისტემა, დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოების მსგავსად, უზრუნველყოფილ მოთხოვნას არაუზრუნველყოფილ მოთხოვნასთან შედარებით პრიორიტეტს ანიჭებდა, ხოლო უზრუნველყოფის მქონე კრედიტორებს შორის მევალის ქონების დაყადაღების უფლების პრიორიტეტი მათ მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების თარიღების მიხედვით განისაზღვრებოდა.[286]ამგვარად, თუკი საქართველოს საგადასახადო სამსახური ყადაღას ადებდა ქონებას, რომელიც გირაოს სახით სესხის მისაღებად იყო გამოყენებული, იგი დაინტერესებულ მხარეთა შორის ბანკის შემდეგ მეორე ადგილს იკავებდა. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში კი საგადასახადო სამსახურის მიერ დაგირავებული ქონების დაყადაღების უფლებას პირველი ადგილი მიენიჭა, მაშინაც კი, თუკი დაყადაღება გირავნობის რეგისტრაციის შემდეგ იყო მომხდარი, და ეს ეხებოდა ყველა არსებულ კონტრაქტს, მათი გაფორმების

285 იქვე

286 საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 28 ივნისი, 2011 https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1387361&lang=ge (12/12/2012)

თარიღების მიუხედავად. ეს იმას ნიშნავდა, რომ, თუკი მე სახელმწიფოს წინაშე მაქვს საგადასახადო დავალიანება იმ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც გირაოს სახით ბანკისგან სესხის მისაღებად გამოვიყენე, სახელმწიფოს შეუძლია იგი ბანკს წაართვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კანონი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უძრავი ქონების უზრუნველყოფის გამოყენებით საქართველოში გაფორმებულ ყველა შეთანხმებას. როგორ უნდა მოქცეოდა ბანკი სესხის თხოვნას, რომლის უზრუნველყოფაც საქართველოში მდებარე უძრავი ქონება იყო? ქვეყნისთვის, რომელსაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ჰქონდა დასახული მიზნად, ეს პირდაპირ უცხოეთისთვის განკუთვნილ ინვესტიციების თვითმკვლელ გზავნილს ჰგავდა. ეს კანონი მხოლოდ „ბანკ ქართუს“ მიმართ იქნა გამოყენებული. ივანიშვილი ამტკიცებს, რომ მან დაკარგა 195 აქტივი, რომელთა საერთო ღირებულება 114,7 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებდა, სანამ ამ კანონს გააუქმებდნენ 2012 წლის 30 მარტს.[287]

სერგი კაკალაშვილის მიერ „ქართუში“ დაგირავებული ზოგიერთი ქონება ჩამორთმეულ იქნა და აუქციონზე გაიტანეს გასაყიდად, მაგრამ, რადგანაც მყიდველი არ გამოჩნდა, ის სახელმწიფოს გადაეცა. ამის პარალელურად, კაკალაშვილმა სხვადასხვა აქტივი მიჰყიდა მის საკუთრებაში არსებულ იმ კომპანიებს, რომელთაც სახელმწიფოს მიმართ დიდი დავალიანებები ჰქონდათ და რომლებიც საბოლოოდ ასევე სახელმწიფომ დაისაკუთრა. ამ კანონით ჩამორთმეულ იქნა საერთო ჯამში 41,288,885.79 აშშ დოლარის ღირებულების მქონე მისი აქტივები, რომლებიც „ბანკ ქართუს“ ეკუთვნოდა.[288] ივანიშვილი ამტკიცებს, რომ

287 საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 12 ივნისი, 2012 https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1672612&lang=ge (12/12/2012)

288 კვირის რეპორტაჟი. სტუდია GNS. 5 თებერვალი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=JmAv3eUk-hE (05/12/2012)

ეს ქონება სახელმწიფომ ისევ მის პირვანდელ მფლობელებს მიჰყიდა.[289]

„ლემისეს“ გარდა, ლუხუმ კაპანაძე სხვა კომპანიებითაც იყო დაკავებული. 2006 წლის დეკემბერში მან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გასულ ყოფილ პარლამენტის წევრთან, დევი ოვაშვილთან, ერთად სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანია, „ინტერპლასტი“, დააფუძნა, შემდეგ კი „ინტრეპლასტში“ საკუთარი წილი 100 ლარად მიჰყიდა ოფშორულ კომპანიას. ეს წილი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში და საბოლოოდ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის (13%), და მისი ძმის, იაგოს (10%), საკუთრებაში აღმოჩნდა.[290] „ლემისეს“ მსგავსად, „ინტერპლასტმაც“ დიდი მოგება მიიღო უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით. კომპანიის საკუთრებაში არსებულ ზოგიერთ ქონებას სახელმწიფო დავალიანება ჰქონდა და მთავრობამ ისინი „ბანკ ქართუს“ ჩამოართვა.[291]

„ვარდების რევოლუციამდე“ ქალაქის ზოგიერთი საუკეთესო რესტორანი მდინარე მტკვრის აღმოსავლეთ სანაპიროზე იყო განთავსებული, თბილისის ისტორიულ ნაწილში; „ნატვრის ხე“, „რიყე“, „უშბა“, „დედა ზოია“ და სხვები კერძო საკუთრება გახლდათ. 2006 წლის აპრილის ერთ დღეს იქ ბულდოზერები მივიდნენ. ციცინო ბოჭორიშვილი ერთ-ერთი კერძო მესაკუთრე იყო, რომელსაც შენობა დაუნგრიეს. მის შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენლებმა ადმინისტრაციული

289 Bidzina Ivanishvili and Georgia. Final Notice of Dispute (იურიდიული კომპანია Skadden, Apps, Slate, Meagher & Flom-ის გზავნილი ბიძინა ივანიშვილის სახელით საქართველოს მთავრობისადმი) http://www.civil.ge/files/files/2012/FinalNoticeOfDispute-IvanishviliVGeorgia.pdf (05/12/2012)

290 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 03/01/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=364504&app_id=420727 (12/12/2012)

291 მინისტრის მეგობარი. სტუდია „მონიტორის“ გამოძიება. http://www.youtube.com/watch?v=8xDdy5M2WrI (12/12/2012)

პროცედურებისა და კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების იგნორირება მოახდინეს.[292]

შემდგომ დავით კეზერაშვილის ფინანსურმა პოლიციამ ამ რესტორნებში გამოძიება დაიწყო და 2005-2006 წლების ზამთარში ისინი დახურა, მათი ქონება კი ჯერ ფინანსთა სამინისტროს საკუთრებაში გადავიდა, ხოლო შემდეგ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდსა და თბილისის განვითარების ფონდს გადაეცა, ორ გაურკვეველ არაკომერციულ იურიდიულ პირს, რომლებიც ქალაქ თბილისის მთავრობამ დააარსა. ორივეს წესდებით განსაზღვრული მსგავსი მიზნები ჰქონდა და მმართველ საბჭოებშიც ერთი და იგივე წევრები ჰყავდათ, რომელთა უმრავლესობა სხვადასხვა მუნიციპალური ორგანოსა და საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი იყო. ისინი თანხის ნაწილს თბილისის ბიუჯეტიდან იღებდნენ, მაგრამ რამდენს, უცნობია, რადგანაც ეს ფონდები აცხადებდნენ, რომ, ვინაიდან არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსით იყვნენ რეგისტრირებული, მათზე არ ვრცელდებოდა საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტს ეხება; თუმცა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განმარტებით, ეს უკანონო გადაწყვეტილება იყო და ფონდები ვალდებული იყვნენ, საჯარო გაეხადათ საჯარო საკუთრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.[293] საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა, რაში, სად და როგორ დაიხარჯა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გადარიცხული ეს ფული.[294]

2006 წლის 6 ივნისს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ რიყეზე არსებული 43,350

292 საქართველოს სახალხო დამცველის 2007 წლის ანგარიში. გვ. 130 http://www.ombudsman.ge/files/downloads/en/rcdhxltppxuyaxakjjlc.pdf (05/12/2012)

293 რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში. http://gyla.ge/geo/news?info=673 (13/12/2012)

294 იქვე

კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი აუქციონის წესით, 7 მილიონ აშშ დოლარად მიჰყიდა შპს „ახალ რიყეს“.[295] „ახალი რიყე“ მანამდე რამდენიმე თვით ადრე დააფუძნეს ნიკოლოზ მახარაშვილმა და GMC Holding-მა (წილები – 50/50).[296] GMC Holding, თავის მხრივ, Newcom Association-ს ეკუთვნის[297] და წარმოდგენილია პრეზიდენტ სააკაშვილის სტუდენტობის მეგობრის, ლევან ყარამანიშვილის, სახით, რომელიც „რუსთავი 2“-ის 90%-ის მფლობელი[298] და რეზო შარანგიას სიძეა. 1 ივნისს, აუქციონამდე 5 დღით ადრე, მახარაშვილმა თავისი 50%-იანი წილი GMC Holding-ს გადასცა. შეთანხმების თანახმად, „ახალ რიყეს“ 7 მილიონი აშშ დოლარი 3 თვეში უნდა გადაეხადა. შეთანხმების გაფორმებიდან 8 დღეში GMC Holding-მა თავისი აქციების 80% მიჰყიდა დავით იაკობაშვილს[299], რომელიც, „ფორბსის“ 2012 წლის აპრილის მონაცემებით, 950 მილიონი აშშ დოლარის ქონების პატრონი და სიმდიდრით მე-3 ქართველია მსოფლიოში.

ორი წლის განმავლობაში ამ უძრავ ქონებაში რაიმე სერიოზული ინვესტიცია არ ჩადებულა. 2008 წლის დეკემბერში ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა ეს ქონება 17 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა.[300] ამგვარად, მივიღეთ, რომ მთავრობამ მასთან დაახლოებულ „GMC ჯგუფს“ 7 მილიონ აშშ დოლარად მიჰყიდა რიყის უძრავი ქონება, ორი წლის შემდეგ კი მისგან იგივე ქონება 17 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა.

---

295 იქვე

296 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 23ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=88965

297 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 02/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=469610&app_id=545255 (12/12/2012)

298 Rustavi 2 and Mze TV Change Hands. Media.ge. December 28, 2011 http://www.media.ge/en/content/rustavi2_and_mze_tv (12/12/2012)

299 რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში. http://gyla.ge/geo/news?info=673 (05/12/2012)

300 იქვე

თუ საქართველოში ფულის კვალს გაჰყვებით, მუდმივად წააწყდებით „GMC ჯგუფს“, რომელიც შესაძლოა თავისი მაღალი დონის რესტორნების ქსელით უფროა ცნობილი. კომპანიის ხუთი დამფუძნებლიდან ერთ-ერთი რევაზ შარანგიაა[301] (დანარჩენებმა მოგვიანებით თავიანთი წილები სიმბოლურ ფასად – 6,740 ლარად – მიჰყიდეს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ GMC Holding-ს).[302]

შარანგიების ოჯახი მოგვაგონებს კარინგტონების კლანს 80-იანი წლების ტელესერიალ „დინასტიიდან“. ლორენცო შარანგიამ, რომელიც აფხაზეთიდან, კერძოდ, ოჩამჩირიდანაა, თავისი ქონება დააგროვა რუსეთში, სადაც, არსებული ინფორმაციით, ამჟამად ცხოვრობს. მას ოთხი ვაჟი ჰყავს. რევაზ შარანგია როგორც აქამდე ავღნიშნეთ GMC ჯგუფის დამფუძნებელია, შოთა აჭარის ძალოვან სტრუქტურაში მუშაობდა[303], მერაბი საქართველოში მოქმედი უსადენო კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინის“ მეწილეა[304], ლევანი კი ბიზნესმენია რუსეთში[305].

რიყის ამბავი გვიჩვენებს, რომ პროგრესი დაუნდობელია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ძვირად ღირებულ უძრავ ქონებაზე განთავსებულ ბიზნესს ფლობენ. ამჟამად რიყე თანამედროვე, კეთილმოწყობილი პარკია, სადაც მდებარეობს 12 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების „მშვიდობის ხიდი“, რომელიც იტალიელმა არქიტექტორმა, მიკელე დე ლუკიმ, დააპროექტა და ქალაქის ბიუჯეტიდან

301 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 203ე გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=75574 (12/12/2012)

302 კალაძემ საკუთარი ბიზნესწილი შარანგიების კომპანიას მიყიდა. ელისო ჯანაშია. Tspress.ge. 5 ნოემბერი, 2012 http://tspress.ge/ka/site/articles/13246/ (05/12/2012)

303 თინათინ ხიდაშელმა საკმაოდ საინტერესო მასალები გამოაქვეყნა. Republicans.ge. 7 თებერვალი, 2011 http://www.republicans.ge/index.php?module=News&func=display&sid=2337&lang=ka (05/12/2012)

304 სამარშრუტო ტენდერში გამარჯვებული მონოპოლისტის სქემა. გიორგი ფუტკარაძე. Humanrights.ge. 4 მარტი, 2011 http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=13011&lang=geo (05/12/2012)

305 იქვე

დაფინანსდა. მაგრამ პროგრესი არადისკრიმინაციულია. კეზერაშვილის ფინანსური პოლიციის მიერ საგადასახადო დანაშაულში ეჭვმიტანილი ბიზნესების დევნის პარალელურად, თბილისის მერია დაკავებული იყო მეპატრონეების გამოსახლებით იმ შენობებიდან, რომლებიც აღმშენებლობის გზაზე იდგა.

2006 წლის ზაფხულში პოლიცია თბილისის ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის უკან მდებარე საცხოვრებელი კორპუსიდან 24 მობინადრის გამოსასახლებლად მივიდა მშენებლობისას დაშვებული კანონდარღვევებისა და შენობის ავარიულობის საბაბით.[306] ქალაქში სახიფათო ნაგებობა საკმაოდ ბევრია; არ არსებობს მათი რეკონსტრუქციის მარეგულირებელი არანაირი სტანდარტი და არც შენობების სეისმომედეგობის შეფასება ხდება.[307] მაგრამ ეს სახიფათო კორპუსი სასტუმრო „კემპინსკისთვის“ განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე მდებარეობდა.

გიორგი სეთურიძე, საქართველოში „აბუ დაბი ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც სასტუმროს პროექტზე იყო პასუხისმგებელი, ამტკიცებს, რომ კორპუსი მართლაც შეიცავდა საფრთხეს, რადგან მისი საძირკველი არ ყოფილა გათვლილი დამატებით 5 სართულზე, რომლებიც მას დააშენეს.

„პრობლემა ის კი არ იყო, რომ ისინი გამოასახლეს – შენობა დაინგრეოდა და ისინი კარგ კომპენსაციას მიიღებდნენ“, – ამბობს სეთურიძე. – „პრობლემა ის იყო, თუ როგორ გამოასახლეს ისინი“.[308]

---

306 Property Rights Controversy Dogs Georgia's Privatization Campaign. Paul Rimple. Eurasianet.org. August 21, 2007 http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav082207a.shtml (15/11/2012)

307 Experience of Reconstruction and Rehabilitation of Historical Buildings in the Downtown of Tbilisi. 12th World Conference on Earthquake Engineering http://www.iitk.ac.in/nicee/wcee/article/2375.pdf (15/11/2012)

308 ავტორის ინტერვიუ გიორგი სეთურიძესთან. 11/11/2012

კორპუსის მცხოვრებთა ადვოკატი ამბობს, რომ ბინების მფლობელებს არასოდეს მიუღიათ მოწვევა მათ დავასთან დაკავშირებით სასამართლო მოსმენებზე დასასწრებად[309] და თავიანთი კანონიერი უფლების გამოყენების საშუალებაც არ მისცემიათ, რომ გამოსახლება გაესაჩივრებინათ.

ბედის ირონიით, „კემპინსკის“ პროექტი შეჩერდა, როგორც სეთურიძე ამბობს, „აბუ დაბი ჯგუფის“ ინვესტიციებში მთავრობის ჩარევის მიზეზით. „აბუ დაბი ჯგუფი“ არის არაბთა გაერთიანებული საამიროების კერძო კომპანია, რომლის მფლობელიც აბუ დაბის სამეფო ოჯახის წევრი, შეიხი ნაჰაიან მუბარაქ ალ ნაჰაიანი, გახლავთ.[310] სეთურიძემ და მისმა საკონსალტინგო ჯგუფმა „აბუ დაბი“ საქართველოში 2007 წელს ჩამოიყვანეს. ისინი ტელეკომუნიკაციებში, საბანკო სექტორსა და სასტუმრო „კემპინსკის“ პროექტში ინვესტირებას გეგმავდნენ. იმ პერიოდში „კემპინსკის“ პროექტი ეკუთვნოდა „კაპიტალ ვოსტოკს“, შვეიცარიულ კომპანიას, რომლის მფლობელიც გიორგი მაჭუტაძე იყო. „კაპიტალ ვოსტოკმა“ აღებული ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლო და „კემპინსკიში“ თავისი წილის 80% „აბუ დაბის“ მიჰყიდა. მაჭუტაძეს დარჩა 20%, რომელიც საბოლოოდ 1 მილიონ აშშ დოლარად, ანუ მისი ღირებულების 1/4-ად, დათმო.[311]

სეთურიძე ამტკიცებდა, რომ მთავრობამ მას „კემპინსკის“ პროექტში წამყვანი როლი ძალით ჩამოართვა და პროექტის მართვა საკუთარ თავზე აიღო. ვინმე სემი ედვარდსმა საჯარო რეესტრისგან მიიღო დოკუმენტი, რომელმაც მას „დაბი ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე, „დაბი ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს წერილობითი თანხმობის გარეშე, სეთურიძის ჩანაცვლების საშუალება მისცა.

309 Property Rights Controversy Dogs Georgia's Privatization Campaign. Paul Rimple. Eurasianet.org. August 21, 2007 http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav082207a.shtml (15/11/2012)

310 http://www.pearlinitiative.org/sheikh-nahyan-bin-mubarak-al-nahyan.html (12/12/2012)

311 ავტორის ინტერვიუ გიორგი სეთურიძესთან. 11/11/2012

„მთავრობა ჩაერია და მე უკანონოდ შემცვალეს – აქციონერთა შესაბამისი გადაწყვეტილებაც კი არ ყოფილა... და ახალმა კაცმა მთელი სტრუქტურა გაანადგურა“, – ამბობს სეთურიძე.

საქართველოში სადაც კი ნახავთ მნიშვნელოვან აღმშენებლობას, იქვე გაიგონებთ ამბებს, თუ როგორ აიძულეს ადამიანები, ოფიციალურად ეთქვათ უარი თავიანთ ქონებაზე ან თავადვე გაეფორმებინათ საკუთარი ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქება. ამ ამბების დადასტურება, რა თქმა უნდა, რთულია, რადგან ეს ადამიანები არ მიდიან პრესასთან ან პოლიციაში, რათა მომხდარის შესახებ განაცხადონ, რაც ან იმას ნიშნავს, რომ ათასობით დოლარის ღირებულების ქონების დათმობაში უჩვეულო არაფერია, ან იმას, რომ ეს ხალხი დაშინებულია. მაგალითად, 2011 წლის 13–25 იანვარს კურორტ ბახმაროს მიდამოებში საკუთრებაზე უარის თქმის 79 შემთხვევა დაფიქსირდა.[312] ამ ადამიანთა უმრავლესობამ ერთადერთი ქონება, რომელსაც ისინი ფლობდნენ, სახელმწიფოს გადასცა.

სოსო აქუბარდია აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე შავიზღვისპირა სოფელ ანაკლიაში 47.92 ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელი იყო. 2009 წლის 8 სექტემბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ ანაკლია შავ ზღვაზე ახალი ტურისტული ცენტრი უნდა გამხდარიყო, და მშენებლობების გეგმის შესადგენად ესპანელი არქიტექტორები დაიქირავა. აქუბარდიას მიწის ნაკვეთი, რომელსაც იგი 2007 წლიდან ფლობდა, ერთ-ერთი იყო იმ 150 მიწის ნაკვეთიდან, რომლებიც 2009 წლის 6 დეკემბერს მოულოდნელად სახელმწიფო საკუთრებაში აღმოჩნდა. ფაქტობრივად ყველაფერი ასე მოხდა: ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მიწის

312 საკუთრების დაუცველი უფლება საქართველოში. მესამე ანგარიში. გვ. 8. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაცია, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“. http://goo.gl/fRceQ (05/12/2012)

საკუთრებაში რეგისტრაცია მოითხოვა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ, საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურმა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილეს. აქუბარდიას შემთხვევაში საჯარო რეესტრში მას კუთვნილი მიწის ფართობი შეუცვალეს და 1.5 ჰა მიწა დაუტოვეს. მან თავისი საკუთრების უფლების აღდგენა მოითხოვა, მაგრამ სასამართლომ ის არ დააკმაყოფილა. კერძო მესაკუთრის მიწა უკვე შპს „ანაკლია-პორტის“ საკუთრება იყო.[313]

2009 წლის 20 ოქტომბერს „ანაკლია-პორტმა“ მიიღო რეგიონული სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის კონტრაქტი, რომელიც პორტის, სატვირთო აეროპორტის, სარკინიგზო და საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობებს და ახალი დასახლების ელეტროენერგიითა და საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სამუშაოებს მოიცავდა. „ანაკლია-პორტს“ ამ ობიექტებში 2013 წლამდე 5 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა ჩაედო. სანაცვლოდ მან 6,340,445 ლარად (3,830.656 აშშ დოლარი) მიიღო 2,113 ჰა მიწა, ანუ 298 კერძო მიწის ნაკვეთი.[314]

2010 წლის 10 ივნისს თემურ ქარჩავამ „ანაკლია-პორტი“ და მისი მრავალმილიონიანი ქონება 2000 ლარად (1,210 აშშ დოლარი) მიჰყიდა ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე რეგისტრირებულ Olimp Management-ს. 27 სექტემბერს Olimp-ის ერთადერთმა დირექტორმა, რია კლაინმა, ქარჩავა შპს „ანაკლია-პორტის“ დირექტორად და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა.[315]

2012 წლის ზაფხულში მთავრობამ ამ ქონების კონფისკაცია მოახდინა იმ მიზეზით, რომ კომპანია მშენებლობისთვის დათქმულ ვადებში ვერ ეტეოდა. ქარჩავა ამტკიცებს, რომ მთავრობამ შეთანხმება მას შემდეგ გააუქმა, რაც სააკაშვილმა ანაკლიის სამხრეთით ფანტასტიკური დასახლების, ლაზიკის, მშენებლობის საკუთარი გეგმის შესახებ გამოაცხადა, რომელიც დასავლეთ საქართველოს

313 იქვე, გვ. 13

314 იქვე, გვ. 11

315 იქვე, გვ. 13

ეკონომიკური ცენტრი და ქვეყანაში სიდიდით მეორე ქალაქი უნდა გამხდარიყო. ქარჩავას თქმით, ეკონომიკის სამინისტრომ მათ წინასწარი გაფრთხილების გარეშე ჩამოართვა ქონება და დაახლოებით 100 მილიონი აშშ დოლარის ჯარიმის მოთხოვნით სასამართლოშიც უჩივლა.[316]

კანონის თანახმად, უძრავ ქონებაზე თქვენი საკუთრების უფლების რეგისტრაციისას შეგიძლიათ წარადგინოთ საკადასტრო აზომვითი ნახაზის როგორც ქაღალდის (მყარი) ან ელექტრონული ვერსია. თუმცა საჯარო რეესტრს ტექნიკურად არ აქვს იმის საშუალება, რომ ერთმანეთს შეადაროს ახლად წარდგენილი ელექტრონული ვერსია და რეესტრში უკვე დაცული, ქაღალდზე შესრულებული ნახაზები. 2010 წლის თებერვლიდან სახელმწიფო უძრავ ქონებაზე თავისი საკუთრების უფლებას ელექტრონული ვერსიით არეგისტრირებს მაშინაც კი, თუ ეს ქონება კერძო მფლობელის მიერ უკვე დარეგისტრირებული იყო ქაღალდის ვერსიით; ასე რომ, შეიძლება ერთ დღეს გაიღვიძოთ და აღმოაჩინოთ, რომ თქვენი ქონება სხვის სახელზეა რეგისტრირებული და ეს სხვა სახელმწიფოა.[317]

2011 წლის 8 აგვისტოს მარინა მექვაბიშვილმა ლანჩხუთის საჯარო რეესტრიდან თავისი მიწის ელექტრონული საკადასტრო ნახაზი გამოითხოვა, რათა მისი საზღვრები დაეზუსტებინა, რადგან გაიგო, რომ სახელმწიფო კერძო ქონებას თავის საკუთრებად არეგისტრირებდა. მექვაბიშვილი შავი ზღვის სანაპიროზე, სოფელ გრიგოლეთში ფლობდა 1500 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთს, რომელიც 2004 წელს საკადასტრო ნახაზის ქაღალდის ვერსიით იყო დარეგისტრირებული. 12

316 „ანაკლია-პორტი“ – საუკუნის პროექტი. ბესიკ ფიფია. Geworld.ge. 7 ნოემბერი, 2012 http://goo.gl/M4Kxa (15/11/2012)

317 საკუთრების დაუცველი უფლება საქართველოში. მესამე ანგარიში. გვ. 11. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაცია, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“. http://goo.gl/fRceQ (05/12/2012)

აგვისტოს საჯარო რეესტრმა მექვაბიშვილს აცნობა, რომ მისი საკუთრება სინამდვილეში სახელმწიფო მიწა იყო. მექვაბიშვილის უძრავი ქონება იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც 6-ნავმისადგომიანი პორტი უნდა აეშენებინა Black Sea Products-ს, კომპანიას, რომელმაც სახელმწიფოსგან აუქციონის გარეშე მიიღო 35,000 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი.[318]

Black Sea Products-ის დამფუძნებლები არიან ხვიჩა მაქაცარია და ნოდარ გიგინეიშვილი, რომელიც იმავდროულად „კაპიტალ გრუპის" მფლობელია, იმ კომპანიისა, რომელმაც 3 სხვა კომპანიასთან ერთად თბილისის საქალაქო მიკროავტობუსებზე გამოცხადებული ტენდერი მოიგო. ეს კომპანიები საჯარო რეესტრში 100-100ლარიანი საწესდებო კაპიტალით არიან დარეგისტრირებული 55წუთიანი ინტერვალებით.[319]

გარდა ამისა, ამ კომპანიების იურიდიული მისამართები ემთხვევა „ჯიემსი ჯგუფის" მფლობელობაში არსებული რესტორნების მისამართებს, რომელიც ძმებ შარანგიებს ეკუთვნით. მათი მამა უკვე ვახსენე რიყის განაშენიანების საქმესთან დაკავშირებით. მაქაცარია რუსული ნავთობკომპანიის, Gain Oil-ის, პარტნიორიცაა, ნავთობის ბიზნესისა, რომლის მფლობელები ძმები შარანგიები არიან[320], ანუ იგივე პირები, რომლებიც „ახალი რიყის" საქმეში იყვნენ გარეული (გვ. 125). Black Sea Products-ის იურიდიული მისამართი იგივეა, რაც „ჯიემსი ჯგუფისა" (სანაპიროს ქ. 3, თბილისი, საქართველო).[321] 2010 წელს Black Sea Products 100 ლარად იყიდა MT Black Sea Holding-მა. ეს კომპანია კვიპროსზეა რეგისტრირებული. საქართველოში

318 იქვე, გვ. 14

319 სამარშრუტო ტენდერში გამარჯვებული მონოპოლისტის სქემა. გიორგი ფუტკარაძე. Humanrights.ge. 4 მარტი, 2011 http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=13011&lang=geo (15/11/2012)

320 იქვე

321 იქვე

მის წარმომადგენელთა შორის ხვიჩა მაქაცარია და ნოდარ გიგინეიშვილი არიან.[322]

ერთი ადგილი, სადაც „ჯიემსი ჯგუფის“ კვალს ჯერჯერობით ვერ იპოვით, დასავლეთ საქართველოში, იმერეთის ტყიან ფერდობებში ჩამჯდარი ბალნეოლოგიური კურორტი საირმეა. მეორე მსოფლიო ომის გერმანელი და რუმინელი ტყვეების მიერ აშენებული საირმე დაინგრა, როგორც საბჭოთა კავშირის დარჩენილი ნაწილი, და ყველასგან დავიწყებული იყო, სანამ საქართველოს მთავრობამ საკურორტო ზონის გამოცოცხლება არ გადაწყვიტა. მხოლოდ ერთი პატარა პრობლემა არსებობდა – ქონება, რომლის აღმშენებლობაც იგეგმებოდა, კერძო საკუთრება იყო.

2010 წლის 13–23 დეკემბერს გეოგრაფიულად ერთსა და იმავე ადგილას მცხოვრებმა ოცმა ადამიანმა საკუთარი ქონება საჩუქრის სახით გადასცა სახელმწიფოს, ორ შემთხვევაში კი ქონება მესაკუთრეებმა მიატოვეს. უმრავლეს შემთხვევაში ეს მიწის ერთადერთი ნაკვეთი იყო, რომელსაც ისინი ფლობდნენ. ამ ადამიანებს მისი გაყიდვა სურდათ და შეეძლოთ მნიშვნელოვანი შემოსავალი მიეღოთ, რადგან საირმე ტურისტულ ზონაშია, მაგრამ მისი დათმობა არჩიეს.[323]

შპს „კურორტი საირმე“ იყო სახელმწიფო კომპანია, რომელიც მათ ქონებას დაეპატრონა. 2011 წლის 18 სექტემბერს იგი გადაეცა შპს „საირმის განვითარების კომპანიას“[324], რომელიც მთლიანად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გასული ყოფილი პარლამენტის წევრის, თემურ კოხოძის, საკუთრება იყო. კოხოძე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და დარგობრივი

322 საკუთრების დაუცველი უფლება საქართველოში. მესამე ანგარიში. გვ. 14. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაცია, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“. http://goo.gl/fRceQ (05/12/2012)

323 იქვე, გვ. 7

324 იქვე

ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი იყო.[325] იგი ამტკიცებს, რომ მთლიანობაში დასასვენებელი კურორტის შესყიდვაში 60.000 ლარი გადაიხადა.[326] გადაცემა ტენდერის გარეშე მოხდა. სანაცვლოდ მან მთლიან კომპლექსში, მეტეოროლოგიურ სადგურში, სპაცენტრსა და ერთი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობაში 10,000,000 ლარის ინვესტირების ვალდებულება აიღო.[327]

სანამ 2008 წელს პარლამენტის წევრი გახდებოდა, კოხოძემ ავტონაწილებისა და ავტოსერვისის იმპერია, „თეგეტა მოტორსი", შექმნა[328]. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა პარლამენტის წევრს ნებისმიერ ხელმძღვანელ, საზედამხედველო, მაკონტროლებელ, სარევიზიო ან საკონსულტაციო ბიზნესთანამდებობაზე ყოფნას და ყველა სახის კომერციული საქმიანობიდან შემოსავლის მიღებას უკრძალავს, კოხოძემ დატოვა „თეგეტას" გენერალური დირექტორის თანამდებობა და პარლამენტის წევრი გახდა. თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ ამბობს, რომ პარლამენტის წევრს ბიზნესებში თავისი წილებიდან შემოსავლის მიღების უფლება არ აქვს.

როგორც პარლამენტის წევრს, კოხოძეს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. „თეგეტა მოტორსში" აქციებმა 2012 წელს მას 555,449.75 ლარი მოუტანა. იგი „ტრანსკავკასიური

325 კურორტი „საირმე" 1 ლარად პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" წევრს, თემურ კოხოძეს „აჩუქეს"! For.ge. 28 თებერვალი, 2011 http://www.for.ge/view.php?for_id=3544&f_cat=9&a_title=%60kurorti (12/12/2012)

326 კვირის რეპორტაჟი. სტუდია GNS. 27 თებერვალი, 2011 http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=lyorc2kGISI (13/12/2012)

327 კურორტი „საირმე" 1 ლარად პარლამენტის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" წევრს, თემურ კოხოძეს „აჩუქეს"! For.ge. 28 თებერვალი, 2011 http://www.for.ge/view.php?for_id=3544&f_cat=9&a_title=%60kurorti (12/12/2012)

328 საირმე „ნაციონალი" პარლამენტარის საკუთრებაში. მაია მეცხვარიშვილი. Netgazeti.ge. 25 თებერვალი, 2011 http://netgazeti.ge/GE/47/News/4706/ (15/11/2012)

სადისტრიბუციო კომპანიისა“ და მისი შვილობილი კომპანიების პარტნიორიც იყო. 2011 წლის 17 მაისს კოხოძემ საგადასახადო დეკლარაციაში 1,600,000 მილიონი ლარი ნაღდი ფულის ქონა დააფიქსირა, თუმცა ერთი წლით ადრე მხოლოდ 7,000 ლარი ჰქონდა ნაჩვენები. მისი კომპანიებიდან არანაირი მოგების მიღება არ იყო დეკლარირებული. 2011 წელს კი მან 1,140,987 ლარის შემოსავლის მიღების დეკლარირება მოახდინა.[329]

კოხოძე უარყოფს, რომ საირმეში რაიმე კანონდარღვევა მოხდა. 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კერძო მფლობელებმა განაცხადეს, რომ ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქება მათ ქუთაისის პროკურატურაში ზეწოლის შედეგად აიძულეს. ამ საქმეზე უკვე დაწყებულია გამოძიება.[330]

ამასობაში თბილისში ჩემმა ძველმა უბანმა, „პლეხანოვმა“, სრული რეკონსტრუქცია განიცადა. მაღლა აზიდული ევკალიპტები, რომლებიც მთელი აღმაშენებლის გამზირის გასწვრივ ჩრდილებს ფენდნენ, მიწიდან ამოთხარეს და უფრო წვრილი მცენარეებით ჩაანაცვლეს. დანგრევის პირას მყოფი მე-19 საუკუნის შენობების ქუჩის ფასადები განაახლეს და „რბილ ფერებში“ შეღებეს, ისე, რომ ყველა ერთმანეთის მსგავსია. დაიგო ახალი ტროტუარები. პრეზიდენტმა სააკაშვილმა თქვა, რომ ქუჩა „პარიზს“ ჰგავს. რეკონსტრუქცია მასობრივი იყო, მაგრამ თუ გვერდით ქუჩებზე ან ამ ახალგარემონტებული შენობების ეზოებში შეიხედავთ, ნახავთ, რომ თბილისის „ძველი სული“ ბოლომდე არ გამქრალა.

პროექტი დაიწყო 2010 წელს, როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა და თბილისის მერმა გიგი უგულავამ აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის გეგმის შესახებ

329 თემურ კოხოძის 2011 წლის ქონებრივი დეკლარაცია. საჯარო სამსახურის ბიურო. http://www.declaration.ge/csb/report/report.seam?id=4614 (15/11/2012)

330 პროკურატურის მიერ მუქარით ჩამორთმეული ქონება საირმეში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 31 ოქტომბერი, 2012 http://transparency.ge/blog/prokuraturis-mier-mukarit-chamortmeuli-koneba-sairmeshi (13/12/2012)

გამოაცხადეს. ამ სამუშაოებზე არანაირი ტენდერი არ ჩატარებულა.[331] მერმა უგულავამ და თბილისის განვითარების ფონდის დირექტორმა გიორგი საბანაძემ განაცხადეს, რომ ამის საჭიროება არც ყოფილა, რადგან სამუშაოსთვის აუცილებელი თანხები არაკომერციულმა ორგანიზაციებმა – ძველი ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ფონდმა და თბილისის განვითარების ფონდმა – გაიღეს და ამის გამო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის გამოყენებაც არ იყო საჭირო.[332]

„ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ აღმასრულებელი დირექტორი, ადვოკატი ლია მუხაშავრია, აცხადებს, რომ ეს აბსურდია, რადგანაც, იმის მიუხედავად, თუ რა ოფიციალური სტატუსი აქვს ფონდს, თუკი თავისი საქმიანობისას იგი სახელმწიფო სახსრებს იყენებს, აუცილებლად უნდა ამოქმედდეს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. „სახსრების წარმომავლობაა მნიშვნელოვანი და ის, თუ ვინ იყენებს მათ, მით უმეტეს, თუ ისინი (ფონდები) თბილისის მერიის მიერაა დაფუძნებული“, – ამბობს იგი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) იურისტმა სულხან სალაძემ გამოიანგარიშა, რომ ეს ფონდები თბილისის წლიური ბიუჯეტის დაახლოებით 15–20%-ს მოიხმარდნენ.[333]

თბილისის მერიის რამდენიმე მაღალჩინოსანი ამ ფონდების მმართველი საბჭოების წევრი იყო, მათ შორის, ყოფილი ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი, ქართული კულტურული მემკვიდრეობის ფონდის თავმჯდომარე და ვიცე-მერი დავით ნინიძე, ძველი თბილისის გამგებელი დავით ავალიანი და მისი მოადგილე გიორგი საბანაძე, რომელიც თბილისის განვითარების ფონდს ხელმძღვანელობდა.[334]

---

331 გაუმჭვირვალე რეაბილიტაცია. სტუდია „მონიტორის“ რეპორტაჟი. http://www.youtube.com/watch?v=YNzxVWoL0Jw (15/11/2012)

332 იქვე

333 იქვე

334 იქვე

იმ პერიოდში, როდესაც ამ ფონდების სამართლებრივ სტატუსზე სასამართლო დავა მიმდინარეობდა, ქალაქი აგრძელებდა ქონების გადაცემას თბილისის განვითარების ფონდისთვის (ძველი ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ფონდი ლიკვიდირებულ იქნა), რომელიც ამ ქონების სხვადასხვა ფასად გაყიდვით იყო დაკავებული. თბილისის მერიამ თბილისის განვითარების ფონდს საჩუქრის სახით 2011 წლის 19 აპრილს უძრავი ქონების 57 ერთეული გადასცა, მათ შორის ასევე აღმაშენებლის 150-ში მდებარე ისტორიული შენობა.[335] ერთი თვის შემდეგ ფონდმა ამ შენობიდან 200 კვ. მეტრი 200,000 აშშ დოლარად მიჰყიდა „რეალ ინვესტს“, რომლის დამფუძნებელიც ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული Oldington Invest Corp გახლავთ[336]. Oldington Invest Corp-ის წარმომადგენელია გიორგი ღონიაშვილი, რომლის ცოლისდა, ლელა კილაძე, მერის, გიგი უგულავას, მეუღლეა.[337]

2011 წლის 8 აგვისტო ამ უბნისთვის დაძაბული დღე იყო. ქალაქმა აღმაშენებლის 103-ში მდებარე 2457 კვ. მეტრი ასევე ფონდს გადასცა. აქედან 523 კვ. მეტრი მან 832,000 აშშ დოლარად მიჰყიდა Wetzel Plaza-ს[338], რომლის დამფუძნებლებიც „რეალ ინვესტი“ და უკრაინული „პრივატბანკი“[339] არიან. ამ ადგილიდან რამდენიმე კვარტალის მოშორებით, აღმაშენებელზე მდებარე 444 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი ფონდმა იმავე დღეს მიჰყიდა „ბალავარი ჯგუფს“. რეაბილიტაციამდე აქ დასასვენებელი პარკი იყო. „ბალავარი ჯგუფი“ დააფუძნა გიორგი თავდიაშვილმა,

335 იქვე

336 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მე10 გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=82255 (05/12/2012)

337 გაუმჭვირვალე რეაბილიტაცია. სტუდია „მონიტორის“ რეპორტაჟი. http://www.youtube.com/watch?v=YNzxVWoL0Jw (15/11/2012)

338 იქვე

339 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 05/07/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=283225&app_id=313186 (15/11/2012)

რომელიც „ჯითი ჯგუფის“ თანადამფუძნებელიცაა[340], ჰოლდინგური კომპანიისა, რომელიც ავტომობილების, ავტონაწილების, კვების პროდუქტების, სამშენებლო მასალების, სასოფლო-სამეურნეო მანქანადანადგარების იმპორტითა და გაყიდვით, ვერტმფრენით მომსახურების სერვისითაა დაკავებული.

ჟურნალისტებმა, რომლებიც ამ საქმის გამოძიებაზე მუშაობდნენ, თბილისის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე აღმოაჩინეს ერთი ჩანაწერი, რომელიც, როგორც ჩანს, არ უნდა გამოქვეყნებულიყო, რადგან მასში ეწერა: „ნინიძემ განაცხადა, რომ ეს (მიწის ნაკვეთი) უნდა დარეგისტრირდეს ვინმე ადგილობრივ მცხოვრებზე, შემდეგ კი მისით დაინტერესდებიან ავტოსადგომის მოსაწყობად ან მშენებლობისთვის – არა გასაყიდად“.[341] ჟურნალისტებმა ვერ დაადგინეს, ვისთვის იყო ეს ჩანაწერი განკუთვნილი. ვიცე-მერმა ნინიძემ, რომელიც იმავდროულად ფონდის მმართველი საბჭოს წევრი იყო, ხელი მოაწერა მერიის განკარგულებას ფონდისთვის 444 კვ. მეტრი უძრავი ქონების გადაცემის შესახებ.

8 აგვისტოს ფონდმა შპს „ბალავარს“ 536,450 ლარად მიჰყიდა ჩახრუხაძის ქუჩაზე მდებარე 78 კვ. მეტრი მიწა. 27 დეკემბერს „ბალავარი ჯგუფმა“ აღმაშენებლის 140-ის მიმდებარე კიდევ 136 კვ. მეტრი მიწა ფონდისგან 66,565 ლარად შეიძინა.[342]

აღმაშენებლის რეაბილიტაციის ნაწილი იყო ძველი ნაგებობების დანგრევა ახალი მშენებლობებისთვის ადგილის გასათავისუფლებლად. 2011 წლის 13 აპრილს ნინო ბერიშვილმა ერთ-ერთი ასეთი მიწის ნაკვეთი 30,000 ლარად იყიდა, ანუ 1 კვ. მეტრი 330 ლარად, რაც

340 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. გვ.1 26/06/2008 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=32805 (15/11/2012)

341 გაუმჭვირვალე რეაბილიტაცია. სტუდია „მონიტორის“ რეპორტაჟი. http://www.youtube.com/watch?v=YNzxVWoL0Jwn (15/11/2012)

342 იქვე

ამ გარიგებას საეჭვოს ხდის, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №1-5 გადაწყვეტილებით აღმაშენებლის გამზირზე მიწის გასაყიდ ფასად 1 კვ. მეტრზე 1998 ლარია დაწესებული.[343]

2012 წლის არჩევნებიდან მცირე ხნის შემდეგ თბილისის მერიამ გადაწყვიტა, გაეუქმებინა თბილისის განვითარების ფონდი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა –საქართველომ“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს თბილისის მერიას, რომ ეს პროცესი გამჭვირვალედ წარემართა და საჯარო გაეხადა ინფორმაცია ფონდის აქტივებისა და პასივების შესახებ.[344]

343 იქვე

344 „თბილისის განვითარების ფონდის“ ლიკვიდაცია გამჭვირვალედ უნდა მოხდეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 17 ოქტომბერი, 2012 http://transparency.ge/post/general-announcement/tbilisis-ganvitarebis-pondis-likvidatsia (13/12/2012)

ბრძოლა სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად

საბჭოთა პერიოდში საქართველოში სხვადასხვა წიაღისეული მოიპოვებოდა, მათ შორის, სპილენძი, ქვანახშირი და მაღალი ხარისხის მარგანეცის მადანი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში წიაღისეულის მოპოვება შეწყდა. დღეს აქ სამი ძირითადი მომპოვებელი საწარმოა: მარგანეცის მომპოვებელი „ჭიათურმანგანუმი“, ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი „მადნეული“ და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები. 2004 წელს მიხეილ სააკაშვილის რეფორმატორულმა მთავრობამ წამოიწყო სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ახალი ტალღა, რომელიც, როგორც ითქვა, წინა ადმინისტრაციის დროს გამოცხადებულთან შედარებით „მაქსიმალურად მიუკერძოებელი და გამჭვირვალე“ უნდა ყოფილიყო. ამის მიუხედავად, სამთომომპოვებელ სექტორში ეს „მაქსიმალური“ არ ყოფილა.

ჭიათურიდან მარგანეცის გატანა 1879 წელს დაიწყეს. მსოფლიოში ამ ლითონზე მოთხოვნილების ზრდა სასარგებლო იყო ადგილობრივი მწარმოებლებისთვის, რომლებიც წარმოების პირველ წლებში წარმატებით იგერიებდნენ უცხოურ კომპანიებს. მაგრამ საუკუნეების მიჯნაზე ჭიათურის მაღაროებში უკვე ფრანგული, ბრიტანული და გერმანული კომპანიები დომინირებდნენ. პირველ მსოფლიო ომამდე სამუშაოები გერმანელების კონტროლით ხორციელდებოდა, ომის დაწყების შემდეგ კი ჭიათურაში გერმანული ფირმები აკრძალეს. საბჭოელების მოსვლის შემდეგ ჭიათურა საბჭოთა კავშირის მეტალურგიის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.[345] მისი მარაგები დღესაც კი ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში.

---

345 სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ ანგარიში, გვ. 29 http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Privatizeba-Geo7.pdf (04/12/2012)

1993 წელს საქართველოს მთავრობამ პრივატიზაციისთვის სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმი“ შექმნა, თუმცა ათწლეულის განმავლობაში კომპანიის წარმატებით გაყიდვის ცდები ჩავარდა. 2004 წლის დეკემბერში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმისა“ და ჰიდროელექტროსადგურის – შპს „ვარციხეჰესის კასკადის“ გაყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა. მას ხუთი კომპანია გამოეხმაურა: „ინტერპაიპი“ (უკრაინა), „მორავია-ჯორჯია“ (ჩეხეთის რესპუბლიკა), „ყაზ-ქრომი“ (ყაზახეთი), „ევრაზჰოლდინგი“ (რუსეთი) და „დეკომეტალი“ (ავსტრია, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი). განაცხადების მიღების ბოლო ვადა 2005 წლის 10 იანვარი იყო.[346]

24 დეკემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ყაზახების შემოთავაზება შეუსაბამო იყო, ხოლო 11 იანვარს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ჩეხებისა და ყაზახების წინადადებები უარყოფილ იქნა და რჩებოდა სამი მონაწილე, რომლებსაც ინდივიდუალურ მოლაპარაკებებზე იწვევდნენ. ჟვანიას თქმით, „ავსტრიულმა კომპანიამ თავისი განზრახულობების დასადასტურებლად 10 მლნ აშშ დოლარის წინასწარ დეპონირებაც მოახდინა“. მოლაპარაკებების საბოლოო ვადად 18 იანვარი განისაზღვრა.[347]

ამ სამ კომპანიას თავდაპირველად დამოუკიდებლად ჰქონდა წარდგენილი განაცხადები, მაგრამ „ევრაზჰოლდინგმა“ და „დიემსი ფერომ“ გადაწყვიტეს, ხელახლა შეეტანათ ერთობლივი განაცხადი. საბოლოოდ ტენდერი სწორედ მათ მოიგეს 132 მილიონ აშშ დოლარად. „ევრაზჰოლდინგმა“ გაიმარჯვა იმის მიუხედავად, რომ, როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი

346 იქვე, გვ. 23

347 იქვე

ალექსიშვილმა განაცხადა, უკრაინულ „ინტერპაიპ კორპს“ „უკეთესი“ წინადადება ჰქონდა. „ინტერპაიპი“ „ჭიათურმანგანუმსა“ და „ვარციხეში“ 117 მილიონ აშშ დოლარს იხდიდა და 3 წლის განმავლობაში მათში 60 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირების ვალდებულებას იღებდა. „ინტერპაიპის“ მფლობელი იყო ვიქტორ პინჩუკი, უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას, სიძე.[348]

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების, მათ შორის, ყოფილი ეკონომიკის მინისტრისა და იმ დროისთვის ეკონომიკური რეფორმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, კახა ბენდუქიძის, განცხადებით, „ინტერპაიპს“ უარი იმის გამო ეთქვა, რომ უკრაინული კომპანია დამატებით „დიემსი ფეროს“ კუთვნილი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მათი კონტროლის ქვეშ გადაცემას ითხოვდა. ბენდუქიძის მხრიდან „ბანდიტიზმში“ დადანაშაულების საპასუხოდ, „ინტერპაიპმა“ განაცხადა, რომ საქართველოს პრივატიზაციის კამპანია იყო „გაურკვეველი პროცესი წესების გარეშე“.[349]

„18 იანვრის 22.00 საათამდე ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ლიდერობდა „ინტერპაიპი“ და რუსული კომპანია „ევრაზჰოლდინგი“, ნახევარ საათში კი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასგან ცნობილი გახდა ახალი განაცხადების შეტანის თაობაზე, რის შემდეგაც ჩვენ უარი ვთქვით ასეთ საპრივატიზაციო პროცესში მონაწილეობაზე. ... ჩვენ, სხვა კომპანიებისაგან განსხვავებით, რომლებმაც საპრივატიზაციო განაცხადებში მხოლოდ თანხის ოდენობა მიუთითეს, წარმოვადგინეთ დეტალურად გაწერილი გეგმა. „ჭიათურმანგანუმში“ ჩვენ 117 მლნ დოლარს ვიხდიდით, ასევე გვსურდა 20 მლნ დოლარად ფეროშენადნობი ქარხნის შესყიდვაც, რაზეც უარი გვითხრეს“, – თქვა

348 „ინტერპაიპი“ არასწორად წარმართულ პრივატიზაციაზე საუბრობს. Civil.ge. 19 იანვარი, 2005 http://www.civil.ge/geo/article.php?id=8636 (25/12/2012)

349 Georgia Votes in New Government. John Mackedon. Eurasianet.org. February 16, 2005 http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav021705.shtml (04/12/2012)

„ინტერპაიპის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, იგორ იაროსლავცევმა.[350]

პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ყოფილმა ლიდერმა, დავით გამყრელიძემ, ბენდუქიძე, რომელმაც სიმდიდრე რუსეთში დააგროვა, „ამ ქონების თავისი მეგობრებისა და ნაცნობებისთვის დაჩქარებულად, უკანონოდ და გაუმჭვირვალედ გადაცემაში“ დაადანაშაულა.[351]

2005 წლის ივნისში, პირველი გადახდის ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე, „ევრაზჰოლდინგმა“ გააუქმა შეთანხმება, რითაც 18 მილიონი აშშ დოლარის ზარალი განიცადა. ოფიციალური ვერსიით, კომპანიის მიერ კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ მან საწარმოების მდგომარეობა შეისწავლა, დაასკვნა, რომ ისინი მისთვის წამგებიანი იქნებოდა, და გააუქმა შეთანხმება. მეორე ვერსიით, „ევრაზჰოლდინგმა“ გარკვეული გარანტიები მიიღო პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასგან, მაგრამ 2005 წლის თებერვალში მისი გარდაცვალების შემდეგ მთავრობამ უარი თქვა, ხელახლა დაედასტურებინა ეს გარანტიები. იყო კიდევ ერთი ვერსია – რომ „ევრაზჰოლდინგს“ „ჭიათურმანგანუმის“ ვალების დაფარვა მოსთხოვეს, რაც თავდაპირველი შეთანხმებით არ იყო გათვალისწინებული.[352]

იმ დროს, როდესაც „ინტერპაიპი“ და „ევრაზჰოლდინგი“ ერთმანეთს ტენდერის მოგებაში ეცილებოდნენ, 2005 წლის 6 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ – „ჭიათურმანგანუმის“ მთავარმა კრედიტორმა

350 სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ ანგარიში, გვ. 23 http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Privatizeba-Geo7.pdf (04/12/2012)

351 Georgia Votes in New Government. John Mackedon. Eurasia.net. February 16, 2005 http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav021705.shtml (04/12/2012)

352 სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ ანგარიში, გვ. 24 http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Privatizeba-Geo7.pdf (04/12/2012)

– კომპანია გაკოტრებულად გამოაცხადა, რითაც „ჭიათურმანგანუმის“ მიერ საკუთარი ქონების განკარგვა იურიდიულად შეუძლებელი გახდა. მის კრედიტორებს ეთხოვათ, საწარმოსადმი არსებული მოთხოვნებით სასამართლოსთვის მიემართათ, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო კრედიტორთა უმრავლესობა დღემდე არც ერთხელ არ მისულა სასამართლოში, რაც არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“, რომელიც პრივატიზაციის პროცესის მონიტორინგს ახორციელებდა, აფიქრებინებს, რომ კრედიტორებისთვის ამის შესახებ ჯეროვნად არასოდეს უცნობებიათ.[353] ამ ადამიანთაგან ზოგიერთმა სახელმწიფო კანცელარიასთან შიმშილობა გამოაცხადა; ისინი მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ითხოვდნენ. იმავე პერიოდში პრეზიდენტმა „ჭიათურმანგანუმს“ ორი სესხი გამოუყო: ერთი 2005 წლის 29 დეკემბერს, ერთი კვირით ადრე, სანამ ფინანსთა სამინისტრო მისი გაკოტრებულად გამოცხადების მოთხოვნით გამოვიდოდა. ეს იყო 938 000 ლარი (556 200 აშშ დოლარი) 6 თვით და წლიურ 0.5%-ად, რომელიც პრეზიდენტმა დამატებით 4 თვით გაახანგრძლივა. შემდეგ, 2006 წლის 15 თებერვალს უკვე გაკოტრებულმა სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმმა“ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიიღო 2.5 მილიონი ლარი (1,4824 მილიონი აშშ დოლარი) წლიურ 6.2%-ად.[354]

„ევრაზჰოლდინგის“ 2005 წლის ფიასკოს შემდეგ მთავრობამ გადაწყვიტა, „ვარციხეჰესის კასკადი“ პირდაპირი მიყიდვის წესით მიეყიდა მსოფლიოს უმსხვილესი ლითონით მოვაჭრე დამოუკიდებელი კომპანია „სტემკორისთვის“. გარდა ამისა, „სტემკორმა“ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციების 96.3% შეიძინა.[355] საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ჭიათურის ბუნებრივი

353 იქვე, გვ. 33

354 იქვე

355 იქვე, გვ. 34

რესურსებისა და მარგანეცის საბადოების გამოყენებაზე, ასევე კომპანიის ქონებაზე აუქციონი გამოაცხადა. აუქციონის ერთადერთმა მონაწილემ, Georgian Manganese Holding Limited-მა („სტემკორის“ შვილობილი კომპანია), 2006 წლის 11 ნოემბერს 5.5 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა ლიცენზიაში და 14,015 მილიონი აშშ დოლარი – სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმში“.[356]

„მადნეული“

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ვებგვერდზე ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი სააქციო საზოგადოება „მადნეული“ წარმატების მაგალითადაა მოყვანილი – იმისა, თუ რატომ უნდა განახორციელონ ბიზნესმენებმა საქართველოში ინვესტირება. მაგრამ მათ რომ რეალური ამბავი იცოდნენ, შესაძლოა სხვაგვარად იფიქრონ.

იმ პერიოდში, როდესაც „მადნეულის“ სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმო სახელმწიფო სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა, 1994 წელს, კობა ნაყოფია, ლითონგადამამუშავებელი სფეროს წვრილი ბიზნესმენი, რუსეთის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს, სერგეი გენერალოვს, დაუკავშირდა. 2000-2001 წლებში ნაყოფია გენერალოვის „პრომიშლენნიე ინვესტორის“ ვიცე-პრეზიდენტი იყო. 2004 წელს მას მოსკოვში დაურეკა კახა ბენდუქიძემ, რომელიც მაშინ ეკონომიკის მინისტრი გახლდათ. ჟურნალ „ლიბერალთან“ ინტერვიუში ნაყოფია ამბობს, რომ ბენდუქიძემ იგი საქართველოში მიიწვია და „ჭიათურმანგანუმის“ ან „მადნეულის“ დირექტორობა შესთავაზა.[357]

ნაყოფია „მადნეულის“ დირექტორი 2004 წლის ოქტომბერში, მის პრივატიზაციამდე ერთი წლით ადრე, გახდა. 21 კომპანიიდან, რომლებიც თავდაპირველად

356 იქვე

357 მადნეული – იაფი საგანძური. ცირა გვასალია. Liberali.ge. 22 ნოემბერი, 2012 http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/113284/ (04/12/2012)

დაინტერესდნენ ამ ტენდერით, ბრძოლას ბოლოს მხოლოდ 2 აგრძელებდა – Stanton Equities Corporation, რომლის მფლობელიც გენერალოვი იყო, და ბადრი პატარკაციშვილის Energy & Investor Complex (EIC).[358] 2005 წელს Stanton-მა გაიმარჯვა 32.5 მილიონი აშშ დოლარის წინადადებით, თუმცა ეს EIC-ის მიერ შეთავაზებულ ფასზე 900,000 აშშ დოლარით ნაკლები იყო. Stanton-მა განაცხადა, რომ იგი დამატებით დათანხმდა „მადნეულის“ 16 მილიონი აშშ დოლარის დავალიანების დაფარვას, რაც კონტრაქტით არ იყო გათვალისწინებული; თუმცა, როგორც წესი, მყიდველი შეძენასთან ერთად კომპანიის ვალებსაც იღებს. ტენდერის საეჭვო გარემოებები არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“, რომელიც პროცესის მონიტორინგს ახორციელებდა, იმის ვარაუდის საფუძველს აძლევს, რომ შესაძლებელია სამინისტრომ შეცვალა ტენდერის პირობები მას შემდეგ, რაც საკონკურსო შეთავაზებების შინაარსი გახდა ცნობილი.[359]

2007 წელს გენერალოვი წავიდა „მადნეულიდან“. იგი შეცვალა სიმონ პოლარიოვკინმა, რომელიც ასევე „პრომიშლენნიე ინვესტორის“ დირექტორი იყო. ნაყოფიამ დატოვა დირექტორის თანამდებობა, როდესაც 2008 წელს პარლამენტის წევრი გახდა, მაგრამ ისევ ინარჩუნებდა წილს კომპანიაში. მან ჰოლივუდის კინოინდუსტრიაში ჩართვაც გადაწყვიტა და, არსებული ინფორმაციით, დააფინანსა 20 მილიონი აშშ დოლარის ფინანსური ჩავარდნის – რუსეთთან 2008 წლის ომის შესახებ გადაღებული პროქართული ფილმის, „ომის 5 დღის“ – დიდი ნაწილი, რომლის თანაპროდიუსერიც იყო ასევე პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მირზა დავითაია.[360] გარდა ამისა, „მადნეული“ „ერთიანი ნაციონალური

358 იქვე

359 იქვე

360 Seeking Drama In a Conflict That's Still Raw. Eric Pape. The New York Times. August 12, 2011 http://www.nytimes.com/2011/08/14/movies/5-days-of-war-renny-harlin-on-russian-georgian-conflict.html?_r=0 (04/12/2012)

მოძრაობის“ მთავარი დამფინანსებელი გახლდათ. 2012 წლის პირველ ექვს თვეში მისმა რამდენიმე ხელმძღვანელმა პარტიას საერთო ჯამში 240,000 ლარი შესწირა.[361]

2009 წელს Stanton-ს სახელი გადაერქვა და შპს „ჯეოპრომაინინგი“ ეწოდა. მისი საკონტაქტო ოფისი მოსკოვში მდებარეობს. უშუალოდ „მადნეულში“ ინვესტირების ნაცვლად კომპანია ფოკუსირებული იყო სომხეთში მდებარე თავისი საწარმოების განვითარებაზე რეგიონში ინვესტირების საერთო სტრატეგიის ფარგლებში. 2011 წლის ზაფხულში ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო გაიწვია „მადნეულის“ ლიცენზია და ის ხელახალ აუქციონზე გაიტანა. 2011 წლის 3 ოქტომბერს ტენდერი Anglo-Georgian mining company-სთან დაპირისპირებაში Caucasus Mountain Group-მა მოიგო და ერთი წლის შემდეგ ქონების ფაქტობრივი მესაკუთრე გახდა.[362]

Caucasus Mountain Group 2011 წლის 30 აგვისტოს დაარეგისტრირა „ჯეოპრომაინინგში“ მომუშავე გეოლოგმა ჯონდო შუბითიძემ. მისი აქციების 100% ეკუთვნის Pemptilon Holdings Ltd-ს, რომელიც 2011 წლის 6 ივნისს კვიპროსზეა რეგისტრირებული. მისი რეგისტრაცია მოამზადა კომპანია Cyproman-მა, რომელიც ოფშორულ ზონაში იმ ფირმების რეგისტრაციაზეა სპეციალიზებული, რომელთა მეპატრონეებსაც ანონიმად დარჩენა სურთ.[363] Cyproman-ის თანამშრომლები, ელენა მიხაელ სერდიბოვა და ნტინა მუსიკუ, არიან Pemptilon-ის მმართველი საბჭოს წევრები, რომელმაც შუბითიძე Caucasus Mountain Group-ის გენერალურ დირექტორად დანიშნა. Pemptilon-მა

361 პოლიტიკური პარტიების შემოწირულობები. Civil.ge. 21 ივნისი, 2012 www.civil.ge/geo/article.php?id=25614 (04/12/2012)

362 კვირის რეპორტაჟი. სტუდია GNS. 30 ოქტომბერი, 2011 http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=QmSBOji20KM (04/12/2012)

363 Cyproman Services Ltd-ის ვებგვერდი. http://www.cyproman.com.cy/ (04/12/2012)

Caucasus Mountain Group-ის დარეგისტრირება 15 აგვისტოს, ტენდერის ოფიციალურად გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე, გადაწყვიტა. მათ ასევე იცოდნენ, რომ აუქციონი 3 ოქტომბერს იყო დანიშნული, რაც კონფიდენციალური ინფორმაცია გახლდათ.[364]

2012 წლის 14 ივნისს „მადნეული“ 120 მილიონ აშშ დოლარად იყიდა რუსულმა კომპანიამ, Rich Metals Group (RMG), რომლის მფლობელებიც არიან დმიტრი ტროიცკი და დმიტრი კოჟრევი. სამეწარმეო რეესტრის თანახმად, ტროიცკი, რომელიც „ფორბსმა“ 2011 წელს უმდიდრესი რუსების სიაში 94-ე ადგილზე დაასახელა, „მადნეულის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო.[365] RMG-ს გენერალური დირექტორია დიმა კალანდაძე, რომელიც ასევე „ჯეოპრომაინინგის“ გენერალური დირექტორი იყო. 2009 წელს კალანდაძე და ნაყოფია „ჯეოპრომაინინგის“ მიერ სომხეთში, სევანის ტბაზე მდებარე, ლონდონში რეგისტრირებული Anil Agarwal-ის საკამათო შესყიდვაში იყვნენ ჩართული, რაც ბუნების დამცველთა შეშფოთებას იწვევდა.[366]

არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ Caucasus Mountain Group-ს ექსკლუზიური უპირატესობა მიანიჭეს კიდევ ერთ ტენდერზე, 2012 წლის 29 თებერვალს, როდესაც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ აუქციონზე ოქროს, სპილენძისა და სხვა ძვირფასი წიაღისეულის მოპოვების 27-წლიანი ლიცენზია გაიტანა. საწყისი ფასი იყო 110 მილიონი ლარი, რომელიც საკმაოდ სიმბოლური თანხაა იმ ტერიტორიაზე მოპოვებითი სამუშაოების უფლებისთვის, რომელზედაც საქართველოს

364 იქვე

365 „მადნეულის“ და „კვარციტის“ ახალი მფლობელები რუსეთიდან. ნინო ნატროშვილი. Netgazeti.ge. 20 ივნისი, 2012 http://netgazeti.ge/GE/105/business/10373/ (12/12/2012)

366 Armenia: Trying to Find a Balance Between Economic Need and Environmental Responsibility. Gayane Abrahamyan. Eurasianet.org. June 2, 2009 http://www.eurasianet.org/departments/insightb/articles/eav060309a.shtml (04/12/2012)

სპილენძისა და ოქროს ექსპორტის დიდი ნაწილი მოდის. აქედან საქართველომ მხოლოდ 2011 წელს 110 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ოქროს და 85 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სპილენძის ექსპორტი განახორციელა.[367] ამის მიუხედავად, აუქციონში, რომელიც ერთ წუთს გაგრძელდა,[368] მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობდა. ლიცენზია მიიღო LLC Mining Investments-მა, რომელმაც საწყის ფასზე 500,000 ლარით მეტი გადაიხადა. ეს კომპანია აუქციონამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე იყო რეგისტრირებული. მისი ერთადერთი მფლობელი და დირექტორი ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოკასი გახლავთ. მისი იურიდიული მისამართი – გუდიაშვილის მოედანი 4, თბილისი – იურიდიული კომპანია BLC-ს მისამართიცაა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ", რომელიც აუქციონს აკვირდებოდა, გაარკვია, რომ ის ბატონი, რომელიც, მათი ინფორმაციით, შპს Mining Investments-ს წარმოადგენდა, იმავდროულად „ჯეოპრომაინინგის" ოფიციალური წარმომადგენელი იყო.[369]

თუკი „ჭიათურმანგანუმისა" და „მადნეულის" პრივატიზაცია საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით ეთიკურ კითხვებს აღძრავს, ტყიბულის ქვანახშირის საბადოების მუშაობა სხვა მხრივ იწვევს შეშფოთებას.

ტყიბული არის მიტოვებული პოსტსაბჭოთა ქალაქი, რომლის დაღმასვლა დაიწყო კომუნიზმის დაცემის შემდეგ, როდესაც მისი ცხრავე მაღარო დაიხურა. ადგილობრივთა

367 დაესწარი წიაღისეულის მოპოვების ყველაზე დიდ აუქციონს საქართველოს ისტორიაში! „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო". 28 თებერვალი, 2012 http://goo.gl/2YbJV (04/12/2012)

368 წიაღისეულის აუქციონმა ვერ შეძლო დიდი ინვესტორების მოზიდვა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო". 1 მარტი, 2012 http://goo.gl/oLSvZ (04/12/2012)

369 იქვე

მტკიცებით, უმუშევრობის დონე აქ 50-დან 60%-მდეა.[370] 2006 წელს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ (სიჯ) შვილობილმა კომპანიამ, „საქნახშირმა“, ერთ-ერთი მაღაროდან ნახშირის მოპოვება დაიწყო. სიჯ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ჰოლდინგური კომპანიაა. იგი დააფუძნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გასულმა პარლამენტის წევრმა დავით ბეჟუაშვილმა, რომლის ძმა, გელა ბეჟუაშვილი, იმავე პერიოდში საქართველოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი იყო.[371]

როდესაც 2009 წლის დეკემბერში მაღაროს ჩამოშლის შედეგად ერთი მეშახტე დაიღუპა და სამი დაშავდა, ეს ქვანახშირის მოპოვების თანმდევ, ტიპურ უბედურ შემთხვევად იქნა მიჩნეული და არავითარი საფუძველი არ არსებოდა გვეფიქრა, რომ ასე არ იყო. ზოგადად, სამუშაოსთან დაკავშირებული სიკვდილის შემთხვევები საქართველოში საკმაოდ ხშირია. 2009 წელს თავის სამუშაო ადგილზე 403 ადამიანი დაიღუპა და 193 დაშავდა, 2010 წლის პირველ ოთხ თვეში კი – 130.[372] შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ პერიოდიდან შეწყვიტა სამუშაო ადგილებზე მომხდარ უბედურ შემთხვევებზე მონაცემების გამოქვეყნება.[373]

2010 წლის მარტში იმავე მაღაროში მეთანის აირის აფეთქების შედეგად ოთხი მეშახტე დაიღუპა და ერთი დაშავდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ მეშახტეების დაღუპვა მათ მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევამ გამოიწვია.

---

370 Tkibuli, development, hitchhiking, more. პირადი ბლოგი. August 22, 2010 http://yelenashuster.wordpress.com/2010/08/22/tkibuli-development-hitchhiking-more/ (04/12/2012)

371 ახალი კანონპროექტი ოფშორული კომპანიების მიერ მაუწყებელთა წილის ფლობას ზღუდავს Civil.ge. 12 ნოემბერი, 2010 http://www.civil.ge/geo/article.php?id=23338 (04/12/2012)

372 Investigation about Labor protection in Georgia. Mariam Nikuradze, Buka Shubladze. News Agency 25/7. Friedrich ebert foundation (2010) http://www.scribd.com/doc/54426652/Labor-Protection-in-Georgia (04/12/2012)

373 Georgia stopped publishing statistics on work place deaths. Mari Nikuradze. Democracy & Freedom Watch. May 11, 2012 http://dfwatch.net/georgia-stopped-publishing-statistics-on-work-place-deaths-34372 (04/12/2012)

თუმცა საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ განაცხადა, რომ დამნაშავე იყო ოპერატორი კომპანია, რომელსაც უსაფრთხოების ნორმები უნდა დაეცვა, და რომ აფეთქება სავენტილაციო სისტემების გაუმართაობამ გამოიწვია, რასაც ოპერატორი კომპანია უარყოფდა.[374]

5 თვის შემდეგ, აგვისტოში, იმავე მაღაროში მომხდარი მორიგი აფეთქებისას ოთხი მეშახტე დაიღუპა და ექვსი დაშავდა. ამჯერად ადგილზე პრეზიდენტი სააკაშვილი ჩავიდა და მაღაროელებს განუცხადა, რომ სავენტილაციო სისტემები დამონტაჟებული იყო და მთავარი პრობლემა უდისციპლინობა გახლდათ; რომ მეშახტეებისთვის უნდა დაერიგებინათ უსაფრთხოების წესების ჩამონათვალი, რომლებიც მათ მაღაროში შესვლის წინ „მანტრასავით“ უნდა ემეორებინათ. მაგრამ ლევან ქურციკიძემ, მეშახტემ, რომელმაც აფეთქების შედეგად სხეულის დიდ ნაწილზე მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო, განაცხადა, რომ ადგილზე უსაფრთხოების დაცვისთვის საჭირო მოწყობილობები არ ჰქონდათ.[375]

როდესაც 2010 წლის 21 იანვარს იმავე მაღაროში აფეთქებისას კიდევ ერთი ადამიანი დაიღუპა, ხელისუფლებამ შეწყვიტა მეშახტეების დადანაშაულება მათსავე სიკვდილში. მეორე დღეს პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადების მიხედვით, აღმოჩენილ იქნა იმის მტკიცებულებები, რომ წინა აფეთქება „ქვანახშირის მაღაროს უმაღლესი ხელმძღვანელობის სისხლის სამართლის დანაშაული იყო, რომელთაც გამორთეს ვენტილაციის სისტემა, რათა ფული დაეზოგათ თანამშრომელთა სიცოცხლის ხარჯზე“. 26 იანვარს პოლიციამ უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის დაბალი რგოლის ორი ხელმძღვანელი– ედემ სტურუა და გიორგი დევდარიანი – დააპატიმრა. მაღაროელებმა 2 თებერვალს მათი დაპატიმრებისა და კომპანიის არაადეკვატური

374 დაღუპული მაღაროელები. სტუდია „მონიტორის“ რეპორტაჟი. https://www.youtube.com/watch?v=mS9Kxn28Chg (05/12/2012)

375 იქვე

უსაფრთხოების ნორმებისადმი პროტესტის ნიშნად უვადო გაფიცვა გამოაცხადეს.[376]

2011 წლის 9 სექტემბერს კიდევ ერთი მეშახტე დაიღუპა, თუმცა ეს აფეთქების ოპერაციისას დაშვებული შეცდომის შედეგი იყო.[377] 2011 წლის 24 ნოემბერს მაღაროს ჩამოშლის შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა. ორ წელიწადში 17 მეშახტის დაღუპვის შემდეგ საბოლოოდ უსაფრთხოებისა და მომუშავეთა დაცვის სისტემების უკეთესი კონტროლისთვის მაღაროელებისა და ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია შეიქმნა.[378]

376 ტყიბულში მაღაროელები გაიფიცნენ. Civil.ge. 2 თებერვალი, 2011 http://www.civil.ge/geo/article.php?id=23626 (04/12/2012)

377 One Dies in Mining Accident in Tkibuli. Civil.ge. September 9, 2011 http://www.civil.ge/eng/article.php?id=23917 (04/12/2012)

378 Deaths Continue To Plague Georgia's Tkibuli-Mindeli Coal Mine. ICEM InBrief Georgia. December 19, 2011 http://pacific.scoop.co.nz/2011/12/report-federation-of-chemical-energy-mining-and-gw-unions-2/ (04/12/2012)

პოსტსკრიპტუმი

როდესაც 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველები საარჩევნო უბნებზე მივიდნენ, რათა ახალი პარლამენტი აერჩიათ, არავინ ელოდა, რომ ამის შედეგი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხება იქნებოდა. პარტიის გავლენა მედიაზე, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებზე დიდი იყო. ქვეყნის მთავარი ტელეარხები მუდმივად სახელს უტეხდნენ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს და მის კოალიცია „ქართულ ოცნებას“. ქვეყანაში დაჩქარებული წესით იღებდნენ კანონებს იმისთვის, რომ ივანიშვილისა და მათთვის, ვისზედაც ეჭვობდნენ, რომ მისი მხარდამჭერი იყო, ქონება ჩამოერთმიათ და მკაცრი ფინანსური სანქციები დაეწესებინათ. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ პრაქტიკულად მთელი ქვეყნის მასშტაბით ბილბორდების მონოპოლიზება მოახდინა, ხოლო საქალაქო ავტობუსებსა და კერძო სამარშრუტო მიკროავტობუსებზე მხოლოდ მმართველი პარტიის საარჩევნო ნომერი იყო გამოსახული. თუმცა ეს ყველაფერი გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ერთ-ერთი პირველი, რაც ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის რანგში გააკეთა, იყო შეხვედრა ბიზნესმენებთან, რომელზედაც მან პირობა დადო, რომ მისი მთავრობა არ ჩაერევა ბიზნესში, გარდა იმისა, რომ წვრილი და საშუალო ბიზნესისთვის წამახალისებელ გარემოს შექმნის.[379] მან ასევე შეშფოთება გამოთქვა „სხვადასხვა სექტორში მოქმედი მონოპოლიების“, განსაკუთრებით კი ენერგეტიკისა და ფარმაცევტულ სფეროებში არსებულთა გამო და ახალი, „მკაცრი“ ანტიმონოპოლიური კანონების შემოღების

379 Bidzina Ivanishvili: no marriage between politics and business. Nino Edilashvili. Georgiatoday.ge. October 11, 2012 http://www.georgiatoday.ge/article_details.php?id=10522 (04/12/2012)

პირობაც დადო. მეორე დღეს „ვისოლმა“ თავისი ბენზინის ფასი 8 თეთრით დასწია.[380]

გარდა ამისა, ივანიშვილის გამარჯვებამ მოტივირებული გახადა სახელმწიფოს წინააღმდეგ ქონებრივი პრეტენზიების მქონე ხალხიც, რომელმაც ქონების დაბრუნების მოთხოვნით პროკურატურასთან რიგები შექმნა. ამრიგად, მას შემდეგ, რაც ივანიშვილის გუნდმა წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დარღვევების გამოსწორება დაიწყო, სასამართლო სისტემა დიდი პრობლემების წინაშე დადგა. მას ახლა სარჩელებისა თუ სხვა გარემოებების საფუძველზე უამრავი სისხლის სამართლის საქმის ხელახლა განხილვა მოუწევს.

იმავდროულად, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ტელესივრცეში. 3 ოქტომბერს საჯარო რეესტრმა რეგისტრაციაში გაატარა შპს „მედია ჯორჯია“[381] და შპს „ჯორჯიან მედია კომპანი“[382]. ორივეს მფლობელი დავით კეზერაშვილია. მეორე დღეს ლევან ყარამანიშვილმა „რუსთავი 2“-ში საკუთარი აქციების 40% 500,000 აშშ დოლარად „მედია ჯორჯიას“ მიჰყიდა, ტელეკომპანია „მზეში“ თავისი 40% კი – 250,000 აშშ დოლარად „ჯორჯიან მედია კომპანის“. ორივე კომპანიის დირექტორი ჟურნალ „ტაბულას“ მარკეტინგის სამსახურის უფროსი გიორგი ფრუიძეა. „ტაბულას“ მთავარი რედაქტორი კი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას, მეუღლე,

380 High expectations about low prices. Rusiko Machaidze. Democracy & Freedom Watch. October 7, 2012 http://dfwatch.net/high-expectations-about-low-prices-79776 (04/12/2012)

381 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 03/10/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=461345&app_id=536517 (12/12/2012)

382 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 03/10/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=461349&app_id=536522 (12/12/2012)

თამარ ჩერგოლეიშვილი, გახლავთ. გიორგი გეგეშიძე ორივე კომპანიაში ინარჩუნებს თავის აქციათა 10%-ს.[383]

5 დღის შემდეგ კეზერაშვილმა „რუსთავი 2“-სა და „მზეში“ თავისი წილები პრეზიდენტ სააკაშვილის მეგობარს, გიორგი ყარამანიშვილს, იმავე ფასად მიჰყიდა, რა ფასადაც ჰქონდა ნაყიდი.[384] გიორგი ყარამანიშვილი რეზო შარანგიას სიძე და ბიზნესპარტნიორიცაა[385]. ისინი არიან წარმომადგენლები და მმართველი საბჭოს წევრები ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიების – Watertrail Industries-ის[386], Delgado Resources-ისა[387] და Investico Alliance-ის, რომელიც კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინის“ („მობიტელი“) მფლობელია.[388]

იმ დროს, როდესაც „რუსთავი 2“ მეგობრულად ხელიდან ხელში გადადიოდა, მისმა ორმა დამფუძნებელმა და ყოფილმა მეპატრონემ, დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი აიძულეს, ტელეარხზე კონტროლი დაეთმოთ, განაცხადეს, რომ თავიანთი წილების დაბრუნების მოთხოვნით სარჩელის აღძვრა გადაწყვიტეს.[389] შემდგომმა მფლობელმა ქიბარ ხალვაშმა ასევე განაცხადა,

---

383 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 06/12/2011 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=349850&app_id=403819 (05/12/2012 და 06/12/2011), https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=349854&app_id=403823 (05/12/2012)

384 კეზერაშვილმა „რუსთავი 2“-სა და „მზის“ წილები გაყიდა. Netgazeti.ge. 10 ოქტომბერი, 2012 http://netgazeti.ge/GE/105/News/13773/ (05/12/2012)

385 რეაბილიტაციის პროცესი ფასადს მიღმა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში. http://gyla.ge/geo/news?info=673 (05/12/2012)

386 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მე10 გვერდი https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=82829 (05/12/2012)

387 იქვე

388 იქვე, გვ. 4

389 „რუსთავი 2“-ის ყოფილი მფლობელები იწყებენ სამართლებრივ ბრძოლას ტელეკომპანიის დასაბრუნებლად. Media.ge. 5 ოქტომბერი, 2012 http://www.media.ge/stories/rustavi2isqopilimplobele (04/12/2012)

რომ სურს დაიბრუნოს „რუსთავი 2“-ის აქციათა 78%, რომელიც, როგორც ამბობს, მას მთავრობამ წაართვა.[390] ტელეკომპანია „მზის“ თანამფლობელი ვანო ჩხარტიშვილიც ცდილობს „მზეზე“ კონტროლის დაბრუნებას, რომელიც, მისი თქმით, უკანონოდ ჩამოართვეს. 9 ოქტომბერს მას, გავრცელებული ინფორმაციით, პატარა ადგილობრივი ტელეკომპანია, „გურია ტვ“, გადაეცა.[391]

15 ნოემბერს „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორად იუსტიციის და განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, ნიკა გვარამია, დაინიშნა. მან შეცვალა გიორგი გეგეშიძე[392], რომელიც ამჟამად არხის აქციების 9%-ს ფლობს.[393] „რუსთავი 2“-ის დარჩენილი 91% პირდაპირ თუ არაპირდაპირ ლევან და გიორგი ყარამანიშვილებს ეკუთვნით. აქციათა 40%-ს ისინი უშუალოდ ფლობენ, ხოლო 51%-ს – თავიანთი ტელეკომპანიის, „საქართველოს“[394], საშუალებით, რომელიც გასართობი არხია და კავშირები აქვს თავდაცვის სამინისტროში.[395]

12 ოქტომბერს სემეკმა მხარი დაუჭირა „საქართველოს“ სამაუწყებლო ლიცენზიის სამოქალაქო განათლების ფონდისთვის გადაცემას, რომელიც ჟურნალ „ტაბულას“

390 ქიბარ ხალვაშს „რუსათვი 2“-ის და „მზის“ 78%-იანი წილის დაბრუნების იმედი გაუჩნდა. Commersant.ge. 5 ოქტომბერი, 2012 http://www.commersant.ge/index.php?id=11870 (04/12/2012)

391 მედიის სექტორში ცვლილებები, როგორც პოლიტიკური ცვლილებების შედეგი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 16 ოქტომბერი, 2012 http://transparency.ge/blog/mediis-sektorshi-tsvlilebebi (04/12/2012)

392 ნიკა გვარამია ტელეკომპანია „რუსთავი 2“ს უხელმძღვანელებს. Civil.ge. 15 ნოემბერი, 2012 http://www.civil.ge/geo/article.php?id=26220 (04/12/2012)

393 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 16/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=473933&app_id=549531 (05/12/2012)

394 იქვე

395 რატომ დაიხურა ტელეკომპანია „საქართველოს“ საინფორმაციო გადაცემა. ანა შეშაბერიძე. Humanrights.ge. 29 მარტი, 2010 http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=8154&lang=geo (04/12/2012)

გამომცემელია.[396] თავად „საქართველოს“ მეპატრონე არ შეუცვლია (ჯერჯერობით) და არც ფულის გადახდის შესახებ გამოქვეყნებულა რაიმე ინფორმაცია. თამარ ჩერგოლეიშვილმა განაცხადა, რომ არხის ერთ-ერთი დამფუძნებელი ყოფილი ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე იქნება. „ჩვენ ჩამოყალიბებული იდეოლოგიით ვხელმძღვანელობთ“, – აღნიშნა ჩერგოლეიშვილმა იმ ლიბერტარიანულ შეხედულებებთან დაკავშირებით, რომელთაც „ტაბულა“ გამოხატავს.[397]

15 ოქტომბერს სააკაშვილის ხელისუფლებიდან მიმავალმა ადმინისტრაციამ ტელეკომპანიებისთვის ნაწილობრივი საგადასახადო ამნისტია გამოაცხადა. მანამდე 27 თვით ადრე ტელეკომპანიებს 36 მილიონი ლარის დავალიანება ჩამოაწერეს.[398] „რუსთავი 2“ და „იმედი“ ამ ახალი ამნისტიის უმსხვილესი ბენეფიციარები იყვნენ. 2012 წლის ივლისის მდგომარეობით, „იმედს“ 13.9 მილიონი ლარის საგადასახადო დავალიანება ჰქონდა, ხოლო „რუსთავი 2“-ს – 3.53 მილიონი ლარის.[399] მეორე დღეს ტელეკომპანია „იმედი“ პატარკაციშვილების ოჯახს დაუბრუნდა.[400]

---

396 ტელეკომპანია „საქართველოს“ ლიცენზია ააიპ „სამოქალაქო განვითარების ფონდს“ გადაეცა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. 12 ოქტომბერი, 2012 http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=113151 (04/12/2012)

397 TV Sakartvelo becomes TV Tabula. Democracy & Freedom Watch. October 31, 2012 http://dfwatch.net/tv-sakartvelo-becomes-tv-tabula-50376 (05/12/2012)

398 ახალი საგადასახადო ამნისტია სატელევიზიო არხებისთვის. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 15 ოქტომბერი, 2012 http://transparency.ge/post/general-announcement/akhali-sagadasakhado-amn (12/12/2012)

399 იქვე

400 საგადასახადო ამნისტია ქართული ტელეარხებისთვის თუ სუბსიდია სახელისუფლებო ტელევიზიებისთვის? „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. 8 აპრილი, 2010 http://transparency.ge/blog/psagadasakhado-amnistia-kartuli-telearkhebistvis-tu-subsidia-sakhelisuplebo-televiziebistvisp (05/12/2012)

18 ოქტომბერს ბადრი პატარკაციშვილის ქვრივმა ინა გუდავაძემ გიორგი არველაძის, გიორგი კორახაშვილისა და გიორგი მიქელაძისგან 3 ლარად იყიდა „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“.[401] „იმედმა“ გამოაცხადა, რომ ის ფორმატს შეიცვლიდა და ახალი საინფორმაციო არხი გახდებოდა. „იმედის“ თანამშრომელთა უმრავლესობა სამსახურიდან წავიდა ან გაათავისუფლეს. „იმედის“ დირექტორად „ფორბსი საქართველოს“ ყოფილი მთავარი რედაქტორი, რევაზ საყევარიშვილი, დაინიშნა. საყევარიშვილი 2012 წლის მარტში წავიდა „ფორბსიდან“ იმ ზეწოლისა და ცენზურისადმი პროტესტის ნიშნად, რომელსაც ბიძინა ივანიშვილთან ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ წააწყდა.[402]

5 ოქტომბერს ტელეკომპანია „მაესტრომ“ და „გლობალ ტვ“მ განაცხადეს, რომ 100,000 სატელიტური თეფშიდან, რომლებიც ხელისუფლებამ ამ კომპანიებს ამომრჩეველთა მოსყიდვისა და პოლიტიკური პარტიის მიერ უკანონო დაფინანსებით ბრალდებით დაუყადაღა, 38,000 დაუბრუნდათ. პროკურატურამ ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2 ოქტომბერს, არჩევნების მეორე დღეს, გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე გააუქმა.[403]

9 ოქტომბერს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის (სსმ) პირველმა არხმა ორი თოქშოუ გააუქმა და სარედაქციო ჯგუფი დაითხოვა. საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით კამათი უფრო გამძაფრდა, როდესაც სსმ-ის რუსულენოვანი საინფორმაციო არხის, „პიკ“-ის, თანამშრომლებმა მას შემდეგ, რაც

401 Ina Gudavadze returned Imedi for GEL 3. Nata Dzvelishvili. Media.ge. October 20, 2012 http://www.media.ge/en/stories/inagudavadzereturnedimed (05/12/2012)

402 Forbes editor takes over Georgian TV station. Democracy & Freedom Watch. November 14, 2012 http://dfwatch.net/forbes-editor-takes-over-georgian-tv-station-70027 (04/12/2012)

403 „მაესტროსა“ და „გლობალ TV“-ს ანტენებს ყადაღა მოეხსნა. Media.ge. 5 ოქტომბერი, 2012 http://www.media.ge/stories/maestrosadaglobaltvsant0 (04/12/2012)

ხელოვნურ თანამგზავრ Hotbird-იდან არხის სიგნალი გამოირთო, 15 ოქტომბერს ახალი ამბების გამოშვებისას პირდაპირ ეთერში მდუმარე პროტესტი გამოხატეს. მათ სურდათ გაეგოთ, დაიხურებოდა თუ არა არხი, რატომ არ ერიცხებოდათ ხელფასები, რატომ დაიხარჯა ტელეარხის ბიუჯეტი წინასწარ და სად წავიდა ეს ფული. მოგვიანებით „პიკ"-ი დაიხურა. 15 ნოემბერს საქართველოს საგადასახადო სამსახურმა იმის გამოძიება დაიწყო, თუ რატომ დაუგროვდა სსმ-ს გადაუხდელი გადასახადების სახით 3.8 მილიონი ლარი. პარლამენტის წევრები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" აცხადებდნენ, რომ ეს გამოძიება საზოგადოებრივ მაუწყებელზე ზეწოლის ცდა იყო. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ მას აქვს უფლება, გაარკვიოს, რატომ ვერ იხდის არხი დავალიანებას.[404]

26 ნოემბერს ყოფილმა პარლამენტის წევრმა „ერთიანი ნაციონალურიმოძრაობიდან",კობაბექაურმა,ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერით წამოაყენა სერიოზული ბრალდებები, რომ 2005 წელს ტელეკომპანია „202"-ის მფლობელი, შალვა რამიშვილი, წინა მთავრობის წევრების, მათ შორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, იუსტიციის მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის, და შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, დათა ახალაიას, დავალებით დააპატიმრეს. მან განაცხადა, რომ პრეზიდენტი საკაშვილი პირადად იყო დაინტერესებული ტელეარხისთვის ეთერის გათიშვით.[405] ამ დრომდე ვინმესთვის ოფიციალური ბრალდება არ წაუყენებიათ.

ტელეკომპანია „მე-9 არხი", რომელიც პრაქტიკულად პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს, ეკატერინე ხვედელიძეს (80%), და მის დეიდაშვილს, კახა

404 საზოგადოებრივ მაუწყებელს ფინანსთა სამინისტრო ამოწმებს. Civil.ge. 7 ნოემბერი, 2012 http://civil.ge/geo/article.php?id=26188 (04/12/2012)

405 კობა ბექაური: შალვა რამიშვილის საქმე ადეიშვილმა და მერაბიშვილმა დაგეგმეს. Media.ge. 26 ნოემბერი, 2012 http://www.media.ge/stories/kobabekaurishalvaramishv (04/12/2012)

კობიაშვილს (20%), ეკუთვნით[406], ეთერში 2012 წლის 8 ოქტომბერს გავიდა „სტერეო+“-ის სიხშირისა და ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით, ისე, რომ, როგორც ჩანს, ამისთვის აუცილებელი საერთო მაუწყებლობის ლიცენზია არ ჰქონდა. ეს შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ მისი მაუწყებლობა უკანონოა. მანამდე, გასულ წელსვე სემეკმა „მე-9 არხი“ იმავე ბრალდებისთვის დააჯარიმა.[407] 16 ოქტომბერს სემეკმა განაცხადა, რომ „სტერეო+“-ს უკანონო მაუწყებლობისთვის 10,000 ლარის ჯარიმა ემუქრებოდა.[408] საქართველოს კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებსა და თანამდებობის პირებს მაუწყებლობის ლიცენზიის ქონას უკრძალავს, მაგრამ ეს აკრძალვა მათი ოჯახის წევრებზე არ ვრცელდება.

ტელესივრცის რეალურ მდგომარეობას ერთნაირად პოლარიზებული საინფორმაციო გამოშვებები უფრო ასახავს, ვიდრე მედიის თავისუფლების ქართული კონცეფცია. „რუსთავი 2“ და „საქართველო“/„ტაბულა“, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მეგობრებს ეკუთვნით, უფრო მეტად „ქართული ოცნების“ საქმიანობის დაუბალანსებელ გაშუქებაზე არიან ფოკუსირებული. ყოველკვირეული გამოცემა „პრაიმ ტაიმი“, რომელსაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან აქვს კავშირი, აცხადებს, რომ უფრო მეტად პოლიტიკური მოვლენების გაშუქებაზე ფოკუსირებას გეგმავს და ჟურნალისტური გამოძიებებისთვისაც გამოყოფს ადგილს. წინა ხელისუფლების დროს კი ჟურნალისტური გამოძიება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ

406 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 16/01/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=369086&app_id=425615 (05/12/2012)

407 „სტერეო +“ს სანქცია დაეკისრა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. 7 ივნისი, 2012 http://gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=110&info_id=112604 (05/12/2012)

408 „მეცხრე არხის“ სიგნალის გაშვების გამო „სტერეო+“-ს 10 ათასი ლარით დაჯარიმება ემუქრება. ნატა ძველიშვილი. Media.Ge. 17 ოქტომბერი, 2012 http://www.media.ge/stories/metskhrearkhissignalisga (05/12/2012)

ტელეარხებზე საერთოდ არ არსებობდა. ამავე დროს, ივანიშვილის მხარდამჭერ არხებს, მისი მეუღლის „მე-9 არხის“ მსგავსად, წინა პლანზე წინა ხელისუფლების გადაცდომები და ახლის წარმატებები გამოაქვთ.

საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი მხარს უჭერს ივანიშვილს. ისინი მასში ხედავენ მილიარდერს, რომელმაც წარმატებას დამოუკიდებლად მიაღწია და რომელსაც ესმის, რომ მთავრობამ არ უნდა უკარნახოს ბიზნესს. ამ თვალსაზრისით ისინი საგადასახადო პოლიციის ვიზიტებს მანიპულაციის ცდად აღარ აღიქვამენ და მათი არც ეშინიათ. ანტიმონოპოლიური კანონების შემოღების ივანიშვილისეული გეგმა იმას ნიშნავს, რომ ბაზრები უფრო კონკურენტული გახდება და საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის დამატებითი მიზეზები გაჩნდება. თუმცა პრობლემებიც არის. სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპატიმრებების სერია ბევრს აფიქრებინებს, რომ ესაა პოლიტიკურიშურისძიება,რომელმაცშესაძლოაეკონომიკის დესტაბილიზება გამოიწვიოს და ინვესტორები დააფრთხოს. თუკი ივანიშვილი არჩევნების შემდეგ ქვეყანაში აგორებულ გაფიცვების ტალღას ვერ გაუმკლავდება, საერთაშორისო ბიზნესსაზოგადოებისთვის ესეც ნეგატიური სიგნალი იქნება. გარდა ამისა, მთავრობის მიერ შრომის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებებიც სახიფათო ნაბიჯად არის მიჩნეული, რადგანაც ბიზნესლიდერები დღეს მოქმედ შერბილებულ კოდექსს ინვესტიციების წახალისებად განიხილავენ. „თავად კოდექსი კი არაა პრობლემა, არამედ ის მეთოდები, რომლებითაც მისი ცხოვრებაში გატარება ხდებოდა“, – ამბობს ფადი ასლი.[409]

ბიზნესგარემო მართლაც იცვლება; მაგრამ როგორ და რა მიმართულებით – ეს ჯერ გაურკვეველია. ჩემთვის მთავარი ბარომეტრი ეს იქნება – როდესაც ორიოდე წლის შემდეგ თაროზე დალაგებულ ახალ ქართულ ნაწარმს ვნახავთ და

409 ავტორის ინტერვიუ საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარესთან, ფადი ასლისთან (10/11/2012)

ხელში მისი აღების დროს არავინ შეგვახსენებს, რომელი მინისტრია მისი რეალური მფლობელი. ცნობისთვის: შოკოლადი „ბარამბო“ დავით კეზერაშვილს არ ეკუთვნის. საპარლამენტო არჩევნებამდე მისი მფლობელები იყვნენ ნიკოლოზ შაქარიშვილი, იაგო ჩოჩელი და ლუხუმ კაპანაძე[410], რომლებიც, როგორც ვნახეთ, ვანო მერაბიშვილთან არიან დაახლოებული. არჩევნების შემდეგ, როგორც ჩანს, იაგომ და ლუხუმმა საკუთარი წილები სასწრაფოდ გადაუფორმეს თავიანთ ნათესავებსა თუ მოგვარეებს (მარი ჩოჩელი, უჩა კაპანაძე), ნიკოლოზ შაქარიშვილმა კი დაიტოვა თავისი წილები.[411] მკითხველს შესაძლოა სურვილი გაუჩნდეს, რომ მას „ვანოს შოკოლადი“ დაუძახოს, მაგრამ გთხოვთ, არ გინდათ!

410 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 17/09/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=457084&app_id=531600 (13/12/2012)

411 საჯარო რეესტრი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 20/11/2012 https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=474696&app_id=550532 (05/12/2012)